ვიწრო სპეციალიზაციების ფორმა
საერთო სასამართლოების სისტემაში

ვიწრო სპეციალიზაციების ფორმა
საერთო სასამართლოების სისტემაში

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იყო გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“. ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

თბილისი
2020 წელი

სარჩევი

ძირითადი მიგნებები 3

რეკომენდაციები 5

მეთოდოლოგია 6

შესავალი 7

ვიწრო სპეციალიზაციების შექმნის საერთაშორისო სტანდარტი 9

- სპეციალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები 10
- სპეციალიზაციის ფორმები 13
- სპეციალიზაციის შექმნის კრიტერიუმები 15
- ბიზნეს სასამართლოების მოდელები სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე 18

ვიწრო სპეციალიზაციების ფორმა საქართველოში 21

- ვიწრო სპეციალიზაციების შექმნის ისტორია 21
- ვიწრო სპეციალიზაციის შექმნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში 22
- ვიწრო სპეციალიზაციების არსებული ფორმა 24
- ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა დანიშვის სტანდარტი 26
- გადატვირთულობის პრობლემის დაძლევა ვიწრო სპეციალიზაციების შემოღების გზით 30
- სპეციალიზაციების უარყოფითი გავლენა ელექტრონული განაწილების სისტემაზე 33
- შუალედური დასკვნა 37

კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაცია 38

- მთავრობის ინიციატივა - კომერციული და საგადასახადო პალატა 38
- იუსტიციის უმაღლესი საბჭო - კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაცია 42
- კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა დანიშვნის სტანდარტი 45
- კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის ეფექტიანი და ხარისხიანი მართლმსაჯულების მიზანი 46
- კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის სწრაფი მართლმსაჯულების მიზანი 48
- შუალედური დასკვნა 49

დასკვნა 51

დანართი 52

ძირითადი მიგნებები

- **ვიწრო სპეციალიზაციების დღეს არსებული ფორმა პრობლემურია და ეწინააღმდეგება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტს, მისი შექმნა კი დაუსაბუთებელია და არ ეფუძნება საკითხის სიღრმისეულ კვლევას.** თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოებში დავის ყველა სფერო ვიწროდ სპეციალიზებულია, რაც არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს. ვიწრო სპეციალიზაციების შექმნა საჭიროებიდან გამომდინარე უნდა ხდებოდეს. „სპეციალიზაციის გამართლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ეს ხელს შეუწყობს ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.

- **სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეებს ვიწრო სპეციალიზაციებში ერთპიროვნულად ანაწილებს.** ასეთი პრაქტიკა სახიფათოა, ვინაიდან მსგავსი ბერკეტის არსებობა საქმეთა ელექტრონულ განაწილებაზე მანიპულირების რისკებს წარმოშობს. უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ნორმატიული აქტი, რომელიც მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციაში განმწესების წესს დაადგენდა. შესაბამისად, ვიწრო სპეციალიზაციების შემადგენლობის ფორმირება მხოლოდ სასამართლოს თავმჯდომარის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული

- **ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა დანიშვნის პრაქტიკა დაუსაბუთებელია და არ ეფუძნება წინასწარ დადგენილ ობიექტურ კრიტერიუმებს.** ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეები ამ სფეროში სიღრმისეული ცოდნისა და გამოცდილების ნიშნით უნდა ინიშნებოდნენ. საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, სპეციალიზაციაში მოსამართლის განმწესებამდე მნიშვნელოვანია, შეფასდეს მისი გამოცდილება, რომელიც მან სპეციალიზებულ იურისტად ან მოსამართლედ მუშაობის პერიოდში შეიძინა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, კონკრეტული სპეციალიზაციისათვის არსებობდეს წინასწარ ჩამოყალიბებული კრიტერიუმები, რათა თვითნებობის რისკი მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.

- **ვიწრო სპეციალიზაციიდან მოსამართლის როტაცია არაგანჭვრეტადი და დაუსაბუთებელია.** დღეს მოქმედი წესის თანახმად, სასამართლოს თავმჯდომარეს ნებისმიერ დროს შეუძლია მოსამართლეს შეუცვალოს ვიწრო სპეციალიზაცია. მას არ აქვს ამგვარი გადაწყვეტილების მიღების დასაბუთების ვალდებულება. მნიშვნელოვანია, მოსამართლეების როტაცია ვიწრო სპეციალიზაციებიდან წინასწარ განჭვრეტად წესს ეფუძნებოდეს. ამ პროცესში მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი შერჩევითი მიდგომისა და უფლებამოსილების მართლმსაჯულების ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენების რისკი.

- **იუსტიციის უმაღლესი საბჭო საერთო სასამართლოების სისტემაში ვიწრო სპეციალიზაციების შექმნის მიზეზად, საქმეთა გადატვირთულობას ასახელებს. თუმცა ამ პრობლემის გადასაჭრელად, წლებია საბჭოს შესაბამისი ზომები არ მიუღია. მაგალითად, არ მომხდარა სისტემის შევსება სათანადო რაოდენობის მოსამართლეებით.** კვლევის პროცესმა აჩვენა, რომ საბჭოს რეალური მიზანი არა გადატვირთულობის პრობლემის მოგვარება, არამედ, გავლენიანი მოსამართლეების მიერ, ამ

მექანიზმის არაჯანსაღი მიზნებისთვის გამოყენება შეიძლება იყოს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საბჭო კონკურსის გარეშე მოსამართლეების დაუსაბუთებელი და ქაოტური გადაყვანით მნიშვნელოვნად ზრდის გადატვირთულობის პრობლემას.

- **თბილისის სააპელაციო სასამართლოში ვიწრო სპეციალიზაციების შემოღება აჩენს აღქმას, რომ მოსამართლეების გავლენიანმა ჯგუფმა უარი არ თქვა საქმეთა განაწილების სისტემაზე მანიპულირების შესაძლებლობაზე.** უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გავლენიანი მოსამართლეების ძირითადი ნაწილი სწორედ თბილისის სააპელაციო სასამართლოში იყრის თავს. საინტერესოა ისიც, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში ვიწრო სპეციალიზაციები, საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის ამოქმედებიდან მალევე, დაახლოებით 4 თვეში შეიქმნა.

- **მოსამართლეთა განმარტებით, ვიწრო სპეციალიზაციები მოსამართლეებს დროის მენეჯმენტსა და საქმეთა ადმინისტრირებაში ეხმარება.** კვლევაში მონაწილე მოსამართლეების აბსოლუტურმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ საქმეთა გადატვირთულობის ფონზე, მათთვის უფრო მოსახერხებელია საქმეების ვიწრო სფეროს მიმართულებით განხილვა. მათი განმარტებით, ვიწრო სპეციალიზაციების არსებობის პირობებში საკითხის უფრო სიღრმისეულ და ყოველმხრივ შესწავლას ახარხებენ. თუმცა, გადატვირთულობის მთავარი გამომწვევი მიზეზი საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა ნაკლებობაა. 2018 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, მოსამართლეთა რაოდენობა არსებულთან შედარებით დაახლოებით 100 მოსამართლით უნდა გაზრდილიყო.[1] გადატვირთულობის პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს მოსამართლეთა ხშირი და დაუსაბუთებელი როტაცია.

- **დადებითად უნდა შეფასდეს ის, რომ იმ სასამართლოებში სადაც მოსამართლეთა მცირე რაოდენობაა ვიწრო სპეციალიზაციები არ მოქმედებს.** ვიწრო სპეციალიზაციები დღესდღეობით მხოლოდ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში მოქმედებს. იმ სასამართლოებში, სადაც მცირე რაოდნობის მოსამართლეები არიან, ვიწრო სპეციალიზაციების შექმნა კიდევ უფრო გაზრდიდა ელექტრონული წესით საქმეთა განაწილების სისტემაზე მანიპულირების რისკებს;

კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაცია

- **კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის შექმნა დაჩქარებულად მოხდა და ის ვერ პასუხობს დასახულ მიზანს.** 2016 წელს გაჟღერებული მთავრობის ინიციატივის მიზანი, რომელიც კომერციული და საგადასახადო პალატების შექმნას გულისხმობდა, ბიზნეს დავებზე სწრაფი და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელება იყო. ამასთან, ინიციატივა პალატებში მოსამართლეების დანიშვნის კონკრეტულ კრიტერიუმებსა და წესს ადგენდა, რაც კვალიფიციური კადრების დანიშვნას უზრუნველყოფდა. ამ პროცესის პარალელურად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შექმნილმა კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციამ ვერ უპასუხა ამ კუთხით არსებულ გამოწვევებს;

[1] საქართველოში მოსამართლეების საჭირო რაოდენობის შეფასება, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პროექტის ,,კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“(PROLOG), 2018წ.

- **კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაცია 500 000 ლარს ზემოთ დავებს განიხილავს, შესაბამისად შესაძლებელია ამ კატეგორიაში არამხოლოდ ბიზნეს, არამედ სხვა კატეგორიის საქმეებიც მოხვდეს.** მაშინ როდესაც საბჭოს დეკლარირებული მიზანი ბიზნეს დავებში არსებული პრობლემების მოგვარება და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება იყო, გაუგებარია აღნიშნული სპეციალიზაციის მსგავსი ფორმით შექმნა. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სპეციალიზაცია ნაჩქარევად და საკითხის სიღრმისეულად შესწავლის გარეშე შეიქმნა;

- **კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციებში დანიშნული მოსამართლეების კვალიფიკაცია ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკით დადგენილ სტანდარტს.** აღნიშნულ სპეციალიზაციებში მოსამართლეების დანიშვნა ყოველგვარი კრიტერიუმების გარეშე ხდება. მათი ბიოგრაფიების შესწავლის შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ კონკრეტული მოსამართლეების დანიშვნა კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციაში დაუსაბუთებელია და გარკვეულ კითხვებს წარმოშობს;

- **კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის შექმნიდან დღემდე არ შეფასებულა რეალურად გაუმჯობესდა თუ არა ბიზნეს დავებზე განხორციელებული მართლმსაჯულების ეფექტიანობა და რა გავლენა ჰქონდა ამ სპეციალიზაციის არსებობას საინვესტიციო გარემოზე.** იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დღემდე არ შეუსწავლია რა ეფექტი ჰქონდა კომერციული დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაციის არსებობას 2016-2018 წლებში თბილისის საქალაქო სასამართლოში. ამასთან, 2018 წელს საბჭოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში იგივე სპეციალიზაციის შექმნის შესახებ არ ეფუძნება რაიმე კონკრეტულ კვლევას ან სტატისტიკურ მონაცემებს.

- **სამართლიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემის არ არსებობის ფონზე, მხოლოდ კომერციული დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაციის დაჩქარებული წესით შექმნამ ვერ გააუმჯობესა ბიზნეს კლიმატი და ვერ გაზარდა სასამართლოს მიმართ ნდობა.** იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება საერთო სასამართლოების სისტემაში კომერციული დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაციის შექმნის შესახებ რეალურად იყო ხელისუფლების მიმართ საპასუხო ნაბიჯი, კომერციული და საგადასახადო პალატის ჩამოყალიბების იდეის საპირწონედ. საბჭოს მიერ შექმნილი ვიწრო სპეციალიზაცია არა მართლმსაჯულების სიტემის ძირეული ინსტიტუციური და სისტემური პრობლემების გადაჭრას, არამედ კონკრეტული ჯგუფის კრიტიკის განეიტრალებას ემსახურებოდა.

რეკომენდაციები

- ❖ ვიწრო სპეციალიზაციების არსებული ფორმა უნდა გაუქმდეს. კონკრეტულ დარგში ვიწრო სპეციალიზაციის შექმნა კვლევის შედეგად დადგენილ ობიექტური საჭიროებას უნდა ეფუძნებოდეს;

- ❖ ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეებს სასამართლოს თავმჯდომარის ნაცვლად იუსტიციის უმაღლესი საბჭო უნდა ნიშნავდეს;

- ❖ საჭიროა, დადგინდეს ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეების განაწილების კრიტერიუმები. მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იყოს შესაბამის დარგში მოსამართლეთა კვალიფიკაცია და კონკრეტული სპეციალიზაციისთვის საჭირო სპეციფიური უნარ-ჩვევები;

- ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სათანადოდ დასაბუთდეს მოსამართლეთა სპეციალიზაციაში განსაზღვრის/შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საჭიროება;
- საჭიროა დაიხვეწოს კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის იურისდიქცია იმგვარად, რომ არ იყოს დაკავშირებული მხოლოდ თანხის მოცულობასთან;
- გადატვირთულობის პრობლემა არა ვიწრო სპეციალიზაციების შემოღების, არამედ მოსამართლეთა რაოდენობის ზრდით და საერთო სასამართლოების სწორი ადმინისტრირებით უნდა გადაიჭრას.

მეთოდოლოგია

სხვადასხვა ქვეყნებში, სპეციალიზებული მოსამართლეები ან/და სპეციალიზებული სასამართლოები ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა.[2] ამ თემას ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) #15 დასკვნა ეძღვნება. დასკვნის მიხედვით, სასამართლოებში ვიწრო სპეციალიზაციების არსებობას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს, საქართველოში ვიწრო სპეციალიზაციების შესწავლას, მისი ეფექტიანობის განსაზღვრას და იმ რისკების იდენტიფიცირებას, რაც შესაძლოა სპეციალიზაციების არსებულმა ფორმამ წარმოშვას.

კვლევაში წარმოდგენილი მიგნებები 2020 წლის აგვისტომდე არსებულ მდგომარეობას ასახავს. კვლევის მიზნებისათვის პროექტის გუნდმა გამოიყენა ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავებისთვის რამდენიმე მეთოდი და წყარო:

კანონმდებლობისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების ანალიზი: კვლევის პროცესში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" გაანალიზა, როგორც „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრული ვიწრო სპეცილიზაციების შექმნის შესაძლებლობის საკითხი, ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწოდებული გადაწყევტილებები, რომლითაც წლების მანძილზე იქმნებოდა და იცვლებოდა ვიწრო სპეციალიზაციების ფორმა და შინაარსი.

სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება: კვლევის გუნდმა საჯარო, მათ შორის სტატისტიკური, ინფორმაცია გამოითხოვა ქუთაისის, თბილისის, ბათუმის, რუსთავის საქალაქო სასამართლოებიდან, ასევე ქუთაისისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოებიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოდან და იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან. წინამდებარე კვლევაში გაკეთებული მიგნებები, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით მიღებული მონაცემების ანალიზს ეფუძნება.

ჩაღრმავებული ინტერვიუები პროფესიულ წრეებთან: კვლევის გუნდი ჩაღრმავებული ინტერვიუს ფორმატით სულ 24 რესპონდენტს ესაუბრა:

---

[2]Consultative Council of European Judges (CCJE), *Opinion (2012) No. 15 of the Consultative Council of European Judges on the Specialization of Judges*, 13 November 2012, para 4. https://bit.ly/3ltLv6y [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

- ორგანიზაციამ კვლევაში მონაწილეობისთვის 223 მოსამართლე მოიწვია, მათგან თანხმობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 16-მა მოსამართლემ განაცხადა;
- კვლევის გუნდი ასევე ესაუბრა 5 ადვოკატს, რომელთაგან 2 სისხლის სამართლის, ხოლო 3 სამოქალაქო სამართლის სპეციალისტია;
- ინტერვიუ ჩატარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2 წევრთან - ნაზი ჯანეზაშვილთან და რევაზ ნადარაიასთან. კვლევაში მონაწილეობისათვის ასევე მოწვეულ იქნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე და საბჭოს მოსამართლე წევრი დიმიტრი გვრიტიშვილი, თუმცა დატვირთული გრაფიკის მიზეზით მათ კვლევაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს;
- კვლევის გუნდი ესაუბრა ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს იურიდიულ მრჩეველს გიორგი ჯუღელს;
- ორგანიზაციამ თხოვნით მიმართა იუსტიციის სამინისტროს კვლევაში მონაწილეობისთვის, თუმცა პასუხი არ მიუღია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვლევაში 4 ადვოკატისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2 მოსამართლის ვინაობა იდენტიფიცირებული არ იქნება. ამ გადაწყვეტილების მიღება, მათი სურვილის გათვალისწინებით მოხდა.

კვლევის გუნდმა შეისწავლა ასევე საერთო სამართლისა და კონტინენტურ-ევროპული სამართლის სისტემის ქვეყნების პრაქტიკა, რაც რეკომენდაციების შემუშავების პროცესში გამოიყენა.

შესავალი

წინამდებარე კვლევის მიზანი საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში ვიწრო სპეციალიზაციების ეფექტიანობის განსაზღვრა და იმ რისკების იდენტიფიცირებაა, რაც საფრთხეს შეიძლება უქმნიდეს მოსამართლის დამოუკიდებლობას. კვლევის დიდი ნაწილი, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეთმობა ასევე კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის ეფექტიანობის და სტრუქტურის შესწავლას. როგორც მიგნებების, ასევე რეკომენდაციების შემუშავების ეტაპზე, მკვლვარებმა გაითვალისწინეს საერთო სასამართლოების სისტემაში დღეს არსებული მდგომარეობა, საერთო კონტექსტი და ასევე ის ფაქტი, რომ სისტემა რეალურად გავლენიან მოსამართლეთა ვიწრო ჯგუფის მიერ იმართება.

2020 წელს ქართული მართლმსაჯულების სისტემა კვლავ მძიმე გამოწვევების წინაშე დგას. ხელისუფლებამ, რომელიც 2012 წელს სამართლიანი სასამართლოს შექმნის დაპირებით მოვიდა, წლების მანძილზე არ აჩვენა პოლიტიკური ნება, შეექმნა ღირსეული, დამოუკიდებელი და ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემა.

პარტია „ქართულმა ოცნებამ" 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, სასამართლო რეფორმის „ოთხი ტალღა" განახორციელა. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმებს გარკვეული ნაწილი დადებით ინიციატივებს ითვალისწინებდა, ხელისუფლების მიდგომა ძირითადად ფრაგმენტული და არათანმიმდევრული იყო. გარკვეულ შემთხვევებში რეფორმა მხოლოდ და მხოლოდ ვიწრო ჯგუფის ინტერესების გაძლიერებას ემსახურებოდა. სასამართლო სისტემაზე წლების მანძილზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ხელისუფლებამ დროთა განმავლობაში უარი თქვა, დამოუკიდებელი მართლმსაჯულების შექმნის იდეაზე.[3]

---

[3]ვრცლად იხილეთ: „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", *კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში,* 2018, გვ.18-31. https://bit.ly/2Pxr21T [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის არჩევნები გარდამტეხი აღმოჩნდა სისტემისთვის. ამ არჩევნებზე ძალაუფლება მოსამართლეთა ერთმა საკმაოდ გავლენიანმა ჯგუფმა მოიპოვა, რაც წლების მანძილზე მოპოვებული ძალაუფლების გამყარებით გაგრძელდა.[4] ამ პერიოდიდან, სისტემიდან ეტაპობრივად განიდევნა განსხვავებული აზრი,[5] ხოლო მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული თანამდებობები მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის წარმომადგენლებმა ან მათთან დაახლოვებულმა პირებმა დაიკავეს.[6] დღესდღეობით სასამართლოს ადმინისტრირება სრულად ამ ვიწრო ჯგუფის ხელშია, მათ შორის: მოსამართლეთა დანიშვნის/გათავისუფლების, დაწინაურების, დისციპლინირების, დანამატების განსაზღვრისა და სასამართლოს თავმჯომარეების დანიშვნის მექანიზმები, რაც იუსტიციის საბჭოს მიერ ხშირად შერჩევითად გამოიყენება. მოსამართლეთა ამ ჯგუფს დღეს ე.წ. კლანის სახელით მოიხსენიებენ.[7]

საბოლოოდ, სასამართლო სისტემაში არსებული გავლენიანი მოსამართლეების კერძო ინტერესები და მათ მიმართ ხელისუფლების ირიბი თუ პირდაპირი მხარდაჭერა ფაქტობრივად 2019-2020 წლებში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დაკომპლექტების პროცესმა ნათლად წარმოაჩინა. ხარვეზიანი და მძიმე პროცესის საფუძველზე,[8] საქართველოს პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს 14 მოსამართლე აირჩია, რომელთა უდიდეს ნაწილს კეთილსინდისიერებისა და კვალიფიკაციის მნიშვნელოვანი პრობლემები ჰქონდათ.[9] პარლამენტს კანდიდატები იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ წარუდგინა, რომელთა უმრავლესობას სწორედ გავლენიანი მოსამართლეები ან მათთან დაახლოებული პირები იყვნენ.[10] ამ მოსამართლეების უზენაეს სასამართლოში დანიშვნით ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, გააძლიერა მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის ძალაუფლება საერთო სასამართლოების სისტემაში.

მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის ძალაუფლება გაიზარდა ასევე საკონსტიტუციო სასამართლოშიც. 2020 წლის 3 აპრილს უზენაესი სასამართლოს პლენუმმა, რომელთა უმრავლესობას სწორედ „გავლენიანი მოსამართლეები" წარმოადგენენ, საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, ფორსირებულ რეჟიმში, საზოგადოებრივი დისკუსიის გარეშე, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ ხვიჩა კიკილაშვილი დანიშნა.[11] მიუხედავად იმისა, რომ ვაკანსია 2019 წლის 5 დეკემბრიდან არსებობდა, პლენუმმა ფაქტობრივად ისარგებლა საგანგებო მდგომარეობის მოქმედებით და ვაკანსია იმ დროს შეავსო, როდესაც საზოგადოებრივი ყურადღება ქვეყანაში არსებული ვითარების გამო შემცირებული იყო.[12] უზენაესი სასამართლოს პლენუმის მხრიდან გადადგმულმა ამ ნაბიჯმა სასამართლოსადმი უნდობლობა კიდევ უფრო გააღრმავა. სწორედ ამ პერიოდში დანიშნულმა წევრემა, ხვიჩა კიკილაშვილმა, გადაწყვიტა საბოლოოდ სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი სარჩელის ბედი, რომელიც უზენაესი სასამართლოს შერჩევის პროცედურის არაკონსტიტუციურობას ეხებოდა. სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მის არ დაკმაყოფილებას მხარი 8

---

[4] იქვე, გვ. 32-34.

[5] იქვე, გვ. 40.

[6] იქვე, გვ.35-39.

[7] სტუდია მონიტორი, *ჩინჩალაძის კლანი - სასამართლო რეფორმის კრახი,* 2018. https://bit.ly/3kt4IoD [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[8] „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო", *უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის 1 წლიანი პროცესის ქრონოლოგია,* 2020. https://bit.ly/33AYnBq [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[9] კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, *უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასება,* 2020. https://bit.ly/3kpRFEq [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[10] კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, *იურიდიულ კომიტეტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მოსმენის პროცესის შეფასება,* 2019. https://bit.ly/33H9LvH [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[11] 2020 წლის 3 აპრილს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ ხვიჩა კიკილაშვილი დაინიშნა. http://www.supremecourt.ge/news/id/2062 [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[12] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", *COVID-19 ინფექციის გამოწვევის მართვა - ხელისუფლების ქმედებების შეფასების ანგარიში,* 2020.: https://bit.ly/2Esl54f [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

მოსამართლიდან ოთხმა: მერაბ ტურავამ, ხვიჩა კიკალიშვილმა, ევა გოცირიძემ და მანანა კობახიძემ დაუჭირეს მხარი. ოთხმა მოსამართლემ: თეიმურაზ ტუღუშმა, ირინე იმერლიშვილმა, გიორგი კვერენჩხილაძემ და თამაზ ცაბუტაშვილმა განსხვავებული აზრი დაწერეს.[13][14] საკითხს სახალხო დამცველიც გამოეხმაურა და განაცხადა:

> "[ხვიჩა კიკილაშვილი] სასაგანგებო მდგომარეობის დროს, გაუმჭვირვალე პროცედურით სწორედ იმ მოსამართლეთა მიერ შეირჩა, რომლებიც სადავო ნორმების საფუძველზე განმწესდნენ უზენაეს სასამართლოში. ეს ფაქტორი განსაკუთრებით იმსახურებს ხაზგასმას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეფასებისას და აჩენს ეჭვებს გადაწყვეტილების მიღების მოტივაციასთან დაკავშირებით."[15]
>
> ნინო ლომჯარია
> სახალხო დამცველი

ვიწრო სპეციალიზაციების შექმნის საერთაშორისო სტანდარტი

მსოფლიოს მასშტაბით, როგორც საერთო სამართლის, ასევე კონტინენტურ-ევროპული სამართლის სისტემის ქვეყნებში შეინიშნება სპეციალიზაციის ტენდენცია, რაც ძირითადად ეკონომიკისა და სამართლის განვითარების თანმდევი შედეგია.[16] რაც უფრო კომპლექსური და სპეციფიური ხდება სამართალი და მოდერნიზდება ეკონომიკური გარემო, მით უფრო მეტად ჩნდება სპეციალიზაციის მოთხოვნილება. სხვადასხვა კვლევამ აჩვენა, რომ სასამართლო სპეციალიზაციები მნიშვნელოვანია ისეთი საქმეების განხილვისას, რომელიც არის კომპლექსური და საჭიროებს სპეციფიურ ცოდნასა და გამოცდილებას.[17]

სპეციალიზებული მოსამართლე არის პირი რომელიც განიხილავს დავებს მხოლოდ სამართლის ვიწრო სფეროდან.[18] სპეციალიზაციის ყველაზე გავრცელებული სფეროებია სისხლის სამართალი, საგადასახადო სამართალი, საოჯახო სამართალი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, გადახდისუუნარობის სამართალი და კომერციული სამართალი.[19] სპეციალიზაცია შეიძლება მნიშვნელობანი საშუალება იყოს მართლმსაჯულების განვითარებისა და ჯანსაღი პროცესების ხელშეწყობისათვის, თუმცა გადამწყვეტია, სპეციალიზაციის ფორმის სწორი შერჩევა და მისი ადეკვატური გამოყენება.[20]

---

[13] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების - თეიმურაზ ტუღუშის, ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. https://bit.ly/3jaXgNf [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[14] „საკონსტიტუციოს 4 მოსამართლე ამავე სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და დასაბუთებას აკრიტიკებს", 2020 წლის 12 აგვისტო. https://bit.ly/3goZSp8 [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[15] „ლომჯარია უკიდურესად შემაშფოთებელს უწოდებს საკონტიტუციოს უარს სარჩელის დაკმაყოფილებაზე", 2020 წლის 30 ივლისი. https://bit.ly/2YwexbL [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[16] Lawrence Baum, *Specializing the Courts,* University of Chicago Press, 2011.

[17] Heike Gramckow and Barry Walsh, *Developing Specialized Court Services: International Experiences and Lessons Learned*, The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, 2013. https://bit.ly/3bccQpi [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[18] Consultative Council of European Judges (CCJE), *Opinion (2012) No. 15 of the Consultative Council of European Judges on the Specialization of Judges*, 13 November 2012, para. 5. https://bit.ly/3ltLv6y [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[19] *ibid.*, para. 42.

[20] Dory Reiling, *Court Specialization or Special Courts? A Toolkit for Development*, Justice Reform Practice Group (LEGJR), World Bank. https://bit.ly/3jtSc6G [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

სპეციალიზაცია იშვიათად არის მიზანმიმართული არჩევანი, ის უფრო ხშირად კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებთან ადაპტირების საჭიროებიდან გამომდინარეობს. სპეციალიზებული მოსამართლეები ან/და სასამართლოები მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში კანონმდებლობის ან საქმის სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა იქნას შემოღებული, რათა ეფექტიანი მართლმსაჯულების მიზანი იქნეს მიღწეული.[21]

სპეციალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები

საერთაშორისო ნორმებისა და კანონმდებლობის ხშირი ცვილილება, ახალი პრეცედენტებისა და დოქტრინის დადგენა იურიდიულ მეცნიერებას უფრო ვრცელსა და კომპლექსურს ხდის.[22] მოსამართლისათვის სირთულეს შეიძლება წარმოადგენდეს ყველა დარგის დაუფლება, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც საზოგადოებისა და მოსარჩელეების მოთხოვნა უფრო მეტად პროფესიულ და ეფექტიან სასამართლოზე დღითიდღე იზრდება. სპეციალიზაციის პირობებში კი მოსამართლე უფრო ადვილად უწყობს ფეხს ცვლილებებს და შესაბამისად, მოსამართლეს გააჩნია კონკრეტულ სფეროში აუცილებელი სპეციფიური ცოდნა და გამოცდილება.

სპეციალიზაციის პირობებში, იზრდება მოსამართლეების კვალიფიკაციისა და სამართლის შესაბამისი დარგის საფუძვლიანი ცოდნა, უმჯობესდება სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ხარისხი, რამაც გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის პარალელურად შესაძლოა სასამართლოს ავტორიტეტისა და ნდობის ზრდაც გამოიწვიოს.[23] მოსამართლეები, რომლებსაც ერთი და იმავე ტიპის საქმეებთან აქვთ შეხება, გააჩნიათ უკეთესი შესაძლებლობა სრულყოფილად გამოიკვლიონ განსახილველი საკითხი, დავის გადაწყვეტისას შეიმუშავონ მულტიდისციპლინური მიდგომა, მხედველობაში მიიღონ საკითხის ტექნიკური, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები და გამოიტანონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ხსენებული რეალობისთვის უფრო მეტად შესაფერისი იქნება.[24]

გარდა ამისა, მაღალკვალიფიციური და კეთილსინდისიერი სპეციალიზებული მოსამართლეთა ჯგუფის ხელში საქმეების კონკრეტული სფეროდან კონცენტრირება ხელს უწყობს სასამართლოს გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობასა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.[25] არსებობს მოსაზრება, რომ სამართლებრივი განჭვრეტადობისა და სასამართლოს მიმართ ნდობის ზრდის პირობებში მცირდება გადაწყვეტილებების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების რაოდენობა.[26] ამდენად,

---

[21] Consultative Council of European Judges (CCJE), *Opinion (2012) No. 15 of the Consultative Council of European Judges on the Specialization of Judges*, 13 November 2012.

[22] Heike Gramckow and Barry Walsh, *Developing Specialized Court Services: International Experiences and Lessons Learned*, The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, 2013.

[23] Consultative Council of European Judges (CCJE), *Opinion (2012) No. 15 of the Consultative Council of European Judges on the Specialization of Judges,* 13 November 2012, para. 9.

[24] Consultative Council of European Judges (CCJE), *Opinion (2012) No. 15 of the Consultative Council of European Judges on the Specialization of Judges,* 13 November 2012, paras. 10-12.
Markus B. Zimmer, Overview Of Specialized Courts, International Journal For Court Administration, August 2009.

[25] *ibid.*

[26] Heike Gramckow and Barry Walsh, *Developing Specialized Court Services: International Experiences and Lessons Learned*, The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, 2013.
Markus B. Zimmer, *Overview Of Specialized Courts,* International Journal For Court Administration, August 2009.

მოსამართლის კომპეტენციის ზრდით, საქმეთა წარმოებისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების გზით შესაძლოა გაუმჯობესდეს მართლმსაჯულების ეფექტიანობა.[27]

სპეციალიზაციის დადებითი მხარეების მიუხედავად, მხედველობაშია მისაღები ის საფრთხეები, რომლებიც სპეციალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს. გადაჭარბებული ინდივიდუალური სპეციალიზაციის პირობებში, მოსამართლეები მოწყვეტილი არიან სამართლის სხვა, თუნდაც ახლო მდგომ სფეროში არსებულ სამართლებრივი მოვლენებს, რის გამოც მათი ცოდნის არეალი თანდათანობით იზღუდება.[28] ისინი პოტენციურად იზოლირებულები არიან სამართლის სხვა დარგებისაგან, რითაც ფერხდება მოსამართლისათვის აუცილებელი მრავალმხრივობა და მოქნილობა.[29] საბოლოოდ კი ხელი ეშლება მოსამართლის პროფესიული განვითარებას, რამაც მართლმსაჯულების სისტემა (განსაკუთრებით მისი ადმინისტრირების კუთხით) შესაძლოა განსხვავებული გამოწვევების წინაშე დააყენოს.

გარდა ამისა, სამართლის დარგების ზოგადი ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობის პირობებში, სპეციალიზებული მოსამართლე ნაკლებად კონკურენტუნარიანია სხვა მოსამართლეებთან შედარებით, რაც ამცირებს მობილობისა და მისი კარიერული ზრდის შანსებს.[30]

ამასთან, ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეებს საქმის განხილვისას შესაძლოა გაუჩნდეთ სურვილი, რომ გაიმეორონ მათ მიერ წინათ მიღებული გადაწყვეტილებები, რამაც შესაძლოა შეაფერხოს პრეცედენტული სამართლის განვითარება.[31] სპეციალიზებული მოსამართლეები, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან ვიწროდ განსაზღვრულ სამართლებრივ საკითხებზე, მეტწილად მოკლებულნი არიან შესაძლებლობას გაეცნონ სხვა სახის სამართლებრივ შეხედულებებს. დოქტრინალური იზოლაციის პირობებში, შესაძლებელია, საკითხთან დაკავშირებით ცალმხრივი შეხედულებები ჩამოუყალიბდეთ, რაც მათ ობიექტურობას აყენებს რისკის ქვეშ. ნორმის შეფარდებისა და ადრე განვითარებული მსჯელობის კრიტიკული გადამოწმება, დახვეწა, განვითარება და ახალი მიდგომების დანერგვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც ინდივიდუალური მოსამართლის, ასევე პრეცედენტული სამართლის განვითარებისათვის. ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეები კი ძირითადად ერთი და იმავე შინაარსის სამართლებრივ საკითხებს იხილავენ. შედეგად, გადაწყვეტილებების გამოტანა იქცევა მექანიკურ პროცესად, რა დროსაც წინათ მიღებული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს ახალი დავის საბოლოო ბედზე. გარდა ამისა, განსახილველი საკითხების სივიწროვემ და სამართლებრივმა იზოლაციამ შესაძლოა ნაკლებ მიმზიდველი გახადოს სპეციალიზებული მოსამართლეობა, რაც ხელს შეუშლის ახალი, ნიჭიერი და კვალიფიციური იურისტების მოზიდვას.[32] ამ ფაქტორების გამო, არსებობს საფრთხე, რომ არ განვითარდეს პრეცედენტული სამართალი და მოსამართლეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დროთა განმავლობაში უცვლელი დარჩეს. ეს საშიშროება წარმოიქმნება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გადაწყვეტილებები ერთი და იმავე მოსამართლეთაგან შემდგარი ვიწრო ჯგუფის მიერ მიიღება.

---

[27] Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion (2012) No. 15 of the Consultative Council of European Judges on the Specialization of Judges, 13 November 2012, para. 13.
Dory Reiling, *Court Specialization or Special Courts? A Toolkit for Development*, Justice Reform Practice Group (LEGJR), World Bank. https://bit.ly/3jtSc6G [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[28] European Commission for the Efficiency of Justice, *Territorial Jurisdiction,* 5 December 2003. https://bit.ly/2QCEm5B [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[29] Heike Gramckow and Barry Walsh, *Developing Specialized Court Services: International Experiences and Lessons Learned*, The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, 2013.

[30] *ibid.*

[31] Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion (2012) No. 15 of the Consultative Council of European Judges on the Specialization of Judges, 13 November 2012, para. 15.

[32] Markus B. Zimmer, *Overview Of Specialized Courts,* International Journal For Court Administration, August 2009.

ზოგიერთ შემთხვევაში სპეციალიზაცია შეიძლება იყოს შემაფერხებელი ფაქტორი სასამართლო სისტემის ერთიანობისათვის. სპეციალიზებულ მოსამართლეებს, შესაძლოა გაუჩნდეთ იმის აღქმა, რომ არიან სხვა მოსამართლეებისაგან განსხვავებულნი და წარმოადგენენ მოსამართლეთა ელიტური ჯგუფის ნაწილს.[33] ამის გარდა, საზოგადოებაში შეიძლება გაჩნდეს აღქმა, რომ სასამართლოს სისტემაში არსებობენ „სუპერ მოსამართლეები", რამაც იმ მოსამართლეებისადმი ნდობის დაკარგვა შეიძლება გამოიწვიოს, რომლებიც არ შედიან სპეციალიზებულ მოსამართლეთა კატეგორიაში.[34] მაგალითად, სპეციალიზებულ ბიზნეს სასამართლოს შექმნამ მოსახლეობაში შეიძლება გააჩინოს აღქმა, რომ ბიზნეს საზოგადოება სარგებლობს უკეთესი სასამართლოს სერვისით და მათ უპერატესობა ენიჭებათ მოსახლეობის დარჩენილ ნაწილთან შედარებით.[35]

ვიწრო სპეციალიზაციის შექმნის მიზანი (ან თანმდევი შედეგი) შესაძლოა მხარეების, დაინტერესებული ჯგუფების ან სახელმწიფო ორგანოების მიერ მოსამართლეების გავლენის ქვეშ მოქცევა ან ზეწოლა იყოს.[36] იქ სადაც სამართლის ვიწრო სპეციალიზაცია მოქმედებს ან სპეციალიზაცია სამართლის აქტუალურ სფეროს ეხება, არსებობს იმის მომეტებული რისკი, რომ მოსამართლეთა შერჩევა მოხდეს პოლიტიკური ან გავლენიანი ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებით. კონკრეტული კანდიდატის სპეციალიზაციაში დანიშვნა შესაძლებელია განსაკუთრებულ ძალისხმევას ან ინტენსიურ ლობირებას საჭიროებდეს. მხარდაჭერის სანაცვლოდ, ასეთმა მოსამართლეებმა შესაძლოა მომავალში გამოიტანონ ინტერესთა ჯგუფებისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებები.[37] გარდა ამისა, სასამართლო სისტემა შესაძლოა მოექცეს იმ სპეციალიზებული მოსამართლეების გავლენის ქვეშ, რომელთაც საკუთარი დღის წესრიგი და პრიორიტეტები აქვთ. იმის გამო, რომ ვიწრო სპეციალიზაციის საქმეების განხილვაში მონაწილეობას მოსამართლეთა, ადვოკატთა და ექსპერტთა ვიწრო ჯგუფი იღებს, არსებობს რისკიც, რომ პროცესის მონაწილეთა შორის ფამილარული ურთიერთობა ჩამოყალიბდეს, რაც თავის მხრივ ფარული გავლენებისა და კორუფციის საფრთხეს წარმოშობს.[38] ამ რისკების აცილების ერთ-ერთ გზად სამართლის მსგავსი სფეროების გაერთიანება და სპეციალიზებული სასამართლოს იურისდიქციის გამსხვილება მიიჩნევა.[39]

რა თქმა უნდა სპეციალიზაცია მოსამართლეთა კვალიფიკაციას და გადაწყვეტილების ხარისხს მნიშვნელოვნად ზრდის, თუმცა გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის პოტენციური რისკები, რომლებიც სპეციალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს. სპეციალიზებული სასამართლოს ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის სპეციალიზაციის შესაბამისი მოდელსა და სტრატეგიას, მოსამართლეთა შერჩევის, მათი შეფასებისა და დაწინაურების წესს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

---

[33] Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion (2012) No. 15 of the Consultative Council of European Judges on the Specialization of Judges, 13 November 2012, para. 18.

[34] Heike Gramckow and Barry Walsh, *Developing Specialized Court Services: International Experiences and Lessons Learned*, The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, 2013.

[35] Heike Gramckow and Barry Walsh, *Developing Specialized Court Services: International Experiences and Lessons Learned*, The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, 2013.
Markus B. Zimmer, *Overview Of Specialized Courts,* International Journal For Court Administration, August 2009.
Goran Koevski and Darko Spasevski, *Trends in Respect of Specialization of Commercial Disputes Judiciary,* 2019. https://bit.ly/3hKZ3Ix [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[36] Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion (2012) No. 15 of the Consultative Council of European Judges on the Specialization of Judges, 13 November 2012, para. 19.

[37] Markus B. Zimmer, *Overview Of Specialized Courts,* International Journal For Court Administration, August 2009.

[38] Lawrence Baum, *Probing the Effects of Judicial Specialization,* (2009) 58 Duke Law Journal 1667.
Friederike Henke, *Specialised Court Systems. Comparative Paper Analysing the Possibilities of Implementing a Specialised Court System in India*, 2005.

[39] Markus B. Zimmer, *Overview Of Specialized Courts,* International Journal For Court Administration, August 2009.

სპეციალიზაციის ფორმები

ზოგიერთ იურისდიქციაში სპეციალიზებული სასამართლოები საერთო სასამართლოებისგან ცალკე არსებობენ, სხვა შემთხვევებში კი სპეციალიზებული სასამართლო შეიძლება სასამართლოების უფრო დიდი ჯგუფის ნაწილი იყოს.[40] იგი ასევე შეიძლება სასამართლოს სისტემაში სპეციალიზებული პალატის, კოლეგიის ან დანაყოფის სახით შეიქმნას.[41] სპეციალიზაციის ფორმა და სტრუქტურა ნაწილობრივ ისტორიული თავისებურებებითა და სამართლებრივი სისტემის სახის, ხოლო ნაწილობრივ, კონკრეტული ტიპის სპეციალიზებულ სასამართლოს საჭიროებით არის განპირობებული.

სპეციალიზაციის ერთ-ერთი ფორმა სპეციალიზებული სასამართლოების ან სასამართლო სისტემის შექმნაა. მაგალითად, გერმანიის საერთო სასამართლოები განიხილავენ სისხლის, სამოქალაქო და საოჯახო სამართლის საქმეებს. აღნიშნულ სასამართლოებში არსებობს სპეციალიზაციები შემდეგი დარგების მიხედვით: საოჯახო სამართალი, ანდერძისა და მემკვიდრეობის საკითხები, არასრულწლოვანთა საქმეები, საემიგრაციო და თავშესაფართა მაძიებელთა საქმეები, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხები, პატენტის, საავტორო უფლებებისა და სავაჭრო ნიშანთან დაკავშირებული დავები, კომერციული დავები, გადახდისუუნარობის სამართალი, მძიმე დანაშაულების განმხილველი სასამართლო და საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობის განმახორციელებული სასამართლო.[42] ამის გარდა, არსებობს სპეციალიზებული სასამართლოები, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან ადმინისტრაციულ, შრომისა და საგადასახადო დავებზე. აღნიშნული სასამართლოები როგორც პირველი ინსტანციის, ასევე აპელაციის დონეზე წარმოადგენენ განცალკევებულ სპეციალიზებულ სასამართლოებს, რომლებსაც აქვთ დამოუკიდებელი სისტემა, ფინანსები და ორგანიზაციული მოწყობა.[43]

საფრანგეთში სასამართლოს სისტემის სპეციალიზაცია ხდება სპეციალიზებული სასამართლოების შექმნით ან სასამართლოებში პალატების, დანაყოფების შექმნითა თუ ინდივიდუალური მოსამართლეებისათვის სპეციალიზაციის მინიჭებით.[44] გარდა ამისა, არსებობს საერთო სასამართლოს სისტემის გარეთ შექმნილი სასამართლოები, თუმცა მათი რაოდენობა არც თუ ისე ბევრია.[45]

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს ფედერალური სასამრთლოების სისტემა და შტატების სასამართლო სისტემა. სპეციალიზირებული ფედერალური სასამართლოებიდან აღსანიშნავია აშშ-ს საგადასახადო სასამართლო (U.S. Tax Court), სამხედრო ძალების საჩივრების განმხილველი სასამართლო (U.S. Court Of Appeals For The Armed Forces), გადახდისუუნარობის დავების განმხილველი სასამართლოები

---

[40] Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion (2012) No. 15 of the Consultative Council of European Judges on the Specialization of Judges, 13 November 2012.

[41] Heike Gramckow and Barry Walsh, *Developing Specialized Court Services: International Experiences and Lessons Learned*, The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, 2013.

[42] Consultative Council of European Judges (CCJE),Questionnaire with a View of the Preparation of Opinion No. 15 on Specialisation of Judges and Courts, Replies from Germany, 16 December 2011.

[43] Heike Gramckow and Barry Walsh, *Developing Specialized Court Services: International Experiences and Lessons Learned*, The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, 2013.

[44] Consultative Council of European Judges (CCJE),Questionnaire with a View of the Preparation of Opinion No. 15 on Specialisation of Judges and Courts, Replies from France, 16 December 2011.
European Commission for the Efficiency of Justice, *Territorial Jurisdiction,* 5 December 2003. https://bit.ly/2QCEm5B [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[45] *ibid.* ასეთ სასამართლოებს წარმოადგენენ ადმინისტრაციული და საემიგრაციო სასამართლოები.

(Bankruptcy Courts), საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ დავების განმხილველის სასამართლოები (U.S. Court Of International Trade).[46]

შტატების სასამრთლო სისტემა არის მთავარი ფორუმი, სადაც სხვადასხვა შინაარსის დავები განიხილება. შტატებს განსხვავებული სასამართლო სისტემა აქვს და არა არსებობს მათი შექმნისა და ფუნქციონირების უნივერსალური სტანდარტი. შტატების სასამართლოების სისტემაში არსებობს საერთო სასამართლოები და სპეციალიზებული სასამართლოები, მათ შორის ისინი დაყოფილია შემდეგი სფეროების მიხედვით: საოჯახო, გარემოსდაცვითი, საგადასახადო, მიწის საკითხებთან დაკავშირებული, ადმინისტრაციული და და არასრულწლოვანთა საქმეები.[47]

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკის შეერთებულ შტატებში განვითარდა „საქმეთა ნაკადის მართვის" მოდელი, რომელიც სასამართლოს თავმჯდომარეს აძლევდა შესაძლებლობას საქმეთა რაოდენობისა და დატვირთვის შესაბამისად კონკრეტული კატეგორიის საქმეებისათვის უფრო მეტი მოსამართლის რესურსი გამოეყენებინა.[48] აღნიშნული მოდელი გავრცლებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და საერთო სამართლის სისტემის რამდენიმე ევროპულ სახელმწიფოში.

ამდენად, არ არსებობს სპეციალიზებული სასამართლოების უნივერსალური ფორმა და ისინი განსხვავდება იურისდიქციის, მოდელის, სასამართლოს შემადგენლობის სიდიდისა და საქმეთა მენეჯმენტის მიხედვით.[49] თუმცა ყველა შესწავლილი მოდელის საერთო დამახასიათებელი ნიშანია, რომ ისინი საჭიროების მიხედვით იქმნება. სპეციალიზაცია შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა კრიტერიუმზე დაყრდნობით. მაგალითად, დავის არსის მიხედვით - სპეციალიზაცია სისხლის სამართალში, კომერციულ, საოჯახო ან გადახდისუუნარობის სამართალში, სუბიექტების მიხედვით - საქმეები, რომლებშიც მონაწილეობენ არასრულწლოვნები ან ემიგრანტები, გეოგრაფიული არეალის მიხედვით, სასამართლო ეტაპების მიხედვით და ა.შ.[50]

როგორც წესი, სპეციალიზაციის საჭიროება მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოებში დგას. სასამართლო სტრუქტურის უფრო მაღალ რგოლში მოსამართლეთა სპეციალიზაცია დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ფართო სპეციალიზაციების განსაზღვრა. საქმეებს არ უნდა განიხილავდეს მოსამართლეების ძალზე ვიწრო ჯგუფი, რომელსაც შეეძლება ნორმათა ცალმხრივი ინტერპრეტირება, და მაშასადამე, სამართლის განვითარების შეფერხება.[51] უპირატესობა უნდა მიენიჭოს სააპელაციო საჩივრის უნივერსალური მოსამართლის მიერ განხილვას, რა დროსაც გადაწყვეტილება სამართლის სხვადასხვა დარგის ანალიზსა და შეფასებას დაეფუძნება.[52]

სპეციალიზებული დანაყოფის შექმნა ნაკარნახევი უნდა იყოს კონკრეტული ტერიტორიაზე არსებული საჭიროებით. მაგალითად, საპორტო ქალაქებში შეიძლება შეიქმნას საზღვაო სამართალთან დაკავშირებული

---

[46] Markus B. Zimmer, *Overview Of Specialized Courts,* International Journal For Court Administration, August 2009.

[47] *ibid.*

[48] David C. Steelman, John A. Goerdt, and James E. McMillan, *Caseflow Management. The Heart of Court Management in the New Millennium*, National Center for State Courts, 2000.

[49] Lee Applebaum, *The Steady Growth of Business Courts,* The National Center for State Courts, 2011. https://bit.ly/3hJmfH4 [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[50] Heike Gramckow and Barry Walsh, *Developing Specialized Court Services: International Experiences and Lessons Learned*, The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, 2013.

[51] Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion (2012) No. 15 of the Consultative Council of European Judges on the Specialization of Judges, 13 November 2012, para. 45.

[52] Markus B. Zimmer, Overview Of Specialized Courts, International Journal For Court Administration, August 2009.

დავების განმხილველი სპეციალიზებული სასამართლო, ან რეგიონის კომერციულ ცენტრებში შეიქმნას ბიზნეს დავების განმხილველი სასამართლო. ნიდერლანდების სამეფოში არსებობს ე.წ. „მოგზაური მოსამართლეების“ ინსტიტუტი. ასეთი მოსამართლეები ერთგვაროვანი სახის დავების გადასაწყვეტად ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ჩადიან. გარდა ამისა, არსებობს ცენტრალიზებული სასამართლო დანაყოფები (*Noordelijke Fraudekamer* - სპეციალიზებული სასამართლო თაღლითობის საქმეების განსახილველად), რომლებიც ქვეყნის მასშტაბით არსებულ დავებს განიხილავენ.[53]

სპეციალიზაციის საჭიროება სამართალწარმოების პროცესის სპეციფიური მიზნის არსებობის გამო შეიძლება დადგეს. მაგალითად, საოჯახო ან არასრულწლოვნებთან დაკავშირებული პროცესი სამართალთან ერთად ფსიქოლოგიის ცოდნასაც მოითხოვს. იგი ხშირად არაფორმალურ გარემოში ტარდება და მისი უმთავრესი მიზანი მხარეთა შერიგებაა. ამიტომ, შესაძლოა, ამ კატეგორიის საქმეებთან დაკავშირებით სპეციალიზაციისა და დამატებითი ტრენინგების საჭიროება დადგეს.

ავსტრალიის რამდენიმე შტატში მოქმედებს ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის განმხილველი სასამართლოები.[54] სპეციალიზაციისა და სპეციალური ტრენინგების გზით ოჯახური დანაშაულების მიმართ გაიზარდა მგრძნობელობა და სხვა უწყებებთან კოორდინაცია, სასამართლოსა და სხვა უწყებების რეგულარული უკუკავშირებით დაიხვეწა პრაქტიკა და კანონმდებლობა, გაუმჯობესდა მსხვერპლთა უფლებრივი მდგომარეობა, საქმეების განაწილება გახდა ბევრად უფრო ეფექტიანი, ხოლო გადაწყვეტილებები - უფრო მეტად თანმიმდევრული.[55]

სისხლის სამართლის სფეროში სპეციალიზაციის საჭიროება შეიძლება დადგეს ისეთი საკითხების განხილვისას, რომელიც განსაკუთრებული სირთულისაა ანდა მოწმეებსა და დაზარალებულებთან ურთიერთობა სპეციფიურ ცოდნას მოითხოვს. ასეთი ტიპის საქმეები შეიძლება იყოს ორგანიზებული დანაშაულსა და ელიტური კორუფციის (high-level corruption) საქმეები.[56]

სპეციალიზაციის შექმნის კრიტერიუმები

სპეციალიზიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ბევრ გარეგან და შინაგან ფაქტორზეა დამოკიდებული. იმის დასადგენად თუ სპეციალიზაციის რომელი ფორმა არის ყველაზე მისაღები და ეფექტიანი, ჩატარებული უნდა იყოს სპეციალური კვლევები, რომელშიც სათანადოდ ადგილი დაეთმობა სასამართლოს საჭიროებას, მართლმსაჯულებაში არსებულ პრობლემებსა და მის გამომწვევ სოციალური თუ ეკონომიკური ფაქტორების შესწავლას.[57]

---

[53] Elaine Mak, *Balancing Territoriality and Functionality. Specialization as a Tool for Reforming Jurisdiction in the Netherlands, France and Germany*, International Journal for Court Administration, October, 2008.

[54] Australian Law Reform Commision, Family Violence Improving Legal Frameworks https://bit.ly/2YLlBla [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[55] Australian Law Reform Commission (ALRC), Family Violence – A National Legal Response https://bit.ly/34IV8bH [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[56] Heike Gramckow and Barry Walsh, *Developing Specialized Court Services: International Experiences and Lessons Learned*, The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, 2013.

[57] Markus B. Zimmer, *Overview Of Specialized Courts, International Journal For Court Administration,* August 2009.

1980-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა შექმნა ფედერალური სასამართლოების შემსწავლელი კომიტეტი, რომლის მიზანი მათ შორის სპეციალიზებული სასამართლოების საქმიანობის შეფასება იყო.[58]

ანგარიშის მიხედვით, სპეციალიზებული სასამართლო შესაძლოა შეიქმნას თუ:

- სამართლის ერთი დარგი შესაძლებელია გამოიყოს სხვა სფეროსაგან;
- სამართლის ამ სფეროში განსაკუთრებით დიდი რაოდენობის დავებია, ხოლო სპეციალიზაციის შექმნით მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელება არის შესაძლებელი;
- კონკრეტული ტიპის დავები სამეცნიერო, ტექნიკურ ან სხვა სახის სპეციფიკურ საკითხების ცოდნას მოითხოვს. ამასთან, სპეციალიზაციით შესაძლებელი უნდა იყოს გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლის კვალიფიკაციის ზრდა;
- სამართლის კონკრეტულ სფეროში არ არსებობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა.

სპეციალიზაცია უნდა დაინერგოს საფუძვლიანი კვლევისა და საპილოტე პროგრამის წარმატებულად განხორციელების შემთხვევაში.[59] გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა დადგინდეს ნამდვილად არსებობს თუ არა სპეციალიზაციის საჭიროება და მისი გავლენა მოსამართლეებზე, მხარეებზე და მოსახლეობაზე.

სპეციალიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია შემდეგი ინფორმაციის საფუძვლიანი გაანალიზება:[60]

- სპეციალიზაციასთან დაკავშირებით მოსამართლეების, მხარეებისა და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების პოზიციები და დამოკიდებულება; შიდა და გარე ფაქტორების, საჩივრებისა და შეფასებების ანალიზი; ფოკუს ჯგუფებთან ჩატარებული ინტერვიუები;
- სპეციალიზაციის აუცილებლობის მიზეზები (საქმეების კომპლექსურობა, საქმეთა რაოდენობა, უფრო მარტივი და ნაკლებფორმალური პროცესის საჭიროება ან მართლმსაჯულების სხვა ინტერესები);
- საქმეების რაოდენობისა და მისი განხილვის ვადები სხვადასხვა კატეგორიის საქმეების, სასამართლოს ადგილმდებარეობისა და ინსტანციების მიხედვით;
- შეფასება სპეციალიზაციის კონკრეტული ფორმის უპირატესობის შესახებ და მისი მოსალოდნელი გავლენა საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში;
- სპეციალიზაციასთან დაკავშირებით სასამართლოს საპილოტე პროექტებისა და გამოცდილების ანალიზი;
- სპეციალიზაციის შემდეგ მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა კვალიფიკაციის ზრდის საშუალებები;

---

[58] Federal Reports Study Committee, *Report of the Federal Courts Study Committee*, Connecticut Law Review 22 (4), 1990.

[59] Antony Altbecker, J*ustice Through Specialisation? The Case of the Specialised Commercial Crime Court,*" Institute for Security Studies, 2003.

[60] Heike Gramckow and Barry Walsh, *Developing Specialized Court Services: International Experiences and Lessons Learned*, The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, 2013.
Dory Reiling, *Court Specialization or Special Courts? A Toolkit for Development*, Justice Reform Practice Group (LEGJR), World Bank. https://bit.ly/3jtSc6G [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

- სასამართლო სისტემაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება და მართლმსაჯულების ეფექტიანობის გაუმჯობესებისათვის საკანონმდებლო ცვლილებების წახალისება.

გარდა ამისა, სპეციალიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა დადგინდეს არის თუ არა მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა საკმარისი რაოდენობა, რომელსაც გააჩნიათ შესაბამისი უნარები, რათა სასამართლომ თავისი ფუნქციები ეფექტიანად შეასრულოს; აუცილებელია, წინასწარ განისაზღვროს, რა სახის გამოცდილებაა საჭირო სპეციალიზებულ სასამართლოში განსამწესებლად; საქმეთა რაოდენობა იძლევა თუ არა სპეციალიზაციის მხოლოდ განსაზღვრულ ტერიტორიებზე შექმნის გამართლებას და სხვა მოსარჩელეებს ექნებათ თუ არა სასამართლოსადმი წვდომის ადეკვატური შესაძლებლობა; საჭიროებს თუ არა სპეციალიზებული სასამართლო განსხვავებული წესების დადგენის აუცილებლობას.[61]

როგორც წესი, სპეციალიზაციის განსაზღვრა მხოლოდ დიდი რესურსებისა და ორგანიზაციული ფორმის მქონე სტრუქტურებში არის შესაძლებელი. სპეციალიზებული სასამართლოების შექმნა შესაძლებელია ისეთ სასამართლოებში, სადაც მოსამართლეთა რაოდენობა საკმარის ოდენობას აღწევს.[62] **სპეციალიზებულ სასამართლოში უნდა იყოს სულ მცირე ათი მოსამართლე.**[63] რაც უფრო დიდია სასამართლოს შემადგენლობა, მით უფრო მეტი შესაძლებლობაა, რომ მოხდეს სხვადასხვა დარგის მიხედვით სპეციალიზაცია.[64]

სპეციალიზაციის წარმატებულად დასანერგად აუცილებელია მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეების სწორი შერჩევა. პირველ რიგში, აუცილებელია შესაბამისი კრიტერიუმების დაწესება, რომლის საფუძველზეც მოხდება მოსამართლეთა შეფასება და მათი სპეციალიზებულ სასამართლოში განმწესება. უნდა განისაზღვროს რა სახის გამოცდილება, ცოდნა და უნარ-ჩვევებია საჭირო სპეციალიზებული მოსამართლეობისათვის.[65] სასურველია, სპეციალიზებულ სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობასა და მათ ვინაობას შეფასების შემდეგ კოლეგიური ორგანო განსაზღვრავდეს.[66]

გარდა ამისა, მოსამართლეებმა კონკრეტული სპეციალიზაციის მიხედვით მუშაობის სურვილი და მზაობაც უნდა გამოავლინონ. მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა განგრძობადი განათლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კარგად ჩამოყალიბებულ სისტემას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარებადი დემოკარატიის ქვეყნებისათვის. ამასთან, სასამართლო სპეციალიზაციას თან უნდა ახლავდეს მოსამართლის ჩართულობა ტრენინგებში, სემინარებში, კონფერენციებსა და სხვა სახის აქტივობებში, რომლებიც გაზრდის მის ცოდნასა და გამოცდილებას, რაც საბოლოო ჯამში გავლენას მოახდენს სასამართლო პროცესსა და გადაწყვეტილებების ხარისხზე.[67]

---

[61] Heike Gramckow and Barry Walsh, *Developing Specialized Court Services: International Experiences and Lessons Learned*, The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, 2013.

[62] Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion (2012) No. 15 of the Consultative Council of European Judges on the Specialization of Judges, 13 November 2012, para. 17.

[63] European Commission for the Efficiency of Justice, *Territorial Jurisdiction,* 5 December 2003. https://bit.ly/2QCEm5B [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[64] Dory Reiling, *Court Specialization or Special Courts? A Toolkit for Development*, Justice Reform Practice Group (LEGJR), World Bank. https://bit.ly/3jtSc6G [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[65]Lawrence Baum, *Probing the Effects of Judicial Specialization,* 58 Duke Law Journal 1667, 2009.
European Commission for the Efficiency of Justice, *Territorial Jurisdiction,* 5 December 2003. https://bit.ly/2QCEm5B [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[66] Consultative Council of European Judges (CCJE),Questionnaire with a View of the Preparation of Opinion No. 15 on Specialisation of Judges and Courts, Replies from Germany, 16 December 2011.
Consultative Council of European Judges (CCJE),Questionnaire with a View of the Preparation of Opinion No. 15 on Specialisation of Judges and Courts, Replies from Poland, CCJE(2011)7.

[67]Lawrence Baum, *Probing the Effects of Judicial Specialization,* 58 Duke Law Journal 1667, 2009.

ბიზნეს სასამართლოების მოდელები სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე

სამართლის სწრაფად მზარდი კომპლექსურობა, კანონმდებლობის ხშირი ცვლილება და ბიზნესის გლობალიზაცია არის ის მთავარი ფაქტორები, რამაც ბიზნეს სასამართლოების შექმნის მოთხოვნილება გააჩინა.[68] უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, მსოფლიოში შეიმჩნევა ტენდენცია, რომელიც სასამართლოების სისტემაში ბიზნეს სასამართლოების ან კომერციული სასამართლოების შექმნას გულისხმობს.

2004 წელს, ბიზნესდავების სწრაფი და ეფექტიანი განხილვის მიზნით ირლანდიაში კომერციული სასამართლო შეიქმნა.[69] კომერციული სასამართლოს მოსამართლე, რომელსაც მაღალი კვალიფიკაცია და ბიზნესდავების გადაწყვეტის ფართო გამოცდილება აქვს, განიხილავს 1 მილიონ ევროზე მეტი ღირებულების კომერციულ დავებს. ძირითადად, დავები ეხება კომერციულ სახელშეკრულებო საკითხებს, საჰაერო, საზღვაო, სახმელეთო გადაზიდვებს, ბუნებრივი რესურსების მოპოვებას, მანქანათმშენებლობას, სადაზღვეო სერვისს, საფონდო ბირჟებსა და ინვესტიციებს. გარდა ამისა, სასამართლოს შეუძლია წარმოებაში მიიღოს 1 მილიონ ევროზე ნაკლები ღირებულების კომერციული დავებიც. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ საქმეებს კი სასამართლო წარმოებაში იღებს დავის ღირებულების მიუხედავად. [70]

ბიზნეს სასამართლოში საქმისწარმეობის წესები შემუშავებულია იმგვარად, რომ ერთი მხრივ მხარეებს მიეცეთ საკმარისი დრო, ხოლო მეორე მხრივ დაჩქარდეს საქმეთა განხილვა და არ მოხდეს საქმის გაჭიანურება.[71] საქმისწარმოების ეფექტიანობა და საქმის განხილვის შემჭიდროვებული ვადები არის კომერციული სასამართლოს ერთ-ერთი მახასათებელი. წარმოებაში მიღებული საქმეების დაახლოებით 90% ერთ წელში მთავრდება.[72]

სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, საწყის ეტაპზევე მოსამართლე მხარეებს აძლევს მითითებას, რომ განსაზღვრონ დავის ზუსტი არსი, შეთანხმდნენ საკითხებზე, რომლებსაც მხარეები სადავოდ არ ხდიან, ერთმანეთს გაუცვალონ სარჩელთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის იმ მოწმეთა წერილობითი ჩვენებები, რომლებმაც სასამართლოში ზეპირი განმარტება უნდა მისცენ. იმისათვის, რომ არ მოხდეს სასამართლოს რესურსის ფუჭი ხარჯვა, მოსამართლე უფლებამოსილია მედიაციის ან მორიგების ხელშეწყობის მიზნით, საქმის განხილვა გადადოს 28 დღემდე ვადით. საქმის ყველა ეტაპი წინასწარ

European Commission for the Efficiency of Justice, *Territorial Jurisdiction,* 5 December 2003. https://bit.ly/2QCEm5B [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[68] Lee Applebaum, The Steady Growth of Business Courts, The National Center for State Courts, 2011.

Sundaresh Menon, International Commercial Courts: Towards a Transnational System of Dispute Resolution, 2015 https://bit.ly/3bh5bG3 [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[69]John O'Riordan, Ireland's Commercial Court: An Inside View, 2013. https://bit.ly/2YOI9RY [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[70] Mccann Fitzgerald, A Guide to Ireland's Commercial Court, A Decade of Innovation and Commercial Litigation, 2017. https://bit.ly/2YPNWqt [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[71] The Courts Service of Ireland https://bit.ly/3b9YK7G [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

Citizens Information, Commercial Court. https://bit.ly/3ltyA4y [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[72]John O'Riordan, Ireland's Commercial Court: An Inside View, 2013. https://bit.ly/2YOI9RY [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

განსაზღვრულ ვადაში, გაჭიანურების გარეშე განიხილება. სასამართლო ვადის დარღვევისათვის ხარჯების ანაზღაურებას წაგებულ მხარეს აკისრებს.[73]

სინგაპურის საერთაშორისო კომერციული სასამართლო (Singapore International Commercial Court), რომელიც 2015 წელს შეიქმნა, არის მაღალი რეპუტაციის მქონე, ობიექტური, ეფექტიანი და მომხმარებელზე გათვლილი სასამართლო, რომელსაც გადაწყვეტილება საშუალოდ 150 დღეში გამოაქვს.[74] სინგაპურის საერთაშორისო კომერციული სასამართლო იხილავს ტრანსნაციონალურ კომერციულ დავებს.[75] სასამართლოს განსჯადობაში შედის ისეთი საქმეები, რომელიც არის საერთაშორისო და კომერციული ხასიათის და მხარეები თანხმდებიან სინგაპურის საერთაშორისო კომერციული სასამართლოს იურისდიქციის გავრცელებაზე ან სინგაპურის პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე სინგაპურის საერთაშორისო კომერციულ სასამართლოში გადააგზავნა.[76]

სინგაპურის საერთაშორისო კომერციული სასამართლოს აქვს არაერთი უპირატესობა, მათ შორის, დავას განიხილავს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ადგილობრივი ან უცხოელი მოსამართლე ან მოსამართლეთა კოლეგია, მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცედურები არის მოქნილი და მხარეთა შეთანხმების შესაბამისად შეიძლება ადაპტირდეს, დავის განხილვისას შესაძლებელია გამოყენებული იქნეს უცხო ქვეყნის კანონმდებლობა, სასამართლო განხილვაში შესაძლებელია მონაწილეობდეს უცხო ქვეყნის ადვოკატი, მხარეთა მოთხოვნის შემთხვევაში პროცესი შესაძლებელია წარიმართოს დახურულ სასამართლო სხდომაზე.[77] სააპელაციო სასამართლოში სინგაპურის საერთაშორისო კომერციული სასამართლოს გადაწყვეტილებას იხილავს სამი ან მეტი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგია, რომელშიც მინიმუმ ერთი უცხოელი მოსამართლეც შედის.[78]

2010 წელს პარიზის კომერციულ სასამართლოში შეიქმნა სპეციალიზებული საერთაშორისო და ევროპული სამართლის პალატა (International and European Court Chamber), რომლის მიზანი კომპლექსური საერთაშორისო კომერციული საქმეების განხილვას წარმოადგენდა.[79] მიუხედავად იმისა, რომ პალატაში განხილულ საქმეებზე ფრანგული კანონმდებლობა ვრცელდება, მხარეთა შეთანხმებით სამართალწარმოების პროცესი ინგლისურად შეიძლება წარიმართოს. 2018 წელს შეიქმნა პარიზის სააპელაციო სასამართლოს საერთაშორისო პალატა (International Chamber of the Paris Court of Appeal). აღნიშნული სასამართლოების შექმნის ერთ-ერთი მიზანი სასამართლოს ცნობადობის გაზრდა და სხვა ქვეყნის კომერციული სასამართლოებისათვის კონკურენციის გაწევა იყო.[80]

---

[73] Mccann Fitzgerald, A Guide to Ireland's Commercial Court, A Decade of Innovation and Commercial Litigation, 2017. https://bit.ly/2YPNWqt [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[74] Singapore International Commercial Court https://bit.ly/3gJfqUO [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[75] Overview of the Singapore International Commercial Court https://bit.ly/31JenA2 [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[76] Man Yip, *The Singapore International Commercial Court: The Future of Litigation?* Erasmus Law Review, Vol. 12, No. 1, 2019. *https://bit.ly/2EHMsaT* [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[77] *The Singapore International Commercial Court: A Challenge to Arbitration? Banking and Finance Disputes Review.* https://bit.ly/32BRgXj [ბოლოს ნანახია 10.08.2020]
Man Yip, *The Singapore International Commercial Court: The Future of Litigation?* Erasmus Law Review, Vol. 12, No. 1, 2019. *https://bit.ly/2EHMsaT* [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[78] *ibid.*

[79] Ioana Knoll-Tudor (Jeantet), Specialised Chambers for International Commercial Disputes: Paris in the Spotlight, Kluwer Arbitration Blog, 2018. https://bit.ly/2EJQUpc [ბოლოს ნანახია 10.08.2020]
2018 წელს პალატის სახელი შეიცვალა (International Chamber of the Paris Commercial Court) და განისაზღვრა დავის განხილვის სპეციალური წესები და პროცედურები https://bit.ly/32HiY4G [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[80] Ioana Knoll-Tudor (Jeantet), Specialised Chambers for International Commercial Disputes: Paris in the Spotlight, Kluwer Arbitration Blog, 2018. https://bit.ly/2EJQUpc [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

სპეციალიზებული პალატა დაკომპლექტებულია მუდმივმოქმედი მოსამართლეებით, რომლებსაც აქვთ სათანადო გამოცდილება კომერციულ, ფინანსურ და ეკონომიკურ საქმეებში, ფრანგული სამართლის გარდა აქვთ უცხო ქვეყნების სამართლის ადეკვატური ცოდნა და აქვთ უნარი პროცესი წარმართონ ინგლისურ ენაზე.[81]

სპეციალიზებულ პალატაში პროცესი არის უფრო ხანმოკლე და ეფექტიანი. მოსამართლეები სასამართლოს სხდომებს ნიშნავენ მხარეებსა და მათი წარმომადგენლებთან შეთანხმებით. მოწმეები და ექსპერტები შესაძლოა სასამართლოში ჩვენების მისაცემად გამოიძახონ და დაიკითხნონ ჯვარედინი წესით, რაც ფრანგული კომერციული სამართალწარმეობისთვის დამახასიათებელი ნიშანი არ არის. სასამართლოს გადაწყვეტილება დგება ფრანგულ ენაზე, რომელსაც თან ერთვის დამოწმებული ინგლისურენოვანი თარგმანი.[82] გამარტივებული პროცესი ზოგავს დროს და რესურსებს, რაც იწვევს ინგლისურენოვანი იურისტებისა და ექსპერტების მიერ სასამართლოსადმი დაინტერესებას.

მსგავსი შინაარსისა და ფუნქციების მქონე კომერციული სასამართლოები ფუნქციონირებს ევროპის სხვა სახელმწიფოებში, მათ შორის გაერთიანებულ სამეფოში,[83] ნიდერლანდების სამეფოსა (Netherlands Commercial Court) და ბელგიაში (Brussels International Business Court).[84]

კომერციული სასამართლოების სხვადასხვა ფორმები არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. დელავერის სასამართლო იყო პირველი სასამართლო, რომელიც კომერციული დავების განხილვაში იყო სპეციალიზებული. გარდა ამისა, ნიუ იორკში გავრცელებული მოდელის (მაგალითად, New York's Commercial Division) მიხედვით სპეციალიზაციის განსჯად კატეგორიაში ხვდება საქმე, რომელსაც აქვს დავის საგნის განსაზღვრული ოდენობა და დავის არსი ექცევა ბიზნეს სასამართლოს სპეციფიური დავის კატეგორიაში. სხვა მოდელის მიხედვით (მაგ. Maryland's Business and Technology Case Management Program) ტექნოლოგიური, კომერციული, ბიზნეს ან სხვა ტიპის დავის განხილვისათვის აუცილებელია საქმე იყოს კომპლექსური.[85] არსებობს ე.წ. ჰიბრიდული მოდელიც (მაგ. North Carolina Business Court), რომლის მიხედვითაც კონკრეტული კატეგორიის საქმეები ავტომატურად ექცევა ბიზნეს სასამართლოს განსჯადობაში, ხოლო სხვა სახის დავების დასაშვებად ცნობისთვის აუცილებელია საქმე განსაკუთრებული სირთულით გამოირჩეოდეს.[86]

კომერციული სასამართლოების შექმნა გამოწვეულია საერთაშორისო და ევროპული სამართლის ნორმების მრავალფეროვნებით, გლობალიზაციითა და მის ფონზე სამართლებრივ და სასამართლო სისტემებს შორის

---

[81] International Chamber of Paris Commercial Court and International Chamber of Paris Court of Appeal: One Year Later. https://bit.ly/34LTCW9 [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[82] First decision of the International Commercial Chamber of the Paris Court of Appeal: Clarifications on the Arbitrator's Duty of Disclosure https://bit.ly/2Eworne [ბოლოს ნანახია 10.08.2020]
International Chamber of Paris Commercial Court and International Chamber of Paris Court of Appeal: One Year Later. https://bit.ly/34LTCW9 [ბოლოს ნანახია 10.08.2020]
International Commercial Chamber of the Paris Courts and Their Innovative Rules of Procedure https://bit.ly/2GcreCp [ბოლოს ნანახია 10.08.2020] ასევე, https://bit.ly/3gG7UKf https://bit.ly/3gIpuxp [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[83] Justice on GOV.UK https://bit.ly/2QCGSJ5 [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[84] Ioana Knoll-Tudor (Jeantet), Specialised Chambers for International Commercial Disputes: Paris in the Spotlight, Kluwer Arbitration Blog, 2018. https://bit.ly/2EJQUpc [ბოლოს ნანახია 10.08.2020]
International Commercial Chamber of the Paris Courts and Their Innovative Rules of Procedure https://bit.ly/2GcreCp [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[85] Lee Applebaum, *The Steady Growth of Business Courts*, The National Center for State Courts, 2011.

[86] Mitchell Bach and Lee Applebaum, *A History of the Creation and Jurisdiction of Business Courts in the Last Decade,* The Business Lawyer 60(1), 2004, 147.
Markus B. Zimmer, *Overview Of Specialized Courts*, International Journal For Court Administration, August 2009.

გაზრდილი კონკურენციით. სპეციალიზაციების რაოდენობს ზრდა დავების შინაარსის კომპლექსურობისა და მრავალფოროვნების ზრდას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალიზაცია ხშირად დადებითად ფასდება, *a priori* იმის მტკიცება, რომ სპეციალიზაციები ეფექტიანობის გარანტიაა, მცდარია.[87]

ვიწრო სპეციალიზაციების ფორმა საქართველოში

ვიწრო სპეციალიზაციების შექმნის ისტორია

„საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის მიხედვით, ვიწრო სპეციალიალიზაციებს პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში იუსტიციის უმაღლეს საბჭო განსაზღვრავს.[88] სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრის უფლებამოსილება, თბილისის სააპელაციო სასმართლოს შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილებით ამავე სასამართლოს თავმჯდომარეს აქვს მინიჭებული.[89] თბილისის საქალაქო სასამართლოს შემთხვევაში კი, თავმჯდომარის მსგავსი უფლებამოსილება პირდაპირ არც კანონით და არც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული არ არის.

პირველი ინსტანციის სასამართლოში ვიწრო სპეციალიზაციების შექმნის შესაძლებლობას კანონის 1997 წლიდან უშვებს. „საერთო სასმართლოების შესახებ" კანონის 1997 წლის 31 ივლისის რედაქციაშიც კი ვხვდებით ჩანაწერს,[90] რომლის მიხედვითაც რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორზე მეტი მოსამართლეა, საქართველოს იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება განხორციელდეს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოში უფრო ვიწრო სპეციალიზაციები 2006 წლიდან მოქმედებს.[91] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით პირველი ვიწრო სპეციალიზაციები თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში განხორციელდა.[92] სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში ვიწრო სპეციალიზაციების სისტემა 2013 წელს შეიქმნა.[93] რაც შეეხება თბილისის სააპელაციო სასამართლოს, აქ ვიწრო სპეციალიზაციების შექმნა უფრო ახლო წარსულს უკავშირდება. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სააპელაციო სასამართლოში ვიწრო სპეციალიზაციები, 2018 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე შექმნა. არასამთავრობო სექტორის

---

[87] Heike Gramckow and Barry Walsh, *Developing Specialized Court Services: International Experiences and Lessons Learned*, The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, 2013.
Goran Koevski and Darko Spasevski, *Trends in Respect of Specialization of Commercial Disputes Judiciary,* January 2019. https://bit.ly/3hKZ3Ix [ბოლოს ნანახია 10.08.2020]
Dory Reiling, *Court Specialization or Special Courts? A Toolkit for Development*, Justice Reform Practice Group (LEGJR), World Bank. https://bit.ly/3jtSc6G [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[88] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2[1] პუნქტი და 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[89] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის N1/175 გადაწყვეტილება, პუნქტი 9. https://bit.ly/2Dkx4AF [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[90] „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი [1997 წლის 31 ივლისის რედაქცია].

[91] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 3 ოქტომბრის N1/92-2006 გადაწყვეტილება; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gxoAEu [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[92] *იქვე.*

[93] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 1-ლი მარტის N1/28 გადაწყვეტილება. https://bit.ly/3fC7eFh [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

კრიტიკის მიუხედავად,[94] პარლამენტმა კანონპროექტი დაამტკიცა და მალევე, საბჭოს გადაწყვეტილებით, ვიწრო სპეციალიზაციები თბილისის საპელაციო სასამართლოშიც შეიქმნა.[95]

„თავის დროზე, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიქმნა ვიწრო სპეციალიზაციები, ამას, შესაძლოა, ნამდვილად ჰქონდა რაღაც პოზიტიური მიზანი. თუმცა, როდესაც ეს მოხდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, მე ვფიქრობ, რომ ეს იყო იმ მიზნისთვის, რომ კონკრეტული მოსამართლეები მიევლინათ ამა თუ იმ კატეგორიაში.

ჩვეულებრივ შემთხვევაში, როდესაც ელექტრონული განაწილების სისტემა გვაქვს, საქმე მიდის მოსამართლესთან, მაგრამ ვიწრო სპეციალიზაციების პირობებში, ჩვენ მივიღეთ რეალობა, როდესაც თვითონ მოსამართლე მიდის საქმესთან.

გამომდინარე იქედან, რომ სპეციალიზაციებში მოსამართლეების ცვლილება შეუძლია თავმჯდომარეს და არ არის ეს სტაბილური, შეგიძლია მოსამართლე მიიყვანო საქმემდე.“

ნაზი ჯანეზაშვილი,
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი

ვიწრო სპეციალიზაციის შექმნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში

თბილისის სააპელაციო სასამართლოში, მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაციის შემოღება პრობლემურია, რადგან ვიწრო სპეციალიზაციების არსებობა საქმეთა ელექტრონული სისტემით, შემთხვევითი განაწილების პრინციპს მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის.

2018 წლის 7 მარტს „საერთო სასმართლოების შესახებ” ორგანულ კანონში განხოციელებული ცვლილებების საფუძველზე,[96] იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიეცა უფლებამოსილება, სააპელაციო სასამართლოებშიც უფრო ვიწრო სპეციალიზაცია შეექმნა. ეს შესაძლებლობა საბჭომ მალევე გამოიყენა და 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით[97] თბილისის სააპელაციო სასამართლოებში ვიწრო სპეციალიზაციები შეიქმნა.

პროცესს თან სამოქალაქო პროტესტი და კრიტიკა ახლდა. სამოქალაქო საზოგადოების პოზიციით თბილისის სააპელაციო სასამართლოში ვიწრო სპეციალიზაციების შექმნით და ამ სპეციალიზაციებში მოსამართლეთა დანიშვნის თავმჯდომარისათვის გადაცემით საფრთხე ექმნებოდა ელექტრონული სისტემით შემთხვევითად განაწილების პროცესს.[98]

კანონპროექტის განმარტებითი ბარათში მითითებული იყო, რომ „მოსამართლის მიერ ერთგვაროვანი კატეგორიის საქმეთა განხილვა დაკავშირებულია მართლმსაჯულების სწრაფ განხორციელებასთან. ამასთან,

[94] კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, *მოსაზრებები სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღის კანონპროექტებზე*, 2018. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/33D5qtg [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[95] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის N1/175 გადაწყვეტილება https://bit.ly/2Dkx4AF [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[96] საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე; მიღების თარიღი 2018 წლის 27 მარტი. https://bit.ly/31xuJKN [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[97] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის N1/175 გადაწყვეტილება; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Dkx4AF [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[98] კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, *კოალიცია მიხეილ ჩინჩალაძისათვის უფლებამოსილების გაზრდას საქმეთა შემთხვევითი განაწილების პრინციპის საფრთხედ აფასებს*, 2018. https://bit.ly/30Bf0Li [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

უზრუნველყოფს სამართლის კონკრეტულ დარგში მოსამართლის კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად მოქმედებს მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებაზე."[99] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის რევაზ ნადარაიას განცხადებით, ვიწრო სპეციალიზაციის შემოღებას სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მიზანი ჰქონდა.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) #15 დასკვნის 38-ე პარაგრაფის მიხედვით სპეციალიზაციის გამართლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ეს ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას, ანუ თუ ეს მიზანშეწონილი იქნება სამართალწარმოების და სასამართლო **გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისთვის.** მითითებული დასკვნა ვიწრო სპეციალიზაციებს სასამართლოების გადატვირთულობის და საქმეთა გაჭიანურების პრობლემის მოგვარების საშუალებად არ ასახელებს.

ზემოთ აღნიშნული დასკვნის მიხედვით, სპეციალიზებული მოსამართლეები და სასამართლოები მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნან შემოღებულნი კანონმდებლობის ან ფაქტების სირთულიდან, ან სპეციფიკიდან გამომდინარე, რათა უზრუნველყოფილი იყოს მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელებისმიზანი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის, რევაზ ნადარაიას განცხადებით, თბილისის სააპელაციო სასმართლოში ვიწრო სპეციალიზაციების შექმნის „საჭიროება" რაიმე ტიპის კვლევით შესწავლილი არ ყოფილა. მათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ძირითადად საბჭოში არსებული, მათ შორის სტატისტიკური ინფორმაციით იხელმძღვანელეს და ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოში წლების წინ ამოქმედდა ვიწრო სპეციალიზაცია,[100] მონაცემები ისეთ სასამართლოებს შეადარეს, სადაც ესეთი სპეციალიზაციები არ არსებობს.

ინგლისური სამართლის სისტემაზე დაყრდნობით, სპეციალიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:[101]

- სპეციალიზაცია იქმნება დროებით თუ მინიმუმ საშუალოვადიანი პერსპექტივით?
- არსებობს თუ არა კვლევები ან საპილოტე პროექტები, როლებიც კონკრეტული ტიპის სპეციალიზაციის ფორმის წარმატებულ ფუნქციონირებაზე მიუთითებს?
- სპეციალიზაციის საჭიროება გამოწვეულია თუ არა საქმეთა ნაკადის ზრდით და არის თუ არა სპეციალიზაცია პრობლემის გადაჭრის ეფექტიანი გზა?
- არის თუ არა სამართლის კონკრეტულ სფეროში არათანმიმდევრული გადაწყვეტილებები?
- ასეთმა გადაწყვეტილებებმა გაზარდა თუ შეამცირა სასამართლოსადმი მიმართვიანობა?
- იმ შემთხვევაში თუ სასამართლოში გაჭიანურებული საქმეების სიმრავლეა, რა არის მისი ეფექტი სასამართლოსა და მოსახლეობისათვის?
- არსებობს თუ არა მხარეების, დაინტერესებული აქტორების ან მოსახლეობის უკმაყოფილება სასამართლოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით?

---

[99] იხ. განმარტებითი ბარათი https://bit.ly/2R45XNr [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[100] თბილისის საქალაქო სასამართლოში, პირველი ვიწრო სპეციალიზაცია 2006 წელს ამოქმედდა. იხ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 3 ოქტომბრის N1/92-2006 გადაწყვეტილება. https://bit.ly/3gxoAEu [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[101] Heike Gramckow and Barry Walsh, *Developing Specialized Court Services: International Experiences and Lessons Learned*, The International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, 2013.
Edward Cazalet, *Specialised Courts: Are They a 'Quick Fix' or a Long-Term Improvement in the Quality of Justice?* World Bank, 2001.

იმისათვის, რომ შეგროვდეს და შეფასდეს ინფორმაცია, აირჩეს სპეციალიზაციის ყველაზე თავსებადი ფორმა, შეიქმნას მისი საპილოტე მოდელი, საქმიანობის პროცესში შეფასდეს ხარვეზები და მოხდეს მისი გაუმჯობესება, საჭიროა შეიქმნას სამუშაო ჯგუფები.[102] იგი უნდა იყოს მაღალი დონის გადაწყვეტილებების მიმღები ორგანო, რომელიც უფლებამოსილი იქნება შეაგროვოს მონაცემები, გამოსცეს რეკომენდაციები და დასახოს მისი იმპლემენტაციის კონკრეტული გზები.[103]

რევაზ ნადარაიასთან ინტერვიუს შემდეგ, კვლევის გუნდისთვის გაუგებარი დარჩა საბოლოოდ, კონკრეტულად რა პროცესი წარიმართა და რა მონაცემების ურთიერთშეჯერების საფუძველზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. ამ საკითხზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" ასევე საბჭოს არამოსამართლე წევრს, ნაზი ჯანეზაშვილს ესაუბრა, რომელმაც განაცხადა:

„ძალიან ზოგადია ვიწრო სპეციალიზაციების შექმნის შესახებ პროცედურა. რომელიმე მოსამართლეს, ძირითადად საბჭოს მდივანს, შემოაქვს ხოლმე პროექტი და უბრალოდ გვეუბნებიან, რომ აი ეს საჭიროა. მაგალითად წინასაარჩევნოდ მახსოვს, თქვეს, რომ საარჩევნოდ საჭიროა რაღაც ტიპის ცვლილებები ამ სპეციალიზაციებში. არაფერი რაიმე საფუძვლიანი, ან კვლევა უძღოდეს ამას წინ, ან რაიმე სტატისტიკური ინფორმაცია, ან რაიმე ისეთი ანალიზი, რომელიც დაგვარწმუნებს, რომ დიახ, ეს სპეციალიზაციები უნდა შეიქმნას, არ არსებობს. არსებობს მხოლოდ პროექტი და შემდეგ იმართება მსჯელობა ზეპირი, რომელიც ძალიან ზოგადია. საჭიროებების კვლევა არ ხდება."

ნაზი ჯანეზაშვილი,
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი

საკითხის კვლევის შედეგად, შესაძლოა ითქვას, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან 2018 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოში ვიწრო სპეციალიზაციების შემოღების გადაწყვეტილება არ ეფუძნებოდა კვლევის შედეგად მიღებულ კონკრეტულ ობიექტურ საჭიროებას, რაც პრობლემად უნდა შეფასდეს.

ვიწრო სპეციალიზაციების არსებული ფორმა

დღესდღეობით რაიონული (საქალაქო) სასამართლოები დაყოფილია კოლეგიების, ხოლო სააპელაციო სასამართლოები - პალატების და საგამოძიებო კოლეგიის მიხედვით. თავის მხრივ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში შესაბამის კოლეგიებსა და პალატებში დავის ყველა სფერო ვიწროდ სპეციალიზებულია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია დაყოფილია - 6, ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგია - 5, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია - 6 სპეციალიზაციად.

[102] *ibid.*

[103] *ibid.*

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა დაყოფილია - 4, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - 3, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა პალატა - 3 სპეციალიზაციად.

> თბილისის სააპელაციო სასამართლოდან 2020 წლის 28 თებერვალს მიღებული ინფორმაციის[104] ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ მოცემული დროისათვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, მიხეილ ჩინჩალაძე იყო ერთადერთი მოსამართლე, რომელიც არცერთ სპეციალიზაციაში არ იყო განაწილებული.
>
> შედარებისათვის თბილისის საქალაქო სასმართლოს თავმჯდომარე განაწილებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში „ბ" კატეგორიის სპეციალიზაციაში.[105]

კვლევამ აჩვენა, რომ როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოში, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოში ვიწრო სპეციალიზაციები არ წარმოადგენენ საგამონაკლისო შემთხვევას, მისი შექმნა არ გამხდარა კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე და ამ სასამართლოებში დავის ყველა სფერო ვიწროდ სპეციალიზებულია. როგორც მოსამართლეებთან, ასევე საბჭოს წევრებთან ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ საბჭოს ერთ-ერთ გაცხადებულ მიზანს, ვიწრო სპეციალიზაციების შექმნის პროცესში, საქმეთა გადატვირთულობის პრობლემის მოგვარება წარმოადგენდა.

რეგიონულ სასამართლოებში ვიწრო სპეციალიზაციების შექმნის საკითხზე კვლევის გუნდი თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილ წევრს შოთა გეწაძეს ესაუბრა, რომელმაც განმარტა:

> „როგორც ვიცი ამ სასამართლოებში სულ 2-3 მოსამართლე ახორციელებს მართლმსაჯულებას და გორის სასამართლოში, რომელიც მე ვახსენე ერთი ადამიანი იყო, როგორც ვიცი ადმინისტრაციულის განმხილველი, ნუ აქ ეხლა სპეციალიზაციაზეც საუბარიც ზედმეტია. თუ მოსამართლეთა რაოდენობა არ გაიზარდა იგივე სამწუხარო ვითარება დაგვრჩება ჩვენ იმ სასამართლოებში რომლებიც ჩამოვთვალეთ. მე არ გამოვრიცხავ ნაკლებ მონდომებასაც. შეიძლება, რომ ... მაგალითად 37-ე მუხლი გვაქვს ჩვენ „საერთო სასმართლოების შესახებ" კანონში და ამითაც შეიძლებოდა დიდი და დატვირთული სასამართლოების დაკომპლექტება უფრო მეტი მოსამართლით და ეს საშუალებას მოგვცემდა ვიწრო სპეციალიზაციებზე გვეფიქრა."
>
> შოთა გეწაძე
> თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

---

[104] ინფორმაცია მოცემულია 2020 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით. იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 28 თებერვლის N3/1361 წერილი; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qF3idy

[105] ინფორმაცია მოცემულია 2020 წლის 24 თებერვლის მდგომარეობით. იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 24 თებერვლის N3-0623/2308906 წერილი; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ndHFiB

თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გარდა ვიწრო სპეციალიზაციების სხვა სასამართლოებში არ არსებობის ფაქტს საბჭოს მოსამართლე წევრი რევაზ ნადარაია იმ სასამართლოებში მოსამართლეების სიმცირით ხსნის, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. მცირე რაოდენობის მოსამართლეებით დაკომპლექტებულ სასამართლოებში ვიწრო სპეციალიზაციების დანერგვა კიდევ უფრო გაზრდიდა იმ რისკებს, რასაც ზოგადად ვიწრო სპეციალიზაციები ქმნის დღეს ელექტრონული განაწილების სისტემით საქმეთა შემთხვევით განაწილებაზე.[106]

გამომდინარე იქედან, რომ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) #15 დასკვნის მიხედვით, ვიწრო სპეციალიზაციების შექმნა გამონაკლის შემთხვევაში, ობიექტური საჭიროებიდან გამომდინარე არის გამართლებული, შესაძებელია ითქვას, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში დღეს არსებული ვიწრო სპეციალიზაციების ფორმა მნიშვნელოვნად განსხვავდება საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტისგან და მოწესრიგების განსხვავებულ მოდელს გვთავაზობს. არსებული მოდელის მიზნობრიობა, ეფექტიანობა და რისკები დეტალურად კვლევის ფარგლებში არის მიმოხილული.

ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა დანიშვის სტანდარტი

ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა დანიშვნა წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებს არ ეფუძნება, ხშირ შემთხვევაში დაუსაბუთებელი და გაუგებარია.

ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა დანიშვნის წესს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი არ განსაზღვრავს. ეს უფლებამოსილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს შემთხვევაში, ამავე სასამართლოს თავმჯდომარეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით აქვს მინიჭებული. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის კი ეს უფლებამოსილება კი პირდაპირ არც კანონით და არც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით არ არის განსაზღვრული.[107] თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ბრძანების საფუძვლად „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის ზოგად ნორმას[108] იყენებს, რაც პრობლემურია. გარდა ამისა განსაზღვრული არ არის ის კრიტერიუმები, რის საფუძველზეც მოსამართლეები კონკრეტულ ვიწრო სპეციალიზაციებში უნდა ინიშნებოდნენ.

ევროპოს მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) #15 დასკვნის მიხედვით, მოსამართლეთა კონკრეტულ სპეციალიზაციებში დანიშვნის საფუძველი შესაბამის სფეროში მისი გამოცდილება და სიღრმისეული ცოდნა უნდა გახდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლემ მასთან ჩაღმავებული ინტერვიუს ფარგლებში განაცხადა, რომ იზიარებს CCJE-ს დასკვნას და აცხადებს, რომ მოსამართლეები კონკრეტულ

---

[106] აღნიშნული საკითხი დეტალურად განხილულია კვლევის თავში „სპეციალიზაციების უარყოფითი გავლენა ელექტრონული განაწილების სისტემაზე”

[107] იგულისხმება „საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი.

[108] „საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი: რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე: ორგანიზებას უწევს სასამართლოს მუშაობას, შეისწავლის და განაზოგადებს საქმეთა ნაკადის მართვის შესახებ ინფორმაციას (მათ შორის, საქმეთა შემოსვლისა და დასრულების მაჩვენებლებს, საქმისწარმოების ვადებს, სხდომების გადადებისა და საქმისწარმოების შეფერხების მიზეზებს) და ამ ინფორმაციას წელიწადში ერთხელ მაინც აწვდის მოსამართლეებსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს; თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ზომებს საქმისწარმოების შეფერხების სისტემური მიზეზების აღმოსაფხვრელად;
ამავე მუხლის „თ” ქვეპუნქტი: ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოვალეობებს;

> დარგში თავინთი გამოცდილების და შესაბამის დარგში სიღრმისეული ცოდნის ნიშნით უნდა ინიშნებოდნენ.
>
> თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

მოსამართლეთა განაწილების პროცესში კრიტერიუმების საჭიროებაზე ისაუბრა ასევე მოსამართლე შოთა გეწაძემ:

> „ასეთი წესი სამწუხაროდ არ არსებობდა და არც ეხლა არსებობს, ვისურვებდი, რომ დარეგულირებულიყო ეს საკითხი. მაგალითად სააპელაციო სასამართლოში[109] ხდება შეთავაზება მოსამართლისათვის, რომ აი თუ გაქვს სურვილი ამა თუ იმ სპეციალიზაციაში გადასვლისთვის. თუ ის სურვილს გამოთქვამს - გადავა ამ სპეციალიზაციაში. ეს ადრეც ასე იყო, ეხლაც ესეა, მაგრამ ჩემთვის პირადად, როგორც იურისტისათვის, როგორც მოსამართლისათვის ეს არ არის საკმარისი რეგულაცია, უფრო სწორად, ეს რეგულაცია საერთოდ არ არის. მე ვისურვებდი, რომ ეს იყოს ნორმატიულ დონეზე გაწერილი, სადაც გაიწერება რა წესით უნდა მოხდეს, რამდენ ხანში ერთხელ უნდა მოხდეს.
>
> მაგალითად როტაცია არ არსებობს. როტაციის პრინციპს მე ვცდილობდი დამეცვა როდესაც ვმუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლოში,[110] თუმცა ამას არ ჰქონდა მყარი ხასიათი. “
>
> შოთა გეწაძე
> თბილისის საპელაციო სასამართლოს მოსამართლე

მოცემულ აზრთან გარკვეულწილად თანხვედრაში არ არის მოსამართლე კახაბერ მაჭავარიანის პოზიცია. ის მიიჩნევს, რომ 2018 წელს, როდესაც თბილისის სააპელაციო სასამართლოში ვიწრო სპეციალიზაციები შეიქმნა, ამ სპეციალიზაციებში მოსამართლეთა განაწილების პროცესში არაეთიკური იქნებოდა გამოცდილებაზე და ცოდნაზე დაფუძნებული მიდგომის დაწესება:

> „არაეთიკურია მოსამართლეების დაყოფა კონკრეტულ სფეროში მათი სიღრმისეული ცოდნის მიხედვით. 2018 წელს, როდესაც თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეიქმნა ვიწრო სპეციალიზაციები, იქ მყოფ მოსამართლეებს უკვე 10 წლიანი გამოცდილება მაინც ჰქონდათ. შესაბამისად, არაეთიკურია მათთვის იმის თქმა, რომ კონკრეტულ სფეროში მეტი ცოდნა აქვთ და სხვა მოსამართლეს ნაკლები ცოდნა აქვს და შემდეგ ამ ნიშნით დანიშვნა.”
>
> კახაბერ მაჭავარიანი
> თბილისის საპელაციო სასამართლოს მოსამართლე

---

[109] იგულისხმება მხოლოდ თბილისის სააპელაციო სასამართლო, რადგან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ვიწრო სპეციალიზაცია შექმნილი არ არის.

[110] მოსამართლე შოთა გეწაძე 2011-2015 წლებში იკავებდა თბილისის საქალაქო სასმართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის პოზიციას; ბიოგრაფია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2DKfLbM [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

ინტერვიუებში მონაწილე მოსამართლეთა სრულმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ ვიწრო სპეციალიზაციაში მათი დანიშვნის შესახებ ინფორმაცია ცნობის სახით მიეწოდათ. ისინი ასევე აცხადებდნენ, რომ არსებობის შემთხვევაში, გათვალისწინებული იყო/იქნებოდა მოსამართლეთა სურვილი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ ერთმა მოსამართლემ, მანუჩარ კაპანაძემ მოგვაწოდა რადიკალურად განსხვავებული ინფორმაცია და განაცხადა, რომ მოსამართლეთა განაწილების დროს ჩატარდა კენჭისყრა და მას კონკრეტული სპეციალიზაცია კენჭისყრის შედეგად შეხვდა. იმ დროისათვის ის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის მოსამართლე იყო.

„ჩაიყარა იქ ფურცლები და ვისაც რა შეხვდებოდა, იმის მიხედვით ნაწილდებოდა"

მანუჩარ კაპანაძე
თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის თავმჯდომარემ, ლევან თევზაძე, რომელიც იმ პერიოდშიც იგივე თანამდებობას იკავებდა, ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სია თავად შეადგინა და მოსამართლეებს თათბირზე თავად გააცნო. მას არანაირი შემთხვევითი განაწილების ფორმაზე არ უსაუბრია. იმ მოსამართლეებს, რომელთაც სურვილი ჰქონდათ, სიაში მითითებულისგან განსხვავებულ სპეციალიზაციაში განაწილებულიყვნენ, მათი სურვილი გათვალისწინებული იყო.

„მე ვიყავი აქ პალატის თავმჯდომარე, როდესაც მიიღო საბჭომ ეს გადაწყვეტილება, როგორც გითხარით შევისწავლე საქმე, ვნახე პრაქტიკა სხვას როგორ ჰქონდა, საქალაქო სასამართლოს როგორ ჰქონდა, განვსაზღვრე მოსამართლეების ოდენობა, ვთქვათ რამდენი საქმე შემოვიდოდა. აქაც ჩემით განვსაზღვრე წონები, იმიტო რომ მკვლელობის საქმის განხილვას გარკვეული რესურსი ჭირდება და ქურდობის საქმის განხილვას გარკვეული.

განვსაზღვრე ასევე რამდენ საქმეს ჭირდება კოლეგიური შემადგენლობები და შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, რამდენ-რამდენი მოსამართლე უნდა გადამენაწილებინა. მე მივიღე ეს გადაწყვეტილება, არავის არ უთქვამს.

შემდეგ შევხვდი მოსამართლეებს, მანამდე თავმჯდომარეს შევუთანხმდი, რომ შევხვდებოდი მოსამართლეებს და გავარკვევდი. იყო ესეთი სიტუაცია, პირდაპირ ვიტყვი, ერთ - ორ მოსამართლეს არ უნდოდა მკვლელობების განხილვა. პირდაპირ მითხრეს, გეხვეწები იქნებ მკვლელობებში არ მოვხვდე და სხვა როგორც გადამიწყვეტო. ერთ - ორ მოსამართლეს არ უნდოდა თაღლითობის და ასეთი საქმეების განხილვა, რადგან ალღო ვერ ავუღე ასეთ საქმეებსო. ეს საკითხები გავითვალისწინე.

რომ ჩავსვი ეს მოსამართლეები, შემდეგ ჩავიტანე ეს სია თავმჯდომარესთან და შევათანხმეთ. ეს ყველაფერი მოხდა თათბირზე, პირველი გადანაწილება. ეს გადანაწილება გაგრძელდა დაახლოებით ნახევარი საათი, ჩემთან, ჩემს კაბინეტში."

ლევან თევზაძე,
თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს #15 დასკვნის მიხედვით, მოსამართლეები კარიერის მანძილზე ინიშნებიან სხვადასხვა სფეროებში და უწევთ სხვადასხვა თემატიკის განხილვა, რაც მათ ფართო გამოცდილებას აძლევთ სამართლის სხვადასხვა დარგში. ამის მიუხედავად, კანონმდებლობა ძალზე კომპლექსური და სპეციფიკური გახდა გარკვეულ დარგებში, რაც მოსამართლეებისგან უფრო მაღალი დონის სპეციალიზაციას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია სათანადოდ კვალიფიცირებული მოსამართლეების მომზადება, რომლებიც სპეციალიზებული არიან გარკვეულ სფეროებში.[111]

მოცემული სტანდარტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, სპეციალიზაციების საგამონაკლისოდ, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, დასაბუთებულად შეიქმნას და ამ სპეციალიზაციებში მოსამართლეები დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე ინიშნებოდნენ. კრიტერიუმები ძირითადად შესაბამის სფეროში მოსამართლის გამოცდილების და ცოდნის არსებობას უნდა ეფუძნებოდეს.

ასევე მნიშვნელოვანია სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრის უფლება, სასამართლოების თავმჯდომარეების ნაცვლად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიენიჭოს. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს არაერთხელ გამოუხატავს უარყოფითი დამოკიდებულება სასამართლოს თავმჯდომარეთა როლთან დაკავშირებით, რომლებიც თანამდებობაზე ბუნდოვანი და გაუმჭვირვალე წესით ინიშნებიან, წარმოადგენენ მოსამართლეთა პრივილეგირებულ ჯგუფს და სხვა მოსამართლეთა უფროსებად და მაკონტროლებლებად მიიჩნევიან. შესაბამისად, უარყოფითად უნდა შეფასდეს სასამართლოების თავმჯდომარეებისთვის მსგავსი მნიშვნელობის მქონე ბერკეტის მინიჭება. გარდა ამისა, კონსტიტუციური კოლეგიური ორგანოსათვის ამ უფლებამოსილების გადაცემა გაზრდის საჯაროობის ხარისხს და შექმნის კონტროლის მეტ მექანიზმს.

საბჭოს მხრიდან ვიწრო სპეციალიზაციების დაკომპლექტების იდეას ეთანხმება ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე შოთა გეწაძე, კითხვაზე თუ ვინ ან რომელი ორგანო უნდა განსაზღვრავდეს ვიწრო სპეციალიზაციების შემადგენლობას, მან უპასუხა:

> „მაგალითად იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელსაც შეეძლება გამოაცხადოს ინტერესთა გამოხატვა ან კონკურსი, ან შიდა მობილობა, სულერთია ამას რა ერქმევა, სადაც იტყვის „ვის გსურთ ამ სპეციალიზაციში“ და ვინც სურვილს გამოთქვამს, იმათ შორის შეარჩევს ვინმეს ან რამდენიმე მოსამართლეს. ეს წესი უნდა იყოს, მაქსიმალურად დეტალურად გაწერილი და გამჭვირვალე, რომ ვინმეს რაიმე ეჭვის საფუძველი არ ჰქონდეს.
>
> შოთა გეწაძე
> თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

შესაძლებელია ითქვას, რომ ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეების დანიშვნის პროცესი არ შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტს, ქაოტურია და ხშირ შემთხვევაში დაუსაბუთებული. მოსამართლეების დანიშვნის ერთ-ერთ უმთავრეს კრიტერიუმს შესაბამის სფეროში მათი სიღრმისეული

[111]Consultative Council of European Judges (CCJE), *Opinion (2012) No. 15 of the Consultative Council of European Judges on the Specialization of Judges*, 13 November 2012.

ცოდნა უნდა წარმოადგენდეს. სპეციალიზაციის წარმატებულად დანერგვისათვის აუცილებელია მოსამართლეების სწორი შერჩევა. აუცილებელია შესაბამისი კრიტერიუმების დაწესება, რომლის საფუძველზეც მოხდება მოსამართლეთა შეფასება და მათი სპეციალიზებულ სასამართლოში განმწესება. უნდა განისაზღვროს რა სახის გამოცდილება, ცოდნა და უნარ-ჩვევებია საჭირო სპეციალიზებული მოსამართლეობისათვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის თავმჯდომარისგან, მოსამართლე ლევან თევზაძისგან მიღებული ინფორმაციით ნათელია, რომ მოსამართლეების გადანაწილებისას გათვალისწინებული იყო თავად მოსამართლეების სურვილი, თუმცა არ ყოფილა შესწავლილი მათი კვალიფიკაცია კონკრეტულ სპეციალიზაციებთან მიმართებით. შესაბამისად, უარყოფითად უნდა შეფასდეს დღეს არსებული წესი მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა განაწილებასთან დაკავშირებით.

გადატვირთულობის პრობლემის დაძლევა ვიწრო სპეციალიზაციების შემოღების გზით

რესპონდენტებთან ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუების ფარგლებში, ინტერვიუერების სრულმა უმრავლესობამ ვიწრო სპეციალიზაციების შექმნის ლეგიტიმურ მიზანდ სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხოციელება დაასახელა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის, რევაზ ნადარაიას განცხადებით, სწორედ სწრაფი მართლმსაჯულების განხოციელებისთვის შეიქმნა თბილისის სააპელაციო სასმართლოში ვიწრო სპეციალიზაცია, რადგან მათ ჰქონდათ წარმატებული მაგალითი თბილისის საქალაქო სასამართლოს სახით.

მოსამართლეების უმრავლესობა აცხადებდა, რომ მათ ვიწრო სპეციალიზაციების პირობებში უმარტივდებათ როგორც დროული ასევე ხარისხიანი მართლმსაჯულების განხოციელება. იმ შემთხვევაში, თუკი მათ საქმეების მცირე რაოდენობა ექნებოდათ, ისინი შეძლებდნენ სპეციალიზაციების არ არსებობის პირობებში, დროული და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხოციელებას. დღესდღეობით ვინაიდან საქმეთა რაოდენობა ჭარბია და არსებობს საპროცესო ვადები, მათ უმარტივდებათ საქმეთა ნაკადთან გამკლავება სწორედ სპეციალიზაციების დახმარებით.

მოსამართლეებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ ისინი ვიწრო სპეციალიზაციების საჭიროებას საქმეთა გადატვირთულობის ფონზე ხედავენ. მოსამართლეების დიდი ნაწილი აცხადებდა, რომ მათ ერთნაირი წარმატებით შეუძლიათ, მაგალითად, სისხლის სამართლის ყველა სფეროს განხილვა, თუკი საქმეთა ადეკვატური რაოდენობის განხილვა მოუწევთ და ექნებათ შესაძლებლობა თითოეულ საქმეს სათანადო დრო დაუთმონ.

სასამართლო სისტემაში გადატვირთულობის პრობლემის მოგვარება კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. გადატვირთულობის მოგვარების მიზნით, ვიწრო სპეციალიზაციების შემოღება იმ ფონზე, როდესაც ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები წლებია გადადგმული არ არის, გაუმართლებლად უნდა შეფასდეს.

2018 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით საერთო სასამართლოების სისტემაში ამ ეტაპზე დაახლოებით 100 მოსამართლის დამატება არის საჭირო.[112] მიუხედავად იმისა, რომ სისტემა წლებია მოსამართლეთა ნაკლებობას განიცდის და განსაკუთრებით დიდ სასამართლოებში მოსამართლეებს კრიტიკულად დიდი რაოდენობის საქმეების განხილვა უწევთ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მხრიდან დაახლოებით 2 წლის მანძილზე კონკურსი არ გამოცხადება გაუგებარია. საბჭომ მოსამრთლის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსი ჯერ 2018 წლის 30 ივლისს,[113] ხოლო შემდეგ 2020 წლის 26 ივნისს გამოაცხადა.[114] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის, რევაზ ნადარაიას განცხადებით, მიმდინარე წელი იყო განსაკუთრებით დატვირთული, მათ მოუწიათ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევა, რამაც ფაქტობრივად მთელი წელი მოიცვა და შესაბამისად ვერ მოხერხდა კონკურსის გამოცხადება.

როგორც უკვე ითქვა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლეთა ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსი 2018 წლის 30 ივლისიდან[115] 2020 წლის 26 ივნისის[116] შუალედში არ გამოუცხადებია. ამ პერიოდში საბჭოში ნამდვილად მიმდინარეობდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსი, თუმცა ამ პროცესმა 4 თვეს გასტანა. კონკურსი საბჭოში 2019 წლის 11 მაისს დაიწყო[117] და ამავე წლის 4 სექტემბერს კენჭისყრით დასრულდა.[118] შესაბამისად, არგუმენტი საბჭოს ამ პერიოდში (თითქმის 2 წლის მანძილზე) განსაკუთრებით გადატვირთულობასთან დაკავშირებით გაზიარებული არ უნდა იქნეს. გარდა ამისა, მართალია, 2018 წლის 30 ივლისს გამოცხადებული კონკურსი ოფიციალურად 2019 წლის 24 მაისს დასრულდა, თუმცა არსებობს საფუძვლიანი ეჭვი,[119] რომ კონკურსის მიმდინარეობა ხელოვნურად ჭიანურდებოდა.

საქმეთა გაჭიანურების პრობლემაზე და ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლზე ისაუბრა ასევე საბჭოს არამოსამართლე წევრმა, ნაზი ჯანეზაშვილმა:

> „ზოგადად სასამართლო სისტემაში არსებული პოლიტიკა მე არ მაძლევს იმის საშუალებას ვიფიქრო, რომ ვინმეს იმის სურვილი ჰქონდეს, სასამართლოში საქმეების გაჭიანურების პრობლემა აღმოიფხვრას. ამას, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, მოწმობს ის, რომ დაახლოებით 100-ზე მეტი ვაკანსიაა სისტემაში დღეისათვის და წელიწადზე მეტია კონკურსი არ გამოცხადებულა სასამართლო სისტემაში. თუ ვინმეს უნდოდა მოსამართლეების დანიშვნის გზით სასამართლოს განტვირთვა, ამას გააკეთებნენ. “
>
> ნაზი ჯანეზაშვილი
> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი

---

[112] „საქართველოში მოსამართლეების საჭირო რაოდენობის შეფასება“, კვლევა მომზადებულია პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) დაკვეთით, 2018. https://bit.ly/2DF6guK [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[113] იუტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის N1/238 გადაწყვეტილება. https://bit.ly/3hnvRXK [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[114] იუტისციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 26 ივნისის N 1/89 გადაწყვეტილება. https://bit.ly/3gbNcBF [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[115] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის N1/238 გადაწყვეტილება. https://bit.ly/2F1XpUw [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[116] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 26 ივნისის N1/89 გადაწყვეტილება. https://bit.ly/3ilCt9w [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[117] „დაიწყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ტანამდებობაზე ასარჩევად წარსადგენი კანდიდატების განცხადების მიღება”, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, 2019 წლის 11 მაისი; https://bit.ly/3ijQ3tP [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[118] „უზენაესი სასამართლო: იუსტიციის საბჭო პარლამენტს 20-კაციან სიას გადაუგზავნის”, რადიო თავისუფლება, 2018 წლის 4 სექტემბერი. https://bit.ly/2Pwc6ku [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[119] „ე.წ. კლანი იძულებულია კომპრომისზე წავიდეს – ნაზი ჯანეზაშვილი“, ნეტგაზეთი, 2019 წლის 24 მაისი; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2L50KoH [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ მითითებულ პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა სხვა სასამართლოში მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის პროცესი. ეს ფაქტი საბჭოს წევრმა, რევაზ ნადარაიამ იმით ახსნა, რომ მოსამართლეთა კონკურსის წესით დანიშვნა ბევრად რთულ პროცესთან არის დაკავშირებული, ვიდრე მათი კონკურსის გარეშე გადაყავანა. კონკურსის გარეშე მოსამართლეთა ერთი სასამართლოდან მეორე სასამართლოში გადაყვანის პრაქტიკა წლებია კრიტიკის საგანი ხდება.[120] გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს, თუმცა ეს გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელი და ხშირ შემთხვევაში გაუგებარია. მაგალითისათვის 2018 წლის 25 ივნისის სხდომაზე რუსთავის საქალაქო სასამართლო თავმჯდომარე სასამართლოში საქმეთა დიდი რაოდენობის გამო, სამოქალაქო კოლეგიაში არსებულ ვაკანსიაზე მოსამართლის მივლინებას ან კონკურსის გარეშე დანიშვნას ითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს წევრი ირმა გელაშვილი ადგილზე კონკურსის გზით მოსამართლის დანიშვნას უჭერდა მხარს, აღნიშნულ პოზიციაზე საბჭომ შეარჩია მაია შოშიაშვილი – თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. გაუგებარია, რა საფუძვლით იქნა ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული სასამართლოდან მოსამართლის გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული.[121] აღნიშნული კითხვას ამძაფრებს ის გარემოებაც, რომ ერთი სასამართლოდან მეორე სასამართლოში მოსამართლის გადანიშვნის შემთხვევაში მისი საქმეები, ელექტრონული განაწილების სისტემით, დარჩენილ მოსამართლეებს ეწერებათ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში არსებული პრაქტიკის მიხედვით, მოსამართლის სასამართლოდან გადაყვანის შემთხვევაში, მის წარმოებაში არსებული საქმეების განხილვა, როგორც წესი, თავიდან იწყება,[122] რაც ბუნებრივია საქმის გაჭიანურებას და სასამართლოს გადატვირთულობას უწყობს ხელს.

„როდესაც ერთი სასამართლოდან გადმოჰყავთ მოსამართლე სხვა სასამართლოში იქ ვაკანსია არ ცხადდება და ამ მოსამართლის საქმეები ნაწილდება დარჩენილ მოსამართლეებს შორის, რომლებიც ისედაც ძალიან დატვირთულები არიან.

ეს საკითხი რომ არ ადარდებს საბჭოს ისიც მოწმობს, რომ კონკურსი ავტომატურ რეჟიმში კი არ ცხადდება, არამედ შეიძლება გავიდეს ერთი წელი და მეტიც და ის თანამდებობა იყოს ვაკანტური, არც კი მოხდეს კონკურსის გამოცხადება. ეს მაფიქრებინებს, რომ სასამართლოს განტვირთვის იდეა საერთოდ არ არსებობს სისტემაში.”

ნაზი ჯანეზაშვილი
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი

საბჭოს მხრიდან მოსამართლეების კონკურსის გარეშე გადაყვანის პრაქტიკა ხშირი იყო 2019 წელს. ჯამში საბჭომ კონკურსის გარეშე 46 მოსამართლე გადაიყვანა. საბჭოს წევრის, რევაზ ნადარაიას განცხადებით, ყველა ასეთ შემთხვევაში საბჭო სწავლობს კონკრეტული სასამართლოების საჭიროებს და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას. თუმცა საზოგადოებისთვის, მათ შორის, წლების მანძილზე საბჭოს მონიტორინგის განმახორციელებლი ორგანიზაციებისათვის ესეთი ინფორმაცია ცნობილი არ გამხდარა და ამ საკითხზე არც საბჭოს სხდომებზე მიმდინარეობდა დისკუსია. აღნიშნული დაადასტურა ასევე საბჭოს

[120]საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის #7 ანგარიში, გვ. 30. 2019. https://bit.ly/2PpCvAD [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[121] იქვე.

[122]აღნიშნული ინფორმაციის მიიღება შესაძლებელი გახდა მოსამართლეებთან ჩატარებული ჩარღმავებული ინტერვიუების ფარგლებში.

არამოსამართლე წევრმა, ნაზი ჯანეზაშვილმა და განაცხადა, რომ საბჭო არ სწავლობს კონკრეტული სასმართლოების საჭიროებებეს და მოსამართლეების გადაყვანა ქაოტურად მიმდინარეობს.

„მე არ მახსენდება ისეთი შემთხვევა, როდესაც საბჭოს სხდომაზე ვინმეს წარმოედგინოს სტატისტიკური მონაცემები, რომ ამ მოსამართლის გადმოყვანით იმ საქმეებს რა ბედი ეწევათ და რა პროცენტულობით გაიზრდება სხვა მოსამართლეების დატვირთულობის ხარისხი. როდესაც ვინმეს დანიშვნა არ სურთ, მხოლოდ მაშინ იყენებენ არგუმენტად, რომ ცოტა მოსამართლეა იმ სასამართლოში და ვერ მოხდება გადმოყვანა. “

ნაზი ჯანეზაშვილი
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი

მოვლენათა ქრონოლოგია და ანალიზი მიუთითებს იმაზე, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან ხშირ შემთხვევაში არ ხდება მთელი რიგი მნიშვნელოვანი და საჭირო ნაბიჯების გადადგმა, რათა გადატვირთულობის პრობლემა მოგვარდეს. ხოლო რიგ შემთხვევაში, პირიქით, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კიდევ უფრო ამწვავებს პრობლემას. ამ ფონზე, პრობლემის ვიწრო სპეციალიზაციის შემოღების გზით გადაჭრა გაუმართლებლად უნდა შეფასდეს. ამ აზრს განსაკუთრებით ამყარებს ის ფაქტი, რომ არსებული ფორმით ვიწრო სპეციალიზაციების სისტემა მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს საქმეთა ელექტრონულად, შემთხვევითი განაწილების პრინციპზე. [123]

სპეციალიზაციების უარყოფითი გავლენა ელექტრონული განაწილების სისტემაზე

საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის” კანონპროექტში მოხვდა,. მისი საბოლოოდ მიღება სასამართლო კორპუსის წინააღმდეგობის გამო, მნიშვნელოვნად გაჭიანურდა და საბოლოოდ 2017 წლის 31 დეკემბერს ამოქმედდა.[124] ბუნებრივია, ეს ცვლილება დადებით ნაბიჯად უნდა შეფასდეს. მისი მოქმედებით, მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესებულიყო სასამართლოში საქმეთა განაწილების პროცესი, თუმცა პრობლემურია, კვლავ არსებული გარკვეული რეგულაციები, რომლებიც მის სურლფასოვან ფუნქციონირებას უქმნის საფრთხეს.

„როგორც კი შემოვიდა საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა საბჭომ მას შემდეგ მიიღო სააპელაციო სასამართლოში ვიწრო სპეციალიზაციების შემოღების გადაწყვეტილება. მე მგონია, რომ ეს გადაწყვეტილება ელექტრონული განაწილების სისტემას უკავშირდება, რომ მაქსიმალურად შეზღუდულიყო შემთხვევითობით განაწილების პრინციპი. ანუ როცა იცი, რომ საქმე ნაწილდება 5-6 მოსამართლეს შორის და არა 20-ს შორის, ცხადია, რომ შემთხვევითობის პრინციპი მაქსიმალურად კლებულობს და მაქსიმალურად ვიწროვდება. ალბათ სააპელაციო სასმართლოში ეს იყო ამის მიზანი.

ნაზი ჯანეზაშვილი

[123] აღნიშნული საკითხი დეტალურად განხილულია კვლევის თავში „სპეციალიზაციების უარყოფითი გავლენა ელექტრონული განაწილების სისტემაზე”

[124] 2017 წლის პირველი ივლისიდან ელექტრონული განაწილების სისტემა რუსთავის საქალაქო სასამართლოში პილოტურად ამოქმედდა.

ელექტრონული განაწილების სისტემისთვის, ერთ-ერთ პრობლემურ რეგულაციად შეგვიძლია მივიჩნიოთ, სწორედ ვიწრო სპეციალიზაციების არსებობა და ასეთი სპეციალიზაციების არსებული მოდელი. როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, საერთო სასამართლოების სისტემაში ვიწრო სპეციალიზაციებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ქმნის, ხოლო მოსამართლეებს ამ სპეციალიზაციებში შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარეები ნიშნავენ. თავმჯდომარის მხრიდან თვითნებობის შემთხვევაში, არსებობს რისკი, რომ ელექტრონულად, შემთხვევითი განაწილების მიზანი მიღწეული არ იყოს. ამ აზრს ამყარებს ის გარემოებაც, რომ სასამართლოს თავმჯდომარეს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, დროის ნებისმიერ მონაკვეთში და ნებისმიერი სიხშირით შეუძლია, შეცვალოს მოსამართლეთა შემადგენლობა ვიწრო სპეციალიზაციაში. საქმეთა ელექტრონულ განაწილებაზე მანიპულირების შესაძლებლობის საილუსტრაციოდ შესაძლებელია შემდეგი მარტივი მაგალითის მოყვანა:

მაგალითი #1:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის „გ" კატეგორიაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები განიხილება. ამ სპეციალიზაციაში 3 მოსამართლეა დანიშნული: ლევან მურუსიძე, ლაშა თავართქილაძე და შორენა ყაველაშვილი.[125] თბილისის სააპელაციო სასამართლოში შესული სამართალდარღვევის საქმეები, დადგენილი წესის მიხედვით,[126] მხოლოდ ამ 3 მოსამართლეს შორის უნდა განაწილდეს. თუკი ხელისუფლებისათვის ან სისტემაში არსებული გავლენიანი მოსამართლეთათვის სასურველი იქნება რომელიმე საქმე, ამ 3 მოსამართლიდან ერთ კონკრეტულ მოსამართლესთან მოხვდეს, დანარჩენი ორი მოსამართლის თუნდაც დროებით სხვა სპეციალიზაციაში გადაყვანა საკმარისი იქნება, რომ ეს საქმე სწორედ ხელისუფლებისთვის ან ე.წ. კლანისთვის სასურველ მოსამართლეს დაეწეროს.[127]

მაგალითი #2:

იმ შემთხვევაში თუკი სასურველი მოსამართლე შესაბამის სპეციალიზაციაში არ იქნება, სასამართლოს თავმჯდომარეს ასევე შეუძლია მოსამართლეების გადანაცვლებით, კონკრეტულ სპეციალიზაციაში საქმეს კონკრეტული მოსამართლე დაახვედროს.

---

[125] ინფორმაცია მოცემულია 2020 წლის 28 იანვრის მდგომარეობით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 28 იანვრის #06-ს ბრძანება

[126] „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1-ლი მაისის N1/56 გადაწყვეტილების მე-4 მუხლის 8[1] პუნქტი. https://bit.ly/35fTz58 [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[127] სასამართლოს თავმჯდომარემ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბრძანებით 6-ჯერ შეცვალა ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობა, მათ შორის 3-ჯერ თვითონაც შეიცვალა. ყველაზე მასობრივი გადაადგილებები კი სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში დაფიქსირდა. [გვ 21, საანგარიშო პერიოდი 2018 წლის 1 იანვარი-31 დეკემბერი] https://bit.ly/3b8L8cZ [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

ინტერვიუების პროცესში ყველა მოსამართლეს დაესვა კითხვა ზემოთ მოცემული მაგალითის სახით. კერძოდ, ხედავდნენ თუ არა ისინი მსგავს რისკს და შესაძლებლად მიაჩნდათ თუ არა თეორიულად გარკვეული სახის მანიპულაციის განხორციელება. მოსამართლეთა ნაწილმა მსგავსი შემთხვევა თეორიულ რისკად მიიჩნია და მკვლევართა გუნდს დაეთანხმა, რომ მოსამართლეთა რაოდენობის ზრდა ამ რისკებს მეტნაკლებად დააზღვევდა. მოსამართლეთა ნაწილი კი, მსგავსი შემთხვევის თეორიულ შესაძლებლობასაც კი გამორიცხავდა. ასევე აბსოლუტურმა უმრავლესობამ ესეთი შესაძლებლობა პრაქტიკაში სრულიად გამორიცხა.

მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილის აზრით, თეორიულად შესაძლებელია მსგავსი სცენარით საქმეთა განაწილებაზე მანიპულაციის მოხდენა, თუმცა პრაქტიკაში ასეთი შემთხვევის არსებობა მასთან მიმართებით გამორიცხა.

„თუ ვინმეს ამის მანიპულაცია უნდა, რა თქმა უნდა გააკეთებს, მაგის თეორიული რისკი იქნება. [...] თუ ვინმეს რაიმე მავნებლობა უნდა, ამ მავნებლობას აუცილებლად მოიგონებს, მთავარია იყო კეთილსინდისიერი და ეს არ გინდოდეს.[...] მე არ მეგულება არცერთი მოსამართლე რომელსაც არ სურდეს, რომ იყოს კეთილსინდისიერი, მიუკერძოებელი, პატიოსანი, თავის საქმის კარგად მცოდნე და ხალხის აპლოდისმენტები დაიმსახუროს პირიქით, რა კარგი მოსამართლე ხარო. [...]

თუ გინდა, რომ ესე გააკეთო გააკეთებ, 4 მოსამართლეში რა უნდა ამის გაკეთებას, მაგრამ არ უნდა გინდოდეს.”

ბესიკ ბუგიანიშვილი
თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

მსგავსი სცენარით მანიპულირების შესაძლებლობა თეორიულადაც კი გამორიცხა მოსამართლე რევაზ ნადარაიამ:

„ერთი მოსამართლეც რომ დარჩეს [სპეციალიზაციაში] მე მაგაში რისკს ვერ ვხედავ, რატო შეგვაქვს იმ ერთ მოსამართლეში ეჭვი?!”

მისივე განცხადებით, იმდენად „დიდი ჯაჭვი” უნდა შეიკრას მსგავსი მანიპულაციის განსახორციელებლად, რომ ამის გამო ვიწრო სპეციალიზაციის ეჭვქვეშ დაყენება არარაციონალურია. “

რევაზ ნადარაია
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრი

ერთი სპეციალიზაციიდან მეორე სპეციალიზაციაში მოსამართლეების გადაყვანისათვის კანონმდებლობა თავად მოსამართლის თანხმობას სავალდებულოდ არ მიიჩნევს და ამ უფლებამოსილებას მთლიანად თავმჯდომარეს ანიჭებს. ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევარები ესაუბრნენ ადვოკატ ქეთი ჩომახაშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ ვიწრო სპეციალიზაციების არსებული სისტემა პრობლემურია და საფრთხეს უქმნის ელექტრონული განაწილების სისტემას. პრობლემის მოგვარების გზად რესპონდენტმა

სპეციალიზაციების გამსხვილება და ისეთი სპეციალიზაციების შექმნა დაასახელა, სადაც თითო შემადგენლობაში 12-15 მოსამართლე მაინც იქნება.

ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრა განსაკუთრებით პრობლემურია სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, სადაც, როგორც წესი, საქმეები სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიური შემადგენლობით განიხილება. საქმეთა ელექტრონულად, შემთხვევითობის პრინციპით განაწილების წესის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოში საქმის განაწილებისას ელექტრონული პროგრამა კოლეგიური შემადგენლობიდან მხოლოდ ერთს, მომხსენებელ მოსამართლეს ირჩევს.[128] მოსამართლეებთან ჩატარებულმა სიღმისეულმა ინტერვიუმ გამოავლინა, რომ პრაქტიკაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში მყარი კოლეგიები არსებობს, სადაც დანარჩენი ორი მოსამართლე დადგენილი პრაქტიკის მიხედვით (ელექტრონული განაწილების პროგრამის გამოყენების გარეშე) არის განსაზღვრული. იმ შემთხვევაში, თუ მათგან რომელიმე მოსამართლის აცილების საკითხი დადგება, ამ მოსამართლის ჩანაცვლება არაფორმალური გზით ხდება: მომხსენებელი მოსამართლე თხოვს იმავე სპეციალიზაციიდან სხვა რომელიმე მოსამართლეს და თანხმობის შემთხვევაში ეს მოსამართლე დაიკავებს აცილებული მოსამართლის ადგილს. გარდა ამისა, სასამართლოს თავმჯდომარეს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობა მისთვის სასურველი მოსამართლით, რის შედეგადაც შესაძლებელია შეიცვალოს საქმის განმხილველი კოლეგიური შემადგენლობაც. ბუნებრივია, იმ პირობებში, როდესაც საქმის განხილვა კოლეგიურად მიმდინარეობს, გადაწყვეტილების მიღება ხმათა უმრავლესობით ხდება[129] და გადაწყვეტილების ბედზე რეალური გავლენის მოხდენა სწორედ იმ ორ მოსამართლეს შეუძლია, რომლებიც არაელექტრონული წესით განაწილდნენ, აღნიშნული წესი პრობლემას წარმოადგენს.

მოცემული მოწესრიგება პრობლემურია ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე შოთა გეწაძის პოზიციითაც:

„როგორ კომპლექტდება კოლეგიური შემადგენლობა ეს საკითხი ღიაა, ეს არის მთლიანად დამოკიდებული მოსამართლეთა და სასამართლოს თავმჯდომარის სიტყვიერ ურთიერთშეთანხმებაზე. სხვათაშორის ეს საკითხი მარტო აპელაციაში არ დგას, უზენაესშიც ასეა. ანუ ეს გლობალურად საჭიროებს მოაგვარებას. ეხლა რა ხდება, მე შემიძლია ერთი საქმე განვიხილო მაგალითად მოსამართლე პეტრესთან და ივანესთან, მეორე საქმე განვიხილო ორ სხვა ქალბატონთან ერთად, მყარი შემადგენლობა არ არსებობს.

აი, უფრო მეტი საფრთხე რომ წარმოვაჩინო ამისა: მაგალითად მე ვიცი რომელიმე ჩემი კოლეგის პოზიცია რომელიმე სამართლებრივ საკითხზე, რომელსაც მე არ ვეთანხმები. მე შემიძლია, რომ უბრალოდ სხვა მოსამართლეს ვუთხრა, რომ იმან მიიღოს მონაწილეობა პროცესში, რომელიც მე მეთანხმება. ეს თეორიული შესაძლებლობები არსებობს და ეს შესაძლებლობები გამოირიცხება მყარი შემადგენლობების არსებობით. “

შოთა გეწაძე
თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

[128] „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ” იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/56 გადაწყვეტილების მე-4 მუხლის მე-9 პუნქტი, 2017 წლის 1 მაისი; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/33OHJh2 [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[129] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-11 მუხლი, [30.09.2020 რედაქცია]; ხელმისაწვდომია:https://bit.ly/3lTceZp

თბილისის სააპელაციო სასამართლოში ვიწრო სპეციალიზაციები, საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის ამოქმედებიდან მალევე, დაახლოებით 4 თვეში შეიქმნა. თავდაპირველად მოსამართლეთა კორპუსი ეწინააღმდეგებოდა საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის შემოღებას. საქმეთა განაწილების ხარვეზიანი წესი (საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის ამოქმედებამდე) წლების განმავლობაში მკაცრ კრიტიკას იმსახურებდა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან.[130] არაერთი გახმაურებული საქმის შემთხვევაში, მხარეები სასამართლოს თავმჯდომარეების მხრიდან სწორედ საქმეთა განაწილების წესით მანიპულირებაზე მიუთითებდნენ.[131] ელექტრონული განაწილების სისტემის ამოქმედების შემდეგ, თბილისის სააპელაციო სასმართლოში, სადაც გავლენიანი მოსამართლეთა ჯგუფის ძირითადი ნაწილი იყრის თავს,[132] ვიწრო სპეციალიზაციების შემოღება და ამ სპეციალიზაციებში მოსამართლეთა განაწილების ფუნქციის სასამართლოს თავმჯდომარისთვის მინიჭება, აჩენს აღქმას, რომ მოსამართლეების ამ ჯგუფმა უარი არ თქვა საქმეთა განაწილების სისტემაზე მანიპულირების შესაძლებლობაზე.

შუალედური დასკვნა

საბოლოოდ საქართველოს საერთო სასმართლოების სისტემაში მოქმედი ვიწრო სპეციალიზაციის ფორმისა და ეფექტიანობის კვლევის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ დღეს **არსებული ვიწრო სპეციალიზაციების ფორმა მნიშვნელოვნად განსხვავდება საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტისგან და მოწესრიგების განსხვავებულ მოდელს გვთავაზობს. საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით ვიწრო სპეციალიზაციები კონკრეტული ობიექტური საჭიროებიდან გამომდინარე, საგამონაკლისოდ უნდა იქმნებოდეს. თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოში კი დავის ყველა სფერო სპეციალიზებულია.**

საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტის საწინააღმდეგოდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან 2018 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოში ვიწრო სპეციალიზაციების შემოღების გადაწყვეტილება არ ეფუძნებოდა, კვლევის შედეგად მიღებულ კონკრეტულ ობიექტურ საჭიროებას;

უარყოფითად უნდა შეფასდეს დღეს არსებული წესი ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა განაწილებასთან დაკავშირებით. საერთაშორისო სტარნდარტის თანახმად, მოსამართლეების დანიშვნის ერთ-ერთ უმთავრეს კრიტერიუმს შესაბამის სფეროში მათი სიღრმისეული ცოდნა უნდა წარმოადგენდეს. თუმცა, როგორც თბილისის საქალაქო, ისე თბილისის სააპელაციო სასამართლოში, მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციებში განმწესებამდე არ ფასდება მათი ცოდნა და გამოცდილება კონკრეტულ სამართლის დარგში, მოსამართლეეთა გადანაწილებისას გათვალისწინებული იყო მხოლოდ მათი სურვილი. გარდა ამისა, არ არსებობს კონკრეტული ობიექტური კრიტერიუმი, რის საფუძველზეც მოხდება მოსამართლეთა შეფასება და მათი ვიწრო სპეციალიზაციაში განმწესება.

---

[130] ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, *სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში,* 2014. https://goo.gl/13yLBz [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[131] საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, *კორუფციის რისკები სასმართლო სისტემაში,* 2018, გვ. 42-43. https://bit.ly/3kp65of [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[132] საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, *კორუფციის რისკები სასმართლო სისტემაში,* 2018, გვ. 55. https://bit.ly/3kp65of [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

ვიწრო სპეციალიზაციის დაკომპლექტების დღეს არსებული პრაქტიკა საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემაზე მანიპულაციის რისკებს წარმოშობს. იმ პრობლემას, რომ კანონმდელობით არ არის მოწესრიგებული მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციაში განმწესების კონკრეტული ობიექტური კრიტერიუმი, ამძაფრებს ისიც, რომ მოსამართლეებს სპეციალიზაციაში სასამართლოს თავმჯდომარე ანაწილებს. დღეის მდგომარეობით არ არსებობს ნორმატიული აქტით მოწესრიგებული პროცედურა, ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა განმწესებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მართალია, საქმეებს ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის ელექტრონული პროგრამა ანაწილებს, მაგრამ რომელი მოსამართლე იქნება მის შემადგენლობაში, სასამართლოს თავმჯდომარის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. აღნიშნული წესი, ვიწრო სპეციალიზაციაში მოხვედრილ საქმეთა შედეგზე გავლენის მოხდენის რეალურ რისკებს წარმოშობს.

საბოლოოდ შესაძლებელია ითქვას, რომ ვიწრო სპეციალიზაციებისდღეს არსებული მოდელი ეწინააღმდეგება საერთაშორისო პრინციპებს, შესაცვლელია და კონკრეტულ, მათ შორის საკანონმდებლო მოწესრიგებას საჭიროებს. მათ შორის, დასახვეწია ვიწრო სპეციალიზაციების შემადგენლობის განსაზღვრის პროცედურა. არსებული საერთაშორისო სტანდარტის გათვალისწინებით, უმჯობესია სპეციალიზაციის შემადგენლობის ფორმირებას კოლეგიური ორგანო, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, განჭვრეტადი პროცესის შედეგად ახდენდეს.

კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაცია

2017 წლის დასაწყისში მთავრობამ სასამართლო რეფორმის ფარგლებში კომერციული და საგადასახადო პალატების შექმნის ინიციატივა გააჟღერა. ინიციატივას წინ უძღოდა ბიზნეს დავებზე მიმდინარე გახმაურებული საქმეების გამო ბიზნეს ასოციაციებისა და პროფესიული წრეების მხრიდან ხელისუფლების კრიტიკა.[133] საერთო სასამართლოების სისტემაში კორუფციის შესაძლო შემთხვევებსა და არასასურველ ჩარევებზე ყურადღებას ამახვილებდნენ საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებიც.[134] სწორედ ამ კრიტიკის საპასუხო ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს ხელისუფლების ინიციატივა სპეციალიზებული კომერციული და საგადასახადო პალატის შექმნის შესახებ.

კომერციული და საგადასახადო პალატის შექმნის თაობაზე მიმდინარე სამუშაოებისა და დისკუსიის პარალელურად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საკითხის სათანადოდ დამუშავებისა და ბიზნესსექტორის ჩართულობის გარეშე, საერთო სასამართლოების სისტემის შიგნით კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაცია შექმნა. საბჭოს ამგვარი გადაწყვეტილება შეიძლება შეფასდეს, როგორც ხელისუფლების მიმართ საპასუხო ნაბიჯი, კომერციული და საგადასახადო პალატის ჩამოყალიბების იდეის საპირწონედ.

მთავრობის ინიციატივა - კომერციული და საგადასახადო პალატა

---

[133]მათ შორის იყო გახმაურებული ბიზნეს დავა ფილიპ მორისის საქმეზე. აღნიშნული დავის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gnoQ8F [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[134] „ინვესტორთა საბჭოს მეხუთე სხდომაზე საერთაშორისო ორგანიზაციების მაღალი რანგის წარმომადგენლებმა, მათ შორის იანოშ ჰერმანმა, საქართველოში სასამართლოში არსებულ მდგომარეობა გააკრიტიკეს“ https://bit.ly/3gm98tR [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

2016 წლის ოქტომბერში, სასამართლო რეფორმის მიმართულებით, ხელისუფლებამ მთავარ პრიორიტეტად კომერციული დავების განმხილველი სპეციალიზებული პალატის შექმნა დაასახელა. საკანონმდებლო პაკეტის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენა, 2017 წლის პირველი ნახევრისთვის იგეგმებოდა. იუსტიციის სამინისტრო, რომელიც აღნიშნული წინადადების ინიციატორი იყო, აცხადებდა, რომ რეფორმის მიზანი კომერციული შინაარსის დავებში მართლმსაჯულების სისწრაფისა და ხარისხის ზრდა იყო, რაც ასევე მნიშვნელოვანად განტვირთავდა სამოქალაქო კოლეგიების საქმეთა ნაკადს. ამასთან, განიხილებოდა კომერციული და საგადასახადო პალატების, როგორც საერთო სასამართლოების სისტემაში, ისე მის გარეთ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსაგან დამოუკიდებლად შექმნის იდეები.

2017 წლის დასაწყისში ხელისუფლებას უკვე ღიად აკრიტიკებდნენ ბიზნეს ასოციაციები, რომლებიც საუბრობდნენ სასამართლოში არსებულ სავარაუდო კორუფციის შემთხვევებზე, არასასურველ ჩარევებსა და ფავორიტიზმზე.[135] ამ პერიოდისათვის, საერთო სასამართლოების სისტემაში კორუფციის შესაძლო შემთხვევების შესახებ, სულ უფრო ხშირად საუბრობდნენ საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებიც.

*„ევროდელეგაციის მიერ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეინიშნება: დარღვევები მოსამართლეების არჩევის, დანიშვნისა და დაწინაურების პროცესში; წინასწარი გარიგებები საქმეებთან დაკავშირებით; პროცედურული ხარვეზები; ფავორიტიზმი; კორუფცია და არასასურველი ჩარევები.”- **იანოშ ჰერმანი, ინვესტორთა საბჭოს 2017 წლის 14 ივნისის სხდომა.**[136]*

2017 წლის ივნისში ინვესტორთა საბჭოს[137] მეხუთე სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად სასამართლო რეფორმის საკითხებიც განიხილებოდა.[138] სხდომაზე, ინვესტორთა საბჭო თანხმდებოდა სასამართლო სისტემაში შექმნილ მძიმე ვითარებაზე, რაც ქვეყნის საინვესტიციო რეპუტაციაზე უარყოფითად აისახებოდა. ამავე სხდომაზე გაჟღერდა სასამართლო რეფორმის გარდაუვალობისა და აუცილებლობის შესახებ, რომლის გადაჭრის ერთ-ერთ გზად განიხილებოდა იუსტიციის სამინისტროს ინიციატივა კომერციული და საგადასახადო პალატების შექმნის შესახებ.
ამავე სხდომაზე გაჟღერდა, რომ საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია Dechert-ისა და იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლობით ჩამოყალიბდა კომერციული პალატების კონცეფცია. ასევე, შემუშავდა ტექნიკური დახმარების პროექტი, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტთან ერთად, მოიცავდა რისკისა და სარგებლის ანალიზს, სტრუქტურულ/ორგანიზაციული, ტექნიკური და ფინანსური გეგმის შემუშავებას. აღნიშნული ინიციატივით რამდენიმე დონორი დაინტერესდა, მათ შორის, დიდი ბრიტანეთის მთავრობა და ევრობანკი, რომელებმაც გამოთქვეს მზადყოფნა აღნიშნული ინიციატივის მხარდასაჭერად.

კომერციული და საგადასახადო პალატების შექმნის იდეას ორი მთავარი გამოწვევა ჰქონდა. უპირველესად, გასათვალისწინებელი იყო რამდენად შედეგიანი და ეფექტიანი იქნებოდა ახალი პალატები, რომლებიც კვლავ

---

[135] "საქართველოს ბიზნეს ასოციაციის" პრეზიდენტის განცხადება სასამართლოსადმი ნდობის თაობაზე ხელმისაწვდომია. https://bit.ly/2XMJIzy [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[136] ინვესტორთა საბჭოს მეხუთე სხდომის ოქმი. https://bit.ly/2Al7Pwu [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[137]ინვესტორთა საბჭო არის საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული დამოუკიდებელი საკონსულტაციო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია, ერთი მხრივ, პრემიერ-მინისტრს, მინისტრებს, მათ დაქვემდებარებაში მყოფი სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელ პირებსა და, მეორე მხრივ, კერძო სექტორს შორის კონსტრუქციული დიალოგის და აზრთა გაცვლის უზრუნველყოფაზე, რათა გაუმჯობესდეს და სტიმულირებული იქნეს ქვეყანაში ჯანსაღი საინვესტიციო კლიმატი; საბჭოს მუდმივმოქმედი წევრი და თავმჯდომარე საქართველოს მოქმედი პრემიერ-მინისტრია.

[138] ინვესტორთა საბჭოს მეხუთე სხდომის ოქმი. https://bit.ly/2Al7Pwu [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაქვემდებარებაში დარჩებოდა. ამასთან, კომერციული და საგადასახადო დავების სირთულიდან გამომდინარე, მთავარი გამოწვევა კომპეტენტური და კეთილსინდისიერი მოსამართლეების აუცილებლობა იყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელისუფლებას 2012 წლის არჩევნების შემდგომ რამდენჯერმე ჰქონდა მცდელობა სასამართლოში ძირეული რეფორმები განეხოციელებინა. თუმცა, 2013 წლის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემდგომ,[139] სასამართლოს გაჯანსაღების პოლიტიკური ნება თანდათანობით შესუსტდა.[140] შეიძლება ითქვას, რომ იგი დათმობაზე წავიდა მოსამართლეთა იმ გავლენიან ჯგუფთან, რომელთაც წარსულში აკრიტიკებდა.[141] საზოგადოებაში გაჩნდა აღქმა, რომ კომერციული და საგადასხადო პალატების შექმნით ხელისუფლება შეეცადა შეექმნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გავლენისგან დამოუკიდებელი უწყება. საბჭოსგან დამოუკიდებლობის კომპონენტს ხაზი გაესვა ინვესტორთა საბჭოს სხდომაზეც. აღნიშნული რეფორმა განიხილებოდა როგორც ერთგვარი გონივრული გამოსავალი, რომელიც საერთო სასამართლოების მიღმა ნდობის მაღალი ხარისხით აღჭურვილ ახალ ინსტიტუტს შექმნიდა. თუმცა აღნიშნული მოდელი შესაბამის საკონსტიტუციო ცვლილებებსაც საჭიროებდა.

„კომერციული პალატა წინ გადადგმული ნაბიჯია. საუკეთესო შემთხვევაში ისინი [კომერციული და საგადასახადო პალატები] იუსტიციის უმაღლეს საბჭოსგან დამოუკიდებლად უნდა მუშაობდნენ. - ***მაიქელ ქოუგილი, ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი,ინვესტორთა საბჭოს 2017 წლის 14 ივნისის სხდომა.***

„დიდი ბრიტანეთი მოხარული იქნება, მხარი დაუჭიროს კომერციული პალატების შექმნის ინიციატივას, თუმცა გვსურს ვიცოდეთ ხელისუფლების ხედვა ამ საკითხზე, მათ შორის იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან დამოკიდებულების თაობაზე,”- ***ჯასტინ მაქქენზი სმიტი ბრიტანეთის ელჩი, ინვესტორთა საბჭოს 2017 წლის 14 ივნისის სხდომა.***

როგორც ზემოთ აღინიშნა, რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მოსამართლეების მოძიება იყო. კომპეტენციის მნიშვნელობას ხაზს უსვამდნენ, როგორც იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, ისე იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. მათი განმარტებით პალატების მოსამართლეებს უნდა ჰქონოდათ სიღრმისეული ცოდნა კომერციული სამართლის მიმართულებით.[142]

უკანასკნელ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა განსაკუთრებით მკაფიოდ დაანახა საზოგადოებას საერთო სასამართლოების სისტემაში მოქმედი მოსამართლეების კვალიფიკაციის პრობლემა.[143] იგულისხმება, 2018-2019 წლებში მიმდინარე მოვლენები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნასთან დაკავშირებით, რომელიც 2019 წლის 12 დეკემბერს პარლამენტის მიერ უზენაესი

---

[139] 2013 წლის 9 ივნისს მოსამართლეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოხვდნენ ის მოსამართლეები, რომლებიც გახმაურებულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებით იყვნენ ცნობილნი და რომლებიც, ყველაზე ხშირად იმსახურებდნენ ახალი ხელისუფლების კრიტიკას, მათ შორის, ლევან მურუსიძე;

[140] საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, *კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში,* 2018, გვ. 14-26. https://bit.ly/3kp65of [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[141] „ივანიშვილი: გირგვლიანი იყო სისტემის მსხვერპლი და არა კონკრეტული მოსამართლის”, 2015. https://goo.gl/YLZKca [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[142] ინვესტორთა საბჭოს მეხუთე სხდომის ოქმი. https://bit.ly/2Al7Pwu [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[143] უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნასთან დაკავშირებით, მოვლენათა განვითარების ქრონოლოგია იხ ბმულზე: https://bit.ly/3faUeGO [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

სასამართლოს მოსამართლეთა 14 კანდიდატის არჩევით დასრულდა.[144] სწორედ, მოსამართლეთა კვალიფიკაციის ნაკლებობიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ 2017 წლის დასაწყისში, იუსტიციის სამინისტრომ, ინიციატივის განხორციელების პროცესში, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკსაც (EBRD) მიმართა. EBRD ხელისუფლებას ახალი მოსამართლეების შერჩევისა და მათთვის ტრენინგ-პროგრამების ორგანიზებაში გაუწევდა ფინანსურ დახმარებას.[145]

საბოლოოდ, მთავრობის ინიციატიავით კომერციული და საგადასახადო პალატების კონცეფცია ამგვარად განისაზღვრა:

- კომერციული და საგადასახადო პალატების განსახილველი დავების იურისდიქცია კანონმდებლობით უნდა გაწერილიყო. პალატას უნდა განეხილა არა მხოლოდ მოცულობითი, არამედ შინაარსობრივად რთული ბიზნეს დავები.
- იგეგმებოდა სპეციალური საპროცესო ვადების დადგენა, რაც მსგავსი დავების შემჭიდროვებულ ვადებში განხილვას უზრუნველყოფდა.
- საკონსტიტუციო ცვლილებების თავიდან აცილების მიზნით, პალატა საერთო სასამართლოების სისტემაში უნდა შექმნილიყო. თუმცა, გათვალისწინებული იყო მისი ორინსტანციურობა.
- მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმები მკაცრად უნდა გაწერილიყო. შემადგენლობის მოსამართლეს მსგავს სფეროში შესაბამისი განათლება და სამუშაო გამოცდილება უნდა ჰქონოდა.
- იგეგმებოდა, მოსამართლეთა შერჩევის ორდონიანი სისტემის დანერგვა, რაც პალატებში მოსამართლეთა მაღალი კვალიფიკაციის გარანტია იქნებოდა. კერძოდ, კანდიდატთა წინასწარ შერჩევას უზრუნველყოფდა შესაბამისი კომისია, რომლის შემადგენლობაში საერთაშორისო ორგანიზაციების, დონორებისა და სხვადასხვა აქტორების წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ. საბოლოოდ, წარდგენილი კანდიდატებიდან ნომინირებას იუსტიციის უმაღლრესი საბჭო უზრუნველყოფდა.

*აღნიშნული ინიციატივის მიზანი გამართული სასამართლო სისტემის მცირე მოდელის შექმნა იყო. [..] თუმცა, როგორც იუსტიციის სამინისტროდან მაქვს ინფორმაცია, ამ ინიციატივას სასამართლო კორპუსის წინააღმდეგობა მოჰყვა. ალბათ საბჭომ საფრთხე დაინახა, რომ კანდიდატები ასე ვთქვათ გარედან შემოვიდოდნენ და სისტემის პირმშოები არ იქნებოდნენ. - **გიორგი ჯუღელი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს იურიდიული მრჩეველი***

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ კომერციული და საგადასახადო პალატების შექმნის გადაწყვეტილებაზე ოფიციალური უარი ხელისუფლებას ამ დრომდე არ უთქვამს. პერიოდულად, მთავრობა კვლავ უბრუნდება აღნიშნულ ინიციატივას. მაგალითად, 2018 წლის ივნისში პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა მამუკა ბახტაძემ სამთავრობო გეგმის წარდგენისას განაცხადა, რომ მართლმსაჯულების ხარისხი და სისწრაფე კომერციულ და საგადასახადო დავებზე მკვეთრად გაიზრდება, მსგავსი შინაარსის დავების განმხილველი პალატების შექმნის ხარჯზე.[146] აღნიშნული ინიციატივის შესახებ, საუბარი იყო ასევე ადამიანის უფლებათა

[144]ODIHR-ის ანგარიში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მეორე ანგარიში ივნისი-დეკემბერი 2019 https://bit.ly/323tDYo [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[145] ინვესტორთა საბჭოს მეხუთე სხდომის ოქმი. https://bit.ly/2Al7Pwu [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[146] მთავრობის ინიციატივის შესახებ იხილეთ ბმულზე: https://bit.ly/2XUKhHT

დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების 2018 წლის ანგარიშშიც.[147] იურიდიული კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელის, ეკა ბესელიას, 2018 წელს გაკეთებული განცხადებით, რეფორმის ფარგლებში იგეგმებოდა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და პროცესში უკვე ჩართულნი იყვნენ ბრიტანელი ექსპერტებიც.[148]

იუსტიციის სამინისტრო განმარტავდა, რომ კანონპროექტი პარლამენტს 2018 წლის სექტემბრისთვის წარედგინებოდა. თუმცა, ამ დრომდე კანონპროექტზე მუშაობა ჯერ კიდევ არ არის დასრულებული და სამუშაო პროცესი შეჩერებულია. შესაბამისად, უცნობია ხელისუფლების გეგმები კომერციული და საგადასახადო პალატების შექმნის ინიციატივასთან დაკავშირებით.[149] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ფარგლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით მთავრობის გეგმების გარკვევის მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართა, თუმცა მათგან პასუხი არ მიუღია.

*მსგავსი ინიციატივის განხორციელება ამ ეტაპზე როგორც ჩემთვისაა ცნობილია აღარ იგეგმება. არჩევნების შემდგომ რა იქნება არ ვიცი, თუმცა ამ პერიოდისათვის აღნიშნული ინიციტივის განხორციელება არ იგეგმება. - **გიორგი ჯუღელი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს იურიდიული მრჩეველი***

„ზოგადი მოსაზრება და დამოკიდებულება, ვიწრო სპეციალიზაციისა და განსაკუთრებით კომერციული დავების მიმართულებით, ამ კონცეფციას მხარს ვუჭერ. მთავრობის კონცეფციის მიმართ ბევრი კითხვა მქონდა, მაგალითად საკონსტიტუციო ცვლილებების გარეშე, რომელიც ამ მოდელში არ მოიაზრებოდა, წარმოუდგენლად მეჩვენებოდა, საერთო სასამართლოების არსებულ მოდელში ამის ინტეგრირება ისე, რომ რეალური დამოუკიდებლობა ყოფილიყო უზრუნველყოფილი ამ პალატების. ამდენად, თვითონ მოდელს ვერ დავუჭერდი მხარს როგორც იურისტი, მაგრამ კონცეფციას მხარს ვუჭერდი.

*კიდევ იყო ერთი კომპონენტი უცხოელი მოსამართლეების ჩამოყვანის რასაც არ ვიცი საბოლოოდ ითვალისწინებდა თუ არა ინიციატივა, თუმცა მე ამას არ ვემხრობი და ვფიქრობ, რომ იმ დროს როდესაც სისტემაში ადგილობრივი კვალიფიცური კადრების შედინების საკითხი მოგვარებული არ არის, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ უცხოელია და ამიტომ მათზე გაკეთდეს არჩევანი, არ მიმაჩნია მართებულად. მარტო იმიტომ, რომ უცხოელია ეს მისი მიუკერძოებლობის გარანტია არ არის. სისტემა განაპირობებს გამჭირვალობას და არა პიროვნებები."- **მოქმედი ადვოკატი***

იუსტიციის უმაღლესი საბჭო - კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაცია

2017 წლის 3 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა გიორგი მიქაუტაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებში კომერციული დავების სპეციალიზაციის შექმნის საკითხზე პრესკონფერენცია გამართა. როგორც საბჭოს მდივანმა განმარტა,

---

[147] ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების 2018 წლის ანგარიში, გვ. 14. https://bit.ly/2UzOCOp [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[148] "ეკა ბესელიას ვარაუდით, კომერციული პალატები 2018 წელს ამოქმედდება", https://bit.ly/3fMOxzl [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[149] იუსტიციის სამინისტროს განცხადება, კომერციული პალატების შესახებ კანონპროექტზე. https://bit.ly/2XSTFM7 [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

იქმნებოდა კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაცია, რაც უზრუნველყოფდა მსგავს დავებზე მართლმსაჯულების სისწრაფისა და ხარისხის გაუმჯობესებას, გაიზრდებოდა გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხი, დავები მაქსიმალურად შემჭირდროვებულ ვადებში განიხილებოდა. საბოლოოდ, სპეციალიზაციის არსებობა ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ეკონომიკურ განვითარებასა და ინვესტიციების განხორციელებას შეუწყობდა ხელს.[150] ამავე პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ ვინაიდან რთული კომერციული დავების განხილვა შესაბამის კვალიფიკაციასა და ცოდნას მოითხოვს, ახლადშექმნილი კომერციული დავების სპეციალიზაციის მოსამართლეები შესაბამის ტრენინგებს გაივლიდნენ.

*„მინდა ღიად განვაცხადო, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო მზად არის შეხვდეს ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს, მოისმინოს მათი ხედვები სასამართლოში არსებულ პრობლემებზე და მოახდინოს დროული რეაგირება მის მოსაგვარებლად“- **გიორგი მიქაუტაძე, 2017 წლის 3 აგვისტოს პრესკონფერენცია***

ამ პერიოდისათვის საბჭოსთვის ცნობილი იყო კომერციული და საგადასახადო პალატის შექმნის თაობაზე მიმდინარე სამუშაოებისა და დისკუსიის შესახებ.[151] მიუხედავად ამისა, მათ საკითხის სათანადოდ დამუშავებისა და ბიზნესსექტორის ჩართულობის გარეშე, თბილისის საქალაქო სასამართლოში კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის შექმნის გადაწყვეტილება ნაჩქარევად მიიღეს.

საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენსიურობის მქონე რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, სადაც ორზე მეტი მოსამართლეა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება განხორციელდეს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია ან შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები.[152] საერთო სასამართლოების სისტემაში შექმნილი კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის განსახილველად განისაზღვრა სანივთო სამართლებრივი, სამეწარმეო სამართლებრივი, ვალდებულებით სამართლებრივი დავები და გაკოტრების საქმეები, რომელთა დავის საგანი აღემატება 500 000 ლარს.

მართალია, საბჭოს გადაწყვეტილება იდეურად მსგავსია იმისა, რასაც იუსტიციის სამინისტრო გეგმავდა განეხორციელებინა. თუმცა მთავრობის ინიციატივით იგეგმებოდა უფრო დახვეწილი იურისდიქციის საგადასახადო და კომერციული პალატების შექმნა. გარდა ამისა, მოსამართლეთა შემადგენლობა ისეთი კრიტერიუმების საფუძველზე განისაზღვრებოდა, რაც ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელებას უზრუნველყოფდა.

*კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის ამოქმედებით სისტემურად პრობლემები არ გადაჭრილა.იგივე ხდება, გააჩნია რომელ მოსამართლეს დაეწერება საქმე შეიძლება მიიღო ხარისხიანი მართლმსაჯულება, შეიძლება - არა, ისევე როგორც მანამდე იყო. მე პირადად ვერ ვგრძნობ, რომ ამ მიმართულებით რაიმე გაუმჯობესებულიყო.- **მოქმედი ადვოკატი***

---

[150]საბჭოს განცხადება კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის შექმნის შესახებ, 2017; https://bit.ly/30moVob [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[151] აღნიშნული ინფორმაცია საბჭოს მოსამართლე წევრმა რევად ნადარაიამ მასთან ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს დაადასტურა.

[152] საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

*აშკარაა, რომ იუსტიციის საბჭომ კონტრსვლა გააკეთა, როდესაც შიგნით დაიწყო სასამართლოს სისტემაში სპეციალიზაციების შემოღება. ეს უფრო იყო სვლა სტრატეგიული მიზნებისთვის და არა რეალური გაუმჯობესებისთვის. [..] მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესება არ არის საბჭოს მიზანი, ეს არის კონტრსვლა რაღაც ტიპის პოტენციურ რეფორმებზე, რომელიც შეიძლება გარკვეულწილად ნეგატიურად ასახულიყო სასამართლოს შიგნით კონკრეტული ჯგუფის გავლენებზე. - **მოქმედი ადვოკატი***

*რაც შეეხება მთავრობის ინიციატივას, თეა წულუკიანმა (იუსტიციის მინისტრი) და გიორგი კვირიკაშვილმა (მაშინდელი პრემიერ-მინისტრი) ძალიან კარგად იცოდნენ, როგორი კორუფციაა სასამართლოში, აქედან გამომდინარე არ მიესალმებოდნენ ამას, ვინაიდან ისინი ჩართულები არ იყვნენ ამ ნაწილში. შესაბამისად, მათ უნდოდათ რომ რაღაცნაირად ეს დავები, რომელიც ბიზნეს გარემოზე ზემოქმედებს და სადაც კორუფციული რისკები არსებობს წამოეღოთ ჩინჩალაძისგან.[153] ეს იყო რაც მოიფიქრეს. მათ არ ჰქონდათ საშუალება, რომ ჩინჩალაძე გაეშვათ სახლში ან დაეჭირათ თუნდაც ერთი მოსამართლე. აქედან გამომდინარე მიაგნეს ამ საშუალებას. ერთი შეხედვით არ არის კარგი მეთოდი სპეციალიზებული სასამართლოს შექმნა, თუმცა ორი გზა არსებობს კორუფციის დამარცხების სასამართლოში: ან უნდა დაიჭირო ეს მოსამართლეები, ვინც არიან ამაში მხილებულები, ან უბრალოდ უნდა გამოართვა მათ ეს საქმეები. მათ აირჩიეს მეორე გზა. რეალურად ეს იყო ბრძოლა დარჩენილიყო ეს საქმეები სასამართლოში თუ გამოსულიყო ახალ პალატაში. - **მოქმედი ადვოკატი***

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის 30 აპრილამდე კომერციული დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაცია არსებობდა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო 30 აპრილიდან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული სპეციალიზაცია თბილისის სააპელაციო სასამართლოშიც შეიქმნა. საინტერესოა ის, რომ საბჭოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში იგივე სპეციალიზაციის შექმნის შესახებ არ ეფუძნება რაიმე კონკრეტულ კვლევას ან სტატისტიკურ მონაცემებს. საბჭოს სიღრმისეულად არ შეუსწავლია რა ეფექტი ჰქონდა კომერციული დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაციის არსებობას 2016-2018 წლებში თბილისის საქალაქო სასამართლოში. კერძოდ, არ შეუფასებია რეალურად გაუმჯობესდა თუ არა ბიზნეს დავებზე განხორციელებული მართლმსაჯულების ხარისხი და ეფექტიანობა და რამდენად სწრაფად განიხილებოდა მსგავსი დავები პირველი ინსტანციის სასამართლოში მას შემდგომ რაც ეს სპეციალიზაცია შეიქმნა.

დღემდე საბჭოს არ შეუფასებია ზოგადად კომერციული დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაციის არსებობა რამდენად ეფექტიანია მხოლოდ ორი ინსტანციის სასამართლოში. კერძოდ, იქონია თუ არა გავლენა ზოგადად ბიზნეს გარემოზე ამ სპეციალიზაციის არსებობამ და რა სხვაობა მისცა ბიზნესის წარმომადგენლებს დავის განხილვის პროცესის ვადებთან დაკავშირებით.

სასამართლო სისტემის მხრიდან არ დამუშავებულა, არ შეფასებულა ამ სპეციალიზაციის შექმნამ რამდენად იმუშავა, არ არსებობს ასეთი შეფასება. ერთადერთი მეორე მხრიდან ვიცი, ბიზნესის წარმომადგენლების მხიდან მაქვს ინფორმაცია, რომლებსაც ჰქონდათ სერიოზული დავები სასამართლოში და ძალიან წარუმატებლად დასრულდა მათი პროცესებში მონაწილეობა. [..] პროაქტიულად რაც ჩემთან შემოსულა და სხვადასხვა ტიპის კომუნიკაცია რაც მქონია, ბიზნესნემების მხრიდან ძალიან ნეგატიური

[153] მიხეილ ჩინჩალაძე თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე და სასამართლოს ე.წ. კლანის ერთ-ერთი ლიდერია. დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://bit.ly/3kZlhZn [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

*შეფასებები აქვს სასამართლოს ამ კატეგორიაში. - **ნაზი ჯანეზაშვილი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი***

ჩაღრმავებული ინტერვიუს ფარგლებში, ადვოკატებისგან, საბჭოს არამოსამართლე წევრისგან და ასევე ინვესტორთა საბჭოს წარმომადგენლისგან განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა საბჭოს მოსამართლე წევრმა რევაზ ნადარაიამ, რომელმაც დადებითად შეაფასა ბიზნეს დავების ვიწრო სპეციალიზაციის არსებობა:

*მთლიანად საქმეთა გაჭიანურების პრობლემა არ აღმოიფხვრა, თუმცა ამ სპეციალიზაციის არსებობამ არსებული სიტუაცია მნიშვნელოვნად შეცვალა და საქმეთა განხილვის ვადები საკმაოდ დააჩქარა. პრაქტიკულად პირველი ინსტანცია ორიენტირებულია მხოლოდ ამ კატეგორიის დავებზე და მაქსიმალურად სწრაფად ინიშნება და იხილება საქმეები, ისევე როგორც აპელაციაში. ეს არ არის ჩემი სუბიექტური დამოკიდებულება ზოგადი შეხედულებითაც რაც მესმის ეს ასეა. ამას არ მივუყვანივართ იმ დონემდე, რომ სამ თვეში მორჩეს სამ ინსტანციაში განხილვა, მაგრამ ეს ვერც მოხდება საქმეთა სირთულიდან გამოდინარე. - **რევაზ ნადარაია, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამრათლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.***

კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა დანიშვნის სტანდარტი

ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა განაწილების ფორმალურ პროცედურასა და ეტაპებს კანონი არ იცნობს. ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა ერთპიროვნულად, სასამართლოს თავმჯდომარე საკუთარი ბრძანებით განსაზღვრავს. საყურადღებო და პრობლემურია თავმჯდომარის ამგვარი უფლებამოსილება კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციებში, სადაც უფრო მეტადაა შესაძლებელი არსებობდეს სახელმწიფო, ბიზნეს ან კერძო ინტერესები.

მთავრობის ინიციატივის თანახმად, კომერციულ და საგადასახადო პალატაში მოსამართლეთა დანიშვნის მთავარი კრიტერიუმი ამ სფეროში შესაბამისი განათლება ან/და გამოცდილება უნდა ყოფილიყო. დღეის მდგომარეობით არ არსებობს ნორმატიული აქტით მოწესრიგებული პროცედურა თუ კრიტერიუმები ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა განმწესებასთან დაკავშირებით. პრაქტიკის მიხედვით მოსამართლეები კონკრეტულ ვიწრო სპეციალიზაციაში მათი სურვილის გათვალისწინებით ხვდებიან. ამასთან, ამ პროცესში არ ფასდება მათი კვალიფიკაცია და გამოცდილება კონკრეტულ სამართლის დარგში. საბჭოს წევრმა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს კომერციული დავების განმხილველმა მოსამართლემ რევაზ ნადარაიამ ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ აღნიშნულ სპეციალიზაციაში მოსამართლეთა განაწილებისას ყურადღება ექცევა მათ სამუშაო გამოცდილებასა და კვალიფიკაციას ამ სფეროში. თუმცა თავად რევაზ ნადარაია წლების განმავლობაში სისხლის სამართლის მოსამართლე იყო და 2018 წლიდან, მას შემდგომ რაც სააპელაციო სასამართლოში კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციები შეიქმნა, სამოქალაქო პალატის ამავე სპეციალიზაციაშია. მასთან ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს, ნადარაიამ ამ ვიწრო სპეციალიზაციაში მისი განმწესება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით ახსნა. მან აღნიშნა, რომ სისხლის კატეგორიაში მუშაობა მისთვის განსაკუთრებით სტრესული იყო, ამიტომ მისივე თხოვნით სასამართლოს თავმჯდომარემ იგი სამოქალაქო საქმეთა კატეგორიაში დანიშნა.

ფაქტია, რომ ამ მიმართულებით (იგულისხმება მოსამართლეთა კვალიფიკაცია) მე კითხვები არ მსმენია, არ ვიცი შეიძლება არის, მაგრამ ჩემამდე არ მოსულა. ვფიქრობ, რომ დღეს ეს აქტუალური თემა არ არის.[..] ამ სპეციალიზაციაში განმწესებამდე ყველაფერს ექცევა ყურადღება, მოსამართლეთა ნება-სურვილს და ყველა კომპონენტს ექცევა ყურადღება. (იგულისხმება სპეციალური ცოდნის და გამოცდილების აუცილებლობა კომერციული დავების მიმართულებით) - ***რევაზ ნადარაია, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.***

საბჭოს წევრი მოსამართლეებიც კი არიან ამ სპეციალიზაციის შემადგენლობაში აპელაციაში, ასევე პირველ ინსტანციაშიც ამ შემადგენლობაში ისეთი მოსამართლეები არიან, რომ მე ვერ ვხვდები რა პრინციპით არიან ეს ადამიანები არჩეული ამ სპეციალიზაციაში და რანაირად ვაღწევთ იმას, რომ საბჭოს გავლენისგან ეს ხალხი თავისუფალია ეგეც არ მესმის. [..] თუ იქნება რაიმე დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც გამოვა საერთოდ ამ სისტემიდან და მიიღებს გადაწყვეტილებებს მოსამართლეთა დანიშვნა/გათავისუფლებაზე, ვფიქრობ, ამ სიტუაციაში არ იქნება ურიგო. საბჭოს ეს ბერკეტი გამოეცლება ხელიდან. დღევანდელი მოცემულობა და საბჭოს დღევანდელი საქმიანობა ამ აზრისკენ მიბიძგებს. - ***მოქმედი ადვოკატი***

თბილისის საქალაქო სასამართლოში კომერციული დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაციის ამოქმედებისას სპეციალიზაცია 4 მოსამართლით დაკომპლექტდა.[154] გაურკვეველი და ბუნდოვანია, როგორც თავდაპირველი შემადგენლობის შერჩევის წესი და კრიტერიუმები, ასევე დღემდე დაუსაბუთებელია, რას ეყრდნობა სასამართლოს თავმჯდომარე, როდესაც სპეციალიზაციაში შემადგენლობას ცვლის.

მსგავსი პროცედურული ხარვეზით ინიშნებიან მოსამართლეები თბილისის სააპელაციო სასამართლოს კომერციული დავების განმხილველ ვიწრო სპეციალიზაციაშიც. დღეის მდგომარეობით სპეციალიზაციაში 8 მოსამართლეა: ამირან ძაბუნიძე, რევაზ ნადარაია, მერაბ ლომიძე, გოგიტა თოთოსაშვილი, გელა ქირია, გენადი მაკარიძე და შორენა წიქარიძე. უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლიდან დღემდე 6-ჯერ შეიცვალა სპეციალიზაციის შემადგენლობა, მათ შორის, 2019 წლის 15 ივლისის ცვლილებებით თეა სოხაშვილი-ნიკოლაშვილი სპეციალიზაციაში ჩაანაცვლა ლევან მიქაბერიძემ.[155] მიქაბერიძე სააპელაციო სასამართლოში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით კონკურსის გარეშე დაინიშნა.[156] ამასთან, იგი თბილისის საქალაქო სასამართლოში კომერციული დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობაში იყო. მიუხედავად იმისა, რომ თეა სოხაშვილი-ნიკოლაშვილი დღემდე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეა ბუნდოვანია რატომ და რა კრიტერიუმების საფუძველზე მოხდა მისი ჩანაცვლება. 2019 წლის 18 სექტემბრიდან ამ შემადგენლობაში აღარ არის ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოქმედი მოსამართლე ოთარ სიჭინავაც, რომელიც კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის შექმნის დღიდან იყო აღნიშნულ შემადგენლობაში. თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სიჭინავა შემადგენლობაში გელა ქირიამ და გენადი მაკარიძემ ჩაანაცვლეს.

კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის ეფექტიანი და ხარისხიანი მართლმსაჯულების მიზანი

---

[154] თამარ ბურჯანაძე, ლევან მიქაბერიძე, ლაშა ქოჩიაშვილი და სოსო ღურწკაია.

[155] დღეის მდგომარეობით ლევან მიქაბერიძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე და სადისციპლინო პალატის წევრია. დეტალური ინფორმაცია იხ: :https://bit.ly/3izcqwm [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[156] საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ," 37-ე მუხლი.

ბიზნეს დავების განხილვის პროცესში ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენლების კრიტიკა, საქმეთა განხილვის პროცესში არასათანადო ჩარევებთან ერთად, მოსამართლეთა კვალიფიკაციასაც მიემართებოდა.[157] შესაბამისად, ჯერ კიდევ კომერციული პალატების შექმნის შესახებ მთავრობის ინიციატივის გაჟღერებისას, მოსამართლეთა კვალიფიკაციაზე არაერთხელ გამახვილდა ყურადღება.

*კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის შექმნით, მოსამართლეები უზრუნველყოფენ მსგავს დავებზე მართლმსაჯულების სისწრაფის და ხარისხის გაუმჯობესებას, გაიზრდება გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხი, დავები განხილულ იქნება მაქსიმალურად შემჭირდროვებულ ვადებში. ეს პროცესი საბოლოოდ ხელს შეუწყობს ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ეკონომიკურ განვითარებას და ინვესტიციების განხორციელებას. - **2017 წლის 3 აგვისტოს პრესკონფერენცია, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებში კომერციული დავების სპეციალიზაციის შექმნის საკითხზე.***

კომერციული დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაციის შექმნისას საბჭოს საჯაროდ გაცხადებული მიზანი მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესება და გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხის გაზრდა იყო, თუმცა შერჩეული მოსამართლეების კვალიფიკაცია და მიღებული გადაწყვეტილებები ამის თქმის საშუალებას არ იძლევა.[158] მოსამართლეთა კვალიფიკაციის შემოწმება არ ხდება მათი ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობაში განმწესების არც ერთ ეტაპზე. ხოლო, სასამართლოს თავმჯდომარეთა ბრძანებები, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მხოლოდ შაბლონურად განსაზღვრავს ჩამონათვალს თუ ვინ იქნება კომერციული დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობაში. შედეგად, ყოველგვარი კრიტერიუმებისა და დასაბუთების გარეშე თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ვიწრო სპეციალიზებული შემადგენლობის განსაზღვრა, საქმეთა განაწილების პროცესსა და დავის საბოლოო შედეგზე გავლენის მოხდენის რეალურ რისკებს წარმოშობს.

2017 წლის 3 აგვისტოს პრესკონფერენციაზე, როდესაც საბჭომ სპეციალიზაციის შექმნის შესახებ ამცნო საზოგადოებას, აღინიშნა, რომ რთული კომერციული დავების განხილვა შესაბამის კვალიფიკაციასა და ცოდნას მოითხოვდა ამიტომ, ახლადშექმნილი კომერციული დავების სპეციალიზაციის მოსამართლეები შესაბამის ტრენინგებს გაივლიდნენ. თუმცა, სპეციალიზაციის შექმნის დღიდან დღემდე შემადგენლობაში დანიშნული მოსამართლეების კვალიფიკაცია კონკრეტულად სამართლის ამ დარგთან მიმართებით კითხვებს ბადებს. მაგალითად, არის შემთხვევები, რომ არა თუ სამოქალაქო სამართლის, არამედ სისხლის სამართლის სპეციალისტია შემადგენლობაში განმწესებული მოსამართლე. [159]

დიდი ფულის პალატაში წესიერ მოსამართლეებს არ უნდათ, ვინაიდან ერიდებიან კონფლიქტს ჩინჩალაძესთან და სხვა გავლენიან მოსამართლეებთან, რადგან ყოველთვის ალბათ ვერ შეუსრულებენ გარკვეულ დავალებებს. ამიტომ ამ სპეციალიზაციაში ისეთი მოსამართლეები შეყავთ რომელებიც დაახლოებული არიან სასამართლო კლანთან და მათ შეუძლიათ დავალებების შესრულება. ესეთი მოსამართლეები სამწუხაროდ დიდად კვალიფიკაციით არ გამოირჩევიან, მაგრამ ყოველთვის არის ერთი მოსამართლე, რომელიც გადაწყვეტილებას დაწერს. მაგალითად, ოთარ სიჭინავამ აიცილა კიდეც ერთ-ერთი ჩემი საქმე, უბრალოდ თქვა რომ ამას ვერ განვიხილავო. [..] ხარისხის გაუმჯობესებას მართალი

---

[157] "საქართველოს ბიზნეს ასოციაციის" პრეზიდენტის განცხადება სასამართლოსადმი ნდობის თაობაზე ხელმისაწვდომია. https://bit.ly/2XMJIzy [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[158] მოსამართლეების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართში;

[159] შემადგენლობაში განმწესებული მოსამართლეების ბიოგრაფიები იხილეთ დანართში.

*გითხრათ ვერ ვატყობ, მე შეხება მაქვს სწორედ ამ სპეციალიზაციის განსახილველ დავებთან, იქიდან გამომდინარე, რომ შემადგენლობაში პირიქით ნაკლებად კვალიფიციური მოსამართლეები შეიყვანეს. შესაბამისად, პირიქით დაეცა კიდეც ამ ტიპის დავებში დასაბუთებულობის ხარისხი. - **მოქმედი ადვოკატი***

*ნამდვილად ვერ გეტყვით შიგნით რა ხდება არ ვიცი, თუმცა გარედან ნამდვილად ასეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს არის ერთგვარი ტკბილი ლუკმა, რომელსაც შესთავაზებენ იმ მოსამართლეებს რომელსაც ამის გარკვეული „დამსახურებები“ აქვთ. - **მოქმედი ადვოკატი***

კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის სწრაფი მართლმსაჯულების მიზანი

კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის შექმნის მნიშვნელოვან მიზნად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ბიზნეს დავებზე სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას ასახელებდა. კვლევის ფარგლებში, ორგანიზაციამ თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოებიდან კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის მიერ განსახილველ საქმეთა გაჭიანურების შესახებ ინფორმაცია გამოითხოვა. ***თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 10 ივლისის წერილის თანახმად, მსგავსი სტატისტიკურ მონაცემებს არ ამუშავებენ.[160] ეს გარემოება კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ გაუგებარია რა მონაცემებს დაეყრდნო იუსტიციის უმაღლესი საბჭო, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლოს მაგალითზე თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2018 წელს კომერციული დავების განმხილველი სპეციალიზაცია შექმნა.***

რაც შეეხება თბილისის სააპელაციო სასამართლოს, 2020 წლის 11 აგვისტოს წერილით გამოგვეგზავნა ინფორმაცია 2017 წლიდან წარმოებაში მიღებული და დასრულებული საქმეების ჩამონათვალი, შესაბამისი თარიღების მითითებით.[161] მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხოლოდ აპელაციაში, ამ სპეციალიზაციის მიერ განსახილველი დავის დასრულებას საშუალოდ 1 წლამდე ვადა სჭირდება. ამასთან, მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რიგ შემთხვევებში 2018 წლიდან დაწყებული სააპელაციო დავები დღემდე მიმდინარეა და არ დასრულებულა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში არ არსებობს კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაცია, შესაბამისად რაიმე პრიორიტეტი ამ ტიპის დავებს სხვა საქმეებთან მიმართებით არ აქვს და ჩვეულებრივ რიგითობის მიხედვით განიხილება.

ამასთან, როგორც ცნობილია, 2017 წელს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შედეგად,[162] საერთო სასამართლოების სისტემაში დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი შემოვიდა. ინსპექტორს საბჭოსგან დამოუკიდებლად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისა და დისციპლინური საქმის წინასწარ შემოწმება/გამოკვლევის უფლებამოსილება მიენიჭა. საქმიანობის პროცესში დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური წლის განმავლობაში სამსახურში შემავალი

---

[160]თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 10 ივლისის N3-0460/3758754 წერილი; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2VSyJmF

[161] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 11 აგვისტოს N2/8906 წერილი; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mVMrAW

[162]საქართველოს კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“; 2018 წლის 20 აპრილს განხორციელებული ცვლილებების შედეგად ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს დაემატა XIII[1] თავი, რომელიც არეგულირებს დისციპლინური სამართალწარმოების საკითხებს.

განცხადება/საჩივრების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2017-2019 წლებში საჩივრების 55 % სამოქალაქო საქმეთა კატეგორიაზე მოდის.[163] ამასთან, ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის პირველი კვარტლის სტატისტიკურ ანგარიშის თანახმად, წარდგენილი 60 საჩივრიდან, 40 საპროცესო ვადების დარღვევას შეეხებოდა.[164]

პროფესიული წრეების წარმომადგენლებში სწრაფი მართმსაჯულების განხორციელება ბიზნეს დავებში კვლავ პრობლემად აღიქმება. ამასთან, ამ დრომდე არ არსებობს სასამართლოს მიერ ჩატარებული კვლევა საერთო სასამართლოებში საქმეთა გაჭიანურების კონკრეტული სტატისტიკური მონაცემებისა და მიზეზების შესახებ.

*რაც შეეხება დავის განხილვის სისწრაფეს, სტატისტიკა რომ ნახოთ უფრო მალე იხილება ეს დავები, ვინაიდან 6-ჯერ ნაკლები საქმეები აწერიათ, ვიდრე სხვა მოსამართლეებს. თუმცა, უზენაესს სასამართლოში ამ საქმეებს არ აქვთ არანაირი პრიორიტეტი.(რესპოდენტის მოსაზრებით არც უნდა ჰქონდეს რაიმე პრიორიტეტი ამ დავებს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში) საბოლოო ჯამში, ქვედა ინსტანციებში დავა უფრო მალე განიხილება, თუმცა იმის გამო, რომ უზენაესში საქმე ჭიანურდება ძალიან მცირე დროის სხვაობას იძლევა. გულუბრყვილოა იმის მოლოდინი, რომ დღეის მდგომარეობით სასამართლოში დავა 1 წელიწადში დასრულდება. უბრალოდ თუ სხვა დავას 4 წელი ჭირდება, ამ ტიპის დავის დასრულებას შეიძლება 2 წელი დასჭირდეს, ბიზნესისთვის ეს დრო მაინც მტკივნეულია. ამიტომ ბიზნესისთვის ეს ვადებიც არაა მისაღები. - **მოქმედი ადვოკატი***

„მართალი რომ გითხრათ, რაიმე სტატისტიკას არ ვფლობ ამ მიმარულებით, მაგრამ ამ პალატების (იგულისხმება იუსტიიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შექმნილი ვიწრო სპეციალიზაცია) შემდეგ, ბიზნესიდან არ არის ისეთი დამოკიდებულება, რომ ამან არსებული პრობლემები მოაგვარა.[..] ჩემი ინფორმაციით იგივე მდგომარეობაა, რაიმე გაუმჯობესება რომ ყოფილიყო, ეს ცხადია არ დაიმალებოდა. ერთი შემიძლია დავადასტურო, რომ ბიზნესმენთა და ინვესტორთა აზრით, თუ საინვესტიციო კლიმატზე სერიოზულად ფიქრობს ვინმე, სასამართლოს პრობლემის მოგვარების გარეშე ეს ოპტიმალური შედეგის მომტანი ვერ იქნება.[..] პრობლემები რომ არსებობს სასამართლო სისტემასთან მიმართებაში ეს ცალსახაა.”
*- **გიორგი ჯუღელი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს იურიდიული მრჩეველი***

შუალედური დასკვნა

საერთო სასამართლოების სისტემაში კომერციული დავების განხმილველი ვიწრო სპეციალიზაციის არსებობის პირობებში, დადებითად უნდა შეფასდეს:

---

[163]უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წესი, ამ დარღვევის გამო მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დგება. თუმცა, მეორე მხრივ ნებისმიერი მოსამართლის მიმართ არსებობს რეალური საფუძველი, რომ მას დაეკისროს პასუხისმგებლობა. ამ თვალსაზრისით, საქმეთა განხილვის გაჭიანურების პრობლემა სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ახდენს პირდაპირ გავლენას.

[164]დამოუკიდებელი ინსპექტორის ყოველწლიური სტატისტიკური მონაცემების ანგარიშები ხელმისაწვდომია ბმულზე: https://bit.ly/3iDr99z [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

- ➢ ბიზნეს დავების სირთულიდან გამომდინარე, სპეციალიზაცია დაეხმარება მოსამართლეებს, მრავალჯერ მსგავსი საქმეების განხილვის შედეგად, უკეთესად გააანალიზონ მათთან წარმოდგენილ საქმეებთან დაკავშირებული არსებული რეალობები, რაც მნიშვნელოვანია საქმეების მუდმივად მზარდი რაოდენობის პირობებში;

უარყოფითად უნდა შეფასდეს:

- ➢ დაუსაბუთებელია საბჭოს გადაწყვეტილება მხოლოდ თბილისის სააპელაციო და თბილისის საქალაქო სასამართლოებში კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის შექმნის შესახებ;
- ➢ სასამართლო თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ვიწრო სპეციალიზებული შემადგენლობის განსაზღვრა, მის მიერ საქმეთა ელექტრონული განაწილების პროცესსა და დავის საბოლოო შედეგზე გავლენის მოხდენის რეალურ რისკებს წარმოშობს;
- ➢ არ არსებობს მოსამართლეთა შერჩევის კონკრეტული კრიტერიუმები, შედეგად გაურკვეველია რას ეფუძნება სასამართლოს თავმჯდომარე შემადგენლობის განსაზღვრის პროსცეში;
- ➢ კითხვებს ბადებს სპეციალიზაციაში განმწესებულ მოსამართლეთა უმრავლესობის კვალიფიკაცია, რაც საბოლოოდ შეუძლებლეს ხდის ხარისხიანი მართმსაჯულების განხორციელებას;
- ➢ ბიზნეს დავების სირთულიდან გამომდინარე, მოსამართლეთა კვალიფიკაციის ნაკლებობა საბოლოოდ, სწრაფი მართმსაჯულების განხორციელებასაც აფერხებს;
- ➢ უზენაეს სასამართლოში კომერციული დავების განხილვას რაიმე პრიორიტეტი არ აქვს და ჩვეულებრივი რიგითობის მიხედვით განიხილება, რაც საბოლოოდ განხილვის ზოგად ვადებთან შედარებით მცირე სხვაობას იძლევა;

კომერციული დავების განმხილველი პალატების შექმნა გამოწვეულია საერთაშორისო და ევროპული სამართლის ნორმების მრავალფეროვნებით, გლობალიზაციითა და მის ფონზე სასამართლო სისტემებს შორის გაზრდილი კონკურენციით. განვითარებული ქვეყნები ცდილობენ დანერგონ მხარეთა შორის დავის გადაწყვეტის მისაღები და ეფექტიანი მართლმსაჯულების სერვისი. აღნიშნული კი, ქვეყნის ეკონომიკურ და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

გლობალური ტენდენციისაგან განსხვავებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის შექმნა ხელისუფლების მიმართ საპასუხო ნაბიჯი იყო, დამოუკიდებელი კომერციული პალატის ჩამოყალიბების იდეის საპირწონედ. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოს მიზანი არ ყოფილა სწრაფი და ხარისხიანი მართლმსაჯულების არსებობა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთავრობის ინიციატივა (კომერციული და საგადასახადო პალატების შექმნის შესახებ) პოზიტიური ცვლილებების მომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო, რომელიც მართლმსაჯულების კონკრეტული სფეროს გაუმჯობესების სტიმულს შექმნიდა. თუმცა იგი ვერ უზრუნველყოფდა ძირეული ინსტიტუციური და სისტემური პრობლემების გადაჭრას, არამედ პრობლემის მხოლოდ ნაწილობრივ მოგვარებას ისახავდა მიზნად. ამგვარი მიდგომა კი ცალსახად აჩვენებს, რომ სწორედ ხელისუფლების პოლიტიკაა იმ კრიზისის წყარო, რომელშიც სასამართლო სისტემა დღემდე განაგრძობს ფუნქციონირებას.

დღემდე არ არსებობს რაიმე კვლევა, რომელსაც დაეფუძნა საბჭო მხოლოდ თბილისის საქალაქოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოებში კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის შექმნის საჭიროებისა და აუცილებლობის შესახებ. პრობლემურია ასევე თავმჯდომარის მიერ სპეციალიზაციის შემადგენლობის ერთპიროვნულად განსაზღვრის არსებული წესი, რაც ასევე, დავის საბოლოო შედეგზე

გავლენის მოხდენის რეალურ რისკებს წარმოშობს. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაცია სწრაფი და ხარისხიანი მართმსაჯულების განხორციელებას ვერ უზრუნველყოფს. შეიძლება ითქვას, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ამ გადაწყვეტილებამ ვერ მოაგვარა ის პრობლემები, რაზეც ბიზნეს ასოციაციები ჯერ კიდევ 2015 წლიდან საუბრობდნენ.[165]

> *„სპეციალიზაციის გამართლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ეს ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას, ანუ თუ ეს მიზანშეწონილი იქნება სამართალწარმოების და სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფისთვის"- ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE), დასკვნა #15 (2012), პარაგრაფი 38.*

დასკვნა

სპეციალიზირებული მოსამართლეები და სასამართლოები არის ზრდადი ტენდენცია, რომელიც სამართლის უფრო მეტად კომპლექსურობითა და საზოგადოების მიერ ეფექტიანი მართლმსაჯულების მოთხოვნითაა ნაკარნახევი. **კარგად ორგანიზებული სპეციალიზაციის ფორმა შესაძლოა, მართლმსაჯულების ეფექტიანობის გარკვეულწილად გაუმჯობესების საფუძველი გახდეს, თუმცა იგი მართლმსაჯულებაში არსებული პრობლემების გადაჭრის უნიკალური საშუალება არ არის. პროცესების უსაფუძვლოდ გადადების პრაქტიკა, საქმეთა განაწილების სუსტი მენეჯმენტი, კორუფცია, დაბალი ანაზღაურება, ფიზიკური ინფრასტრუქტურის არარსებობა, სასამართლოს თანამშრომლების ნაკლები კვალიფიკაცია არაეფექტიანი მართლმსაჯულების გამომწვევ მიზეზებად სახელდება და რომელთა გადაჭრაც მხოლოდ სპეციალიზაციის შემოღებით შეუძლებელია.[166]**

სამართლის ერთ სფეროში სპეციალიზაციის შემოღება შეიძლება იმის შეფასების საშუალება იყოს, თუ როგორი გავლენა აქვს სპეციალიზაციის კონკრეტულ ფორმას მართლმსაჯულების ხარისხზე. იმ შემთხვევაში თუ სპეციალიზაციის უარყოფითი და დადებითი შედეგები სათანადოდ არ იქნა გაანალიზებული, სპეციალიზაციების შემოღება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. მართლმსაჯულების არაეფექტიანობის კრიტიკის საპასუხოდ სპეციალიზაციების განსაზღვრა ერთი შეხედვით პრობლემის გადაჭრის სწრაფი და იოლი გზაა, თუმცა მისი მიზანი კრიტიკის საპასუხოდ არა რეალური, არამედ ზედაპირული ცვლილებების განხორციელებაა.

სპეციალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ მისი მიზანი მართლმსაჯულების განხორციელების ხელშეწყობაა, მათ შორის იმ შემთხვევაში თუ სპეციალიზაციით უფრო მეტად ხარისხიანი მართლმსაჯულება იქნება უზრუნველყოფილი და გაიზრდება გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის ხარისხი.[167] სასამართლო საქმეების განხილვაში „უნივერსალურ" მოსამართლეებს დომინანტური როლი უნდა მიენიჭოთ, ხოლო სპეციალიზებული მოსამართლეები და სასამართლოები მხოლოდ საჭიროების

---

[165] იხ. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, *კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში,* 2018. კვლევა, რომელშიც საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში კორუფციის რისკებია შეფასებული, საქართველოში პირველად მომზადდა და მასში წარმოდგენილი მიგნებები 2018 წლის აპრილისთვის არსებულ მდგომარეობას ასახავს. https://bit.ly/2OPOJ5b [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[166] Dory Reiling, *Court Specialization or Special Courts? A Toolkit for Development*, Justice Reform Practice Group (LEGJR), World Bank. https://bit.ly/3jtSc6G [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[167] Consultative Council of European Judges (CCJE), *Opinion (2012) No. 15 of the Consultative Council of European Judges on the Specialization of Judges,* 13 November 2012, para. 38.

შემთხვევაში უნდა იქნეს შემოღებულნი კანონმდებლობის ან ფაქტების სირთულიდან, ან სპეციფიკიდან გამომდინარე.[168]

სპეციალიზებული სასამართლოების, პალატებისა თუ კოლეგიების შექმნა უნდა იყოს მკაცრად რეგულირებული. აუცილებელია იმის გაანალიზება თუ სამართლის რა დარგშია არის სპეციალიზაციის საჭიროება, სპეციალიზაციის რომელი მოდელი არის გამოსაყენებლად ვარგისი და მოსამართლეთა განმწესებისა და კვალიფიკაციის ზრდის მოდელების განსაზღვრა. ზედმეტად ვიწრო სპეციალიზაციამ შესაძლოა გამოიწვიოს სამართლის სხვა დარგებთან გაუცხოება და პროცესის მონაწილეებთან არასასურველი ფამილიარობა. ასეთი ტიპის სასამართლოები შეიძლება მოექცნენ განსაკუთრებული ინტერესის ქვეშ, რაც მათზე არასასურველი ზეგავლენის წარმოშობის საფრთხეს ქმნის. გარდა ამისა, ასეთი ტიპის სასამართლოები საზოგადოებაში აღქმულია როგორც კონკრეტული ჯგუფის ინტერესების გამტარებელი ინსტიტუტი.

გაზრდილი მობილობა და როტაცია არის გამოსავალი იმ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რაც სპეციალიზაციებს გააჩნიათ. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს შესძლებლობა, რომ კარიერის მანძილზე შეიცვალოს სასამართლო ან სპეციალიზაცია, ვიწრო სპეციალიზაციის დავების განხილვიდან გადავიდეს ზოგადი სპეციალიზაციის დავებზე და პირიქით.[169] თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხშირმა მობილობამ არ უნდა შელახოს საქმის დროული განხილვის, მოსამართლეთა მიუკერძოებლობისა და შეუცვლელობის პრინციპები.[170]

დანართი

კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობაში დანიშნული მოსამართლეები

---

168 *ibid.*

169 *ibid.*, para. 36.

170 Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion (2001) No. 1 of the Consultative Council of European Judges on Standards Concerning the Independence of the Judiciary and the Irremovability of Judges, 23 November 2001, paras. 57-60.

ევროპის საკონსულტაციო საბჭოს 2012 წლის დასკვნაში, მოსამართლეთა სპეციალიზაციის შესახებ, ვკითხულობთ შემდეგს: „პროფესიონალი მოსამართლე შეიძლება სხვადასხვა გზით გახდეს სპეციალიზებული მოსამართლე. ეს შეიძლება მოხდეს გამოცდილების საფუძველზე, რომელიც მან დააგროვა სპეციალიზებულ იურისტად მუშაობის პროცესში, სანამ მოსამართლის თანამდებობაზე დაინიშნებოდა; ან მან ასეთი გამოცდილება მოსამართლედ მუშაობის პერიოდში შეიძინა სპეციალიზებული სამუშაოს შესრულების პროცესში. გარდა ამისა, სპეციალიზებულ მოსამართლეს შეუძლია გაიაროს პროფესიული ტრენინგი სამართლის კონკრეტულ დარგში, ან არასამართლებრივ სფეროში, და შემდეგ დაინიშნოს სპეციალიზებულ სასამართლოში მოსამართლედ, ან განიხილოს სპეციალიზებული საქმეები საერთო სასამართლოში.“[171]

კომერციული დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაციის შექმნის დღიდან დღემდე, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოში, ისე თბილისის სააპელაციო სასამართლოში სპეციალიზაციის შემადგენლობა რამდენჯერმე შეიცვალა. როგორც ზემოთ აღინიშნა, შემადგენლობაში ცვლილება სასამართლო თავმჯდომარის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს სპეციალიზაციის შემადგენლობის მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმები და მათი კვალიფიკაცია რამდენად აკმაყოფილებს იმ საერთაშორისო სტანდარტს, რაც ზემოთმოცემულ ევროპის საკონსულტაციო საბჭოს დასკვნაშია მითითებული. ამასთან, მნიშვნელოვანია შეფასდეს ამ მოსამართლეთა კვალიფიკაცია, რაც სწრაფი და ხარისხიანი მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

** კომერციული დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია მოიცავს 2017 - 2020 წლის პერიოდს.*[172]



<u>ივერი აბაშიძე</u>

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე სამწლიანი გამოსაცდელი ვადით

2000 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბათუმის სამართლის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით.
2008 წელს წარმატებით ჩააბარა ადვოკატურის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით.
2010 წელს სსიპ ,,იუსტიციის უმაღლეს სკოლაში” გაიარა სასამართლოს მენეჯერის სასწავლო კურსი და ჩააბარა პროგრამით გათვალისწინებული ტესტური გამოცდები.
2011 წელს იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში (ვაშინგტონი, ბოსტონი), ,,OPEN WORLD”-ის პროგრამის ფარგლებში, მენეჯმენტურ უნარჩვევებთან დაკავშირებულ ლექცია სემინარებზე.
2012 წელს წარმატებით ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

---

[171]Consultative Council of European Judges (CCJE), *Opinion (2012) No. 15 of the Consultative Council of European Judges on the Specialization of Judges*, 13 November 2012, para. 44.

[172] თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ მოწოდებული ინფორმაცია კომერციული დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობების შესახებ; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/36ZV3kB, https://bit.ly/3qF3idy

2016 წელს იმყოფებოდა ქ. პარიზში საფრანგეთის საკასაციო სასამართლოში - საქართველოს საერთო სასამართლოების მოხელეებისათვის გამართულ - სასწავლო ვიზიტში მონაწილეობის მიზნით.
2016 წლის 21 ნოემბრიდან 2017 წლის 21 მაისამდე იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.
2016 წლის დეკემბერში იმყოფებოდა გერმანიაში ქ. ჰამბურგში იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებისათვის გამართულ - სასწავლო ვიზიტში მონაწილეობის მიზნით.
2017 წლის აპრილში იმყოფებოდა საფრანგეთში ქ. სტრასბურგში იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებისათვის გამართულ - სასწავლო ვიზიტში მონაწილეობის მიზნით.

სამუშაო გამოცდილება:
1999-2000 წლებში მუშაობდა შუახევის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში - ინსპექტორად.
2004-2005 წლებში მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში - დაცვის თანამშრომლად.
2005-2009 წლებში მუშობდა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ.
2009-2010 წლებში იყო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს აპარატის უფროსი – საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი.
2010 წლის 01 ოქტომბერს დაინიშნა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მენეჯერად.
2011-2018 წლებში იყო ბათუმის საქალაქო სასამართლოს მენეჯერი - საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი.
2018 წლის 18 იანვრიდან განმწესდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებ-გვერდზე მოცემული ბიოგრაფიის თანახმად, 2009 წლიდან მოსამართლედ განმწესებამდე, ივერი აბაშიძის სამუშაო გამოცდილება მენეჯერულ თანამდებობაზე მუშაობას უკავშირდება. შესაბამისად, კომერციული დავების განმხილველ ვიწრო სპეციალიზაციაში დანიშვნამდე ივერი აბაშიძეს არ ჰქონია რაიმე სამუშაო გამოცდილება ამ მიმარულებით, ამასთან, მისი ბიოგრაფიით არ დასტურდება რომ ვიწრო სპეციალიზაციაში განმწესებამდე მას გავლილი აქვს რაიმე პროფესიული ტრენინგი სამართლის ამ დარგში. მის მიერ განხილული გახმაურებული საქმეები არ იძებნება.

[თამარ ბურჯანაძე](#)
თბილისის საქალაქო სასამართლოს უვადოდ დანიშნული მოსამართლე.

1998 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.
2007 წელს ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.
2007-2009 წლებში სწავლობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.
სამუშაო გამოცდილება:
1999-1999 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის საოლქო სასამართლოში სხდომის მდივნად.
1999-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობებზე;
2009-2016 წლებში იყო მოსამართლე სხვადასხვა საქალაქო სასამართლოებში.

2017 წლის ოქტომბრიდან თანამდებობაზე განმწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

თამარ ბურჯანაძე 2019 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი იყო და პარლამენტისათვის წარსადგენ 50 კაციან სიაშიც მოხვდა.[173] საბოოლოდ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მისი კანდიდატურა პარლამენტს არ წარუდგინა. თამარ ბურჯანაძის, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის, ბიორგაფია საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დიანტერესებული პირისათვის. შესაბამისად, მის მიერ წარდგენილი განაცხადის თანახმად, ბურჯანაძეს 2015 წლიდან, ჯერ კიდევ მანამდე სანამ კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციაში განმწესებოდა, არაერთი სემინარი, სასწავლო კურსი და ტრენინგი აქვს გავლილი როგორც საკორპორაციო/სამეწარმეო, ისე გაკოტრების სამართალში.[174] მის მიერ განხილული გახმაურებული საქმეები არ იძებნება.

[გოჩა დიდავა](#)

თბილისის საქალაქო სასამართლოს უვადოდ დანიშნული მოსამართლე.

2000 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

2013 წელს ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

2014 წელს დაამთავრა იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

სამუშაო გამოცდილება:

1994-1997 წლებში მუშაობდა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორის ურთიერთობათა კომიტეტში წამყვან სპეციალისტად.

1998-1999 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მინისტრის ბიუროს უფროსი.

1999-2016 წლამდე იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო განყოფილების უფროსი.

2002-2004 წლებში ახორციელებდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს აპარატის უფროსის უფლებამოსილებას.

2016-2019 წლებში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთ კოლეგიის მოსამართლე.

2019 წლის 9 ივლისიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებ-გვერდზე მოცემული ბიოგრაფიის თანახმად, კომერციული დავების განმხილველ ვიწრო სპეციალიზაციაში დანიშვნამდე მოსამართლე გოჩა დიდავას არ ჰქონია რაიმე სამუშაო გამოცდილება ამ მიმარულებით, ამასთან, მისი ბიოგრაფიით არ დასტურდება, რომ ვიწრო სპეციალიზაციაში განმწესებამდე მას გავლილი აქვს რაიმე პროფესიული ტრენინგი სამართლის ამ დარგში. მის მიერ განხილული გახმაურებული საქმეები არ იძებნება.

[173] იხ. სტატია „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 137 კანდიდატიდან 50 კანდიდატი შეარჩიეს“ ხელმისაწვდომია https://bit.ly/32oY1NK;

[174] იხ. მიმაგრებული ფაილი: თამარ ბურჯანაძის სერთიფიკატები.



ზაალ მარუაშვილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს უვადოდ დანიშნული მოსამართლე.

1996 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

1995 წლის 01 ივნისიდან მუშაობდა თერჯოლის რაიონის გამგებლის მრჩევლად იურიდიულ საკითხებში.

1999 - 2001 წლებში იყო მოსამართლის თანაშემწე თერჯოლის რაიონულსა და შემდგომ ფოთის საქალაქო სასამართლოში.

კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალში იურიდიულ ფაკულტეტზე სანივთო და საკორპორაციო სამართალში.

2002 წლის - 2006 წლებში იყო ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე. სხვადასხვა დროს მუშაობდა სს. ,,ინტერტრანსსერვისი-საზღვაო ვაჭრობის“, შპს. ,,შოთა და კომპანიის“, შპს. ,,ჯე-ისის“ იურისტად.

2017 წლის მაისიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.

ზაალ მარუაშვილი 2019 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი იყო და პარლამენტისათვის წარსადგენ 50 კაციან სიაშიც მოხვდა.[175] საბოოლოდ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მისი კანდიდატურა პარლამენტს არ წარუდგინა. ზაალ მარუაშვილის, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის, ბიორგაფია საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. შესაბამისად, მის მიერ წარდგენილი განაცხადის თანახმად, მარუაშვილმა 2017 წელს გაიარა ტრენინგი საკორპორაციო/სამეწარმეო სამართალში.[176] ამასთან, მისი სამუშაო გამოცდილება სამეწარმეო სამართალს უკავშირდება. მის მიერ განხილული გახმაურებული საქმეები არ იძებნება.

[175] იხ. „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 137 კანდიდატიდან 50 კანდიდატი შეარჩიეს“ https://bit.ly/32oY1NK [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[176] იხ. მიმაგრებული ფაილი: ზაალ მარუაშვილის განაცხადი.

[სოსო ღურწკაია](#)

თბილისის საქალაქო სასამართლოს უვადოდ დანიშნული მოსამართლე.

2000 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

2001-2002 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შიდა კონტროლის სამსახურის კონტროლისა და აუდიტის სამმართველოში მრჩევლად.

2002-2004 წლებში მუშაობდა თბილისის საერთაშორისო იურიდიულ კომპანია შპს ''ვეკოს'' ადვოკატად.

2004 წელს მუშაობდა საერთაშორისო საადვოკატო სააგენტო შპს ''ვეგას'' ადვოკატად.

2004-2006 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საბჭოს წევრის თანაშემწედ.

2006-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტის სამოქალაქო სამართლის საქმეებზე დისციპლინური სამართალწარმოების სამმართველოს კონსულტანტად.

2007-2008 წლებში დაინიშნა მოსამართლედ ჯერ მცხეთის რაიონულ, ხოლო შემდგომში წალენჯიხის რაიონულ სასამართლოებში.

2009 წლიდან მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

2011 წლიდან დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ.

სოსო ღურწკაია 2019 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი იყო და პარლამენტისათვის წარსადგენ 50 კაციან სიაშიც მოხვდა.[177] საბოოლოდ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მისი კანდიდატურა პარლამენტს არ წარუდგინა.სოსო ღურწკაიას, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის, ბიორგაფია საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. შესაბამისად, მის მიერ წარდგენილი განაცხადის თანახმად, სოსო ღურწკაიას არც სპეციალიზაციაში დანიშვნამდე და არც მას შემდეგ რაიმე ტრენინგი, სემინარი ან სასწავლო კურსი სამართლის ამ დარგში არ გაუვლია.[178] ამასთან, სასამართლო სისტემაში მოსვლამდე მას არ ჰქონია სამეწარმეო/საკორპორაციო სამართლის სფეროში მუშაობის გამოცდილება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღურწკაია კომერციული დავების განმხილველი სპეციალიზაციის შემადგენლობაშია მისი შექმნის დღიდან. მის მიერ განხილული გახმაურებული საქმეები არ იძებნება.

[177] იხ. „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 137 კანდიდატიდან 50 კანდიდატი შეარჩიეს“ https://bit.ly/32oY1NK [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[178] იხ. მიმაგრებული ფაილი: სოსო ღურწკაიას განაცხადი.

[მაია კუთხაშვილი](#)

თბილისის საქალაქო სასამართლოს უვადოდ დანიშნული მოსამართლე.

1996 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი;

2005 წელს ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით;

2013 წელს ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით;

სამუშაო გამოცდილება:

1999 - 2003 წლებში მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატაში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე;

2003 - 2005 წლებში მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე;

2005-2014 წლებში, სხვადასხვა დროს, მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა პალატასა და საგამოძიებო კოლეგიაში მოსამართლის თანაშემწედ;

2015-2016 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე;

2016 წლის იანვრიდან იყო გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.

2019 წლის 2 დეკემბრიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.

მაია კუთხაშვილის სამუშაო გამოცდილება ძირითადად სისხლის სამართლის მიმართულებას უკავშირდება. თუმცა, 2016 წლიდან იგი გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში დაინიშნა. 2019 წლის დეკემბრიდან კი განმწესდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში. შესაბამისად, კომერციული დავების განმხილველ ვიწრო სპეციალიზაციაში განმწესებამდე მოსამართლე მაია კუთხაშვილს არ ჰქონია რაიმე სამუშაო გამოცდილება ამ მიმარულებით, ამასთან, მისი ბიოგრაფიით არ დასტურდება, რომ ვიწრო სპეციალიზაციაში განმწესებამდე მას გავლილი აქვს რაიმე პროფესიული ტრენინგი საკორპორაციო/სამეწარმეო/გადახდისუნარიანობის სამართლის დარგში. მის მიერ განხილული გახმაურებული საქმეები არ იძებნება.



[ბიძინა სტურუა](#)

მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე

2002 წელს დაამთავრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

2003-2005 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში.
2005 წელს დაამთავრა მიუნსტერის (გერმანია) ვესტფალური ვილჰელმის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურა და მიენიჭა სამართლის მაგისტრის ხარისხი (LL.M.).
2015 წლიდან არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.
2018 წლის 21 ივნისი - 20 აგვისტო - გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) დაფინანსებით, ჩაატარა სამეცნიერო კვლევა ფრიდრიხ შილერის სახელობის იენას (გერმანია) უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.
2001-2002 წლებში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მხარდაჭერით უძღვებოდა სემინართა კურსს - „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის ვალდებულება შეიარაღებულ კონფლიქტებში“ - საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის.
2004 წელს მონაწილეობა მიიღო ბერხუმში (გერმანია) ჩატარებულ კონფერენციაში თემაზე - „რელიგიური ტოლერანტულობა თანამედროვე საზოგადოებებში“.
2004-2005 წლებში იყო გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) სტიპენდიატი.

სამუშაო გამოცდილება:

2006-2010 წლებში მუშაობდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანაშემწედ.
2009 წელს ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.
2006-2010 წლებში მუშაობდა ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტში ასოცირებულ პროფესორად.
2019 წლის 31 მარტი - 13 აპრილი - საერთაშორისო თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ-Deutsche Stiftung für Internationale Rechtliche Zusammenarbeit) მიწვევით გაიარა სტაჟირება ბერლინის პირველი და მეორე ინსტანციის ადმინისტრაციულ სასამართლოში.
2011 წელს დაინიშნა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ.
2012 წლის 3 დეკემბრიდან თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ,
2012 წლის 3 დეკემბრიდან დაეკისრა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება.
2013 წლის 19 მარტიდან დაინიშნა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ.
2018 წლის 2 აპრილიდან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს №1/167 გადაწყვეტილებით დაინიშნა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ.
2019 წლის 18 სექტემბრიდან გათავისუფლდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ,
2019 წლის 2 დეკემბრიდან დაეკისრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება.
2019 წლის 26 დეკემბრიდან დაინიშნა მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინიტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ და ამავე სასამართლოს თავმჯდომარედ.

კომერციული დავების განმხილველ ვიწრო სპეციალიზაციაში განმწესებამდე მოსამართლე ბიძინა

სტურუას არ ჰქონია რაიმე სამუშაო გამოცდილება ამ მიმარულებით, ამასთან, მისი ბიოგრაფიით არ დასტურდება, რომ ვიწრო სპეციალიზაციაში განმწესებამდე მას გავლილი აქვს რაიმე პროფესიული ტრენინგი საკორპორაციო/სამეწარმეო/გადახდისუნარიანობის სამართლის დარგში. მის მიერ განხილული გახმაურებული საქმეები არ იძებნება.

ამირან ძაბუნიძე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს უვადოდ დანიშნული მოსამართლე

1997 წელს დაამთავრა თბილისის ბიზნესისა და სოციალურ-ეკონომიკური მართვის უნივერსიტეტის იურიდიულ-ეკონომიკური ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობა-მენეჯმენტის სპეციალობით.
2011 წელს დაამთავრა იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

სამუშაო გამოცდილება
1994-1999 წლებში მუშაობდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებულ მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის ფონდში იურისტად.
2001-2002 წლებში მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში სხდომის მდივნად.
2003-2006 წლებში მუშაობდა იურიდიულ ფირმა „მთაწმინდის ადვოკატურაში“ ადვოკატად.
2006-2007 წლებში იყო ფონდ „ფინკა ინტერნეიშენალის“ საქართველოს ფილიალის „ფინკა საქართველოს“ იურისტი.
2007-2009 წლებში მუშაობდა მცხეთის რაიონული სასამართლოს აპარატის უფროსის თანამდებობაზე.
2011-2013 წლებში იყო მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.
2013-2015 წლებში იყო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და თავმჯდომარე.
2015 წლის დეკემბრიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.
2017-2019 წლებში იყო საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის თავმჯდომარე.

ამირან ძაბუნიძე 2019 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი იყო და პარლამენტისათვის წარსადგენ 50 კაციან სიაშიც მოხვდა.[179] საბოოლოდ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მისი კანდიდატურა პარლამენტს არ წარუდგინა. ამირან ძაბუნიძის, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის, ბიოგრაფია საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. შესაბამისად, მის მიერ წარდგენილი განაცხადის თანახმად, მას არც სპეციალიზაციაში დანიშვნამდე და არც მას შემდეგ რაიმე ტრენინგი, სემინარი ან სასწავლო კურსი სამართლის ამ დარგში არ გაუვლია.[180] რაც შეეხება მის სამუშაო გამოცდილებას იგი სამეწარმეო სამართლის სფეროს უკავშირდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძაბუნიძე თბილისის სააპელაციო სასამართლოში კომერციული დავების განმხილველი სპეციალიზაციის შემადგენლობაშია 2018 წლიდან, ანუ მას შემდეგ რაც ეს სპეციალიზაცია შეიქმნა. მის მიერ განხილული გახმაურებული საქმეები არ იძებნება.
აქვე საინტერესოა აღინიშნოს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ამირან

[179] იხ. „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 137 კანდიდატიდან 50 კანდიდატი შეარჩიეს“ https://bit.ly/32oY1NK [ბოლოს ნანახია 10.08.2020]
[180] იხ. მიმაგრებული ფაილი: ამირან ძაბუნიძის განაცხადი.

ძაბუნიძე უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე სამი წლით ადრე მონაწილეობდა კონკურსში. მას განაცხადი სხვადასხვა სპეციალიზაციის ვაკანსიაზე ჰქონდა გაკეთებული, მათ შორის მაგისტრატი სასამართლოს მოსამართლის ვაკანსიაზეც. როგორც გასაუბრებაზე ამირან ძაბუნიძემ აღნიშნა მისთვის მნიშვნელოვანი იყო უვადოდ გადანიშვნა და დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა პირველი ინსტანციის მოსამართლე იქნებოდა თუ სააპელაციოსი. საბოლოოდ, საბჭოს გადაწყვეტილებით ის თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში დაინიშნა. რამდენიმე დღის შემდგომ კი ამირან ძაბუნიძე, საბჭოს გადაწყვეტილებით, კვლავ სამოქალაქო საქმეთა პალატაში იქნა გადაყვანილი.[181]

[რევაზ ნადარაია](#)

თბილისის სააპელაციო სასამართლოს უვადოდ დანიშნული მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

2001 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

2007-2009 წლებში სწავლობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.

სამუშაო გამოცდილება:

2002-2005 წლებში მუშაობდა "ადვოკატთა კავშირი XXI"- ში ადვოკატად.

2005-2006 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში სხდომის მდივნად.

2006-2007 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის თანაშემწედ.

2009-2010 წლებში იყო ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს მოსამართლე და მივლინების საფუძველზე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა ფოთის საქალაქო სასამართლოში.

2010-2016 წლებში იყო ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

2012-2016 წლებში იყო ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე.

2016 წლის თებერვლიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

2016 წლის მარტში დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

2017 წლის აპრილში საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად.

2018 წლის 22 თებერვლიდან დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის მოსამართლის თანამდებობაზე.[182]

2018 წლის ოქტომბრიდან განმწესდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში.[183]

რევაზ ნადარაია 2017 წლის 8 აპრილიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრია. მისი ბიოგრაფიის

---

[181] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში N6, 2018, გვ. 48.

[182] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება. https://bit.ly/3ezI35P [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[183] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება. https://bit.ly/3fGP8Tw [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

თანახმად, 2005 წლიდან 2018 წლამდე მისი სამუშაო გამოცდილება სისხლის სამართლის მიმართულებას უკავშირდება. ამასთან, იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის თავმჯდომარეც იყო. 2018 წლის ოქტომბრიდან კი განმწესდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში. შესაბამისად, ვიწრო სპეციალიზაციაში განმწესებამდე მოსამართლე რევაზ ნადარაიას არ ჰქონია რაიმე სამუშაო გამოცდილება ამ მიმარულებით, ამასთან, მისი ბიოგრაფიით არ დასტურდება, რომ ვიწრო სპეციალიზაციაში განმწესებამდე მას გავლილი აქვს რაიმე პროფესიული ტრენინგი საკორპორაციო/სამეწარმეო/გადახდისუნარიანობის სამართლის დარგში. მის მიერ განხილული გახმაურებული საქმეები არ იძებნება.

<u>მერაბ ლომიძე</u>

თბილისის სააპელაციო სასამართლოს უვადოდ დანიშნული მოსამართლე.

2000 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

2003 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტურა (სამოქალაქო სამართლის კათედრა).

სამუშაო გამოცდილება

2000-2002 წლებში მუშაობდა ქარელის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის თანაშემწედ სამართლებრივ საკითხებში.

2002-2003 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში მოსამართლის თანაშემწედ.

2003-2007 წლებში მუშაობდა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსად.

2007 წლის ივნისიდან ნოემბრამდე მუშაობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის თავმჯდომარის თანაშემწედ.

2007-2012 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

2010-2012 წლებში მივლინებული იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

2012 წლიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.

2012-2019 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე.

2019 წლის ივნისიდან უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში.

მერაბ ლომიძე 2019 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი იყო. საბოლოოდ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მისი კანდიდატურა პარლამენტს არ წარუდგინა[184] მისი,

[184]იხ. „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 137 კანდიდატიდან 50 კანდიდატი შეარჩიეს“ https://bit.ly/32oY1NK [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის, ბიოგრაფია საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. შესაბამისად, მის მიერ წარდგენილი განაცხადის თანახმად, 2002 წლიდან 2019 წლამდე საერთო სასამართლოების სისტემაში მისი საქმიანობა ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებას უკავშირდება. სხვადასხვა დროს იყო თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლო ადმინისტრაციულიკოლეგიის/პალატის წევრი. 2019 წლის ივნისიდან კი განმწესდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში და კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობაში. შესაბამისად, ვიწრო სპეციალიზაციაში განმწესებამდე მოსამართლე მერაბ ლომიძეს არ ჰქონია რაიმე სამუშაო გამოცდილება ამ მიმარულებით, ამასთან, მისი ბიოგრაფიით არ დასტურდება, რომ ვიწრო სპეციალიზაციაში განმწესებამდე მას გავლილი აქვს რაიმე პროფესიული ტრენინგი საკორპორაციო/სამეწარმეო/გადახდისუნარიანობის სამართლის დარგში.[185] მის მიერ განხილული გახმაურებული საქმეები არ იძებნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მერაბ ლომიძე 2002-2007 წლებში უზენაესს სასამართლოში მუშაობის პერიოდში, იყო მიხეილ ჩინჩალაძის თანაშემწე.[186]

<u>**გოგიტა თოთოსაშვილი**</u>

თბილისის სააპელაციო სასამართლოს უვადოდ დანიშნული მოსამართლე.

1998 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.
ჩაბარებული აქვს პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა და ადვოკატთა საერთო ტესტირება.

სამუშაო გამოცდილება

1999-2001 წლებში მუშაობდა შპს "სიმართლეში" ადვოკატად.
2001-2003 წლებში მუშაობდა იურიდიულ ფირმა "საქართველოს იურისტთა ასოციაცია-XXI"-ში ადვოკატად.
2003-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის კასპის ბიუროში ადვოკატად.
2006 წელს მუშაობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტის კონსულტანტად.
2006-2007 წლებში იყო გორის რაიონულ სასამართლოს მოსამართლე.
2007-2012 წლებში იყო სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.
2010-2012 წლებში მივლინებული იყო თელავის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად.
2012-2015 წლებში იყო თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.
2014-2015 წლებში მივლინებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად.
2015-2016 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

---

[185] იხ. მიმაგრებული ფაილი: მერაბ ლომიძის განაცხადი.

[186] მიხელ ჩინჩალაძე სასამართლოში არსებული გავლენიანი ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერად მოიაზრება. იხ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ბლოგი „ოცნების სასამართლოს ანატომია“ ბმულზე: https://bit.ly/32BAZDm [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

2016 წლიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე.

გოგიტა თოთოსაშვილი 2019 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი იყო და პარლამენტისათვის წარსადგენ 50 კაციან სიაშიც მოხვდა.[187] საბოოლოდ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მისი კანდიდატურა პარლამენტს არ წარუდგინა. მისი, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის, ბიორგაფია საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. შესაბამისად, მის მიერ წარდგენილი განაცხადის თანახმად, თოთოსაშვილს არც სპეციალიზაციაში დანიშვნამდე და არც მას შემდეგ არ გაუვლია რაიმე ტრენინგი, სემინარი ან სასწავლო კურსი სამართლის ამ დარგში.[188] ამასთან, სასამართლო სისტემაში მოსვლამდე მას არ ჰქონია სამეწარმეო/საკორპორაციო სამართლის სფეროში მუშაობის გამოცდილება. უფრო მეტიც, წლების განმავლობაში თოთოსაშვილი სისხლის სამართლის მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა.

გოგიტა თოთოსაშვილმა განიხილა საქმე, რომელიც პროკრედიტ ბანკსა და მოქალაქეს შორის დავას ეხებოდა. ბანკის იურისტი მოსამართლის ცოლი თეა ღვინიაშვილი იყო, თუმცა გოგიტა თოთოსაშვილმა საქმე არ აიცილა და ბანკის სასარგებლო გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.[189]

[გელა ქირია]

თბილისის სააპელაციო სასამართლოს უვადოდ დანიშნული მოსამართლე.

1993 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება

1993-1998 წლებში მუშაობდა სოხუმის რეგიონალური სამხედრო პროკურატურის სტაჟიორ-გამომძიებლის, გამომძიებლის, უფროსი გამომძიებლის და სამხედრო პროკურორის მოადგილის თანამდებობებზე.

1999-2005 წლებში იყო აფხაზეთის ა/რ უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე.

2005-2006 წლებში იყო აფხაზეთის ა/რ უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.

2006-2009 წლებში იყო გაგრის საქალაქო და გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.

2009-2010 წლებში იყო გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.

2010-2012 წლებში იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე.

2012-2015 წლებში იყო ზესტაფონის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე.

2015 წლიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.

2019 წლის ოქტომბრიდან თანამდებობაზე განმწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

---

[187] იხ. „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 137 კანდიდატიდან 50 კანდიდატი შეარჩიეს“ https://bit.ly/32oY1NK [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[188] იხ. მიმაგრებული ფაილი: გოგიტა თოთოსაშვილის განაცხადი.

[189] იხ. თავისუფლების მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება ბმულზე: https://bit.ly/2OIjDMI [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

გელა ქირია 2019 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი იყო და პარლამენტისათვის წარსადგენ 50 კაციან სიაშიც მოხვდა.[190] საბოოლოდ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მისი კანდიდატურა პარლამენტს არ წარუდგინა. მისი, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის, ბიორგაფია საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. შესაბამისად, მის მიერ წარდგენილი განაცხადის თანახმად, გელა ქირია წლების განმავლობაში ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა.[191] თუმცა, 2016 წელს გავლილი აქვს სემინარი საკორპორაციო და სამეწარმეო სამართალში. გახმაურებული საქმეები არ იძებნება.

[გენადი მაკარიძე](#)

თბილისის სააპელაციო სასამართლოს უვადოდ დანიშნული მოსამართლე.

1998 წელს დაამთავრა ქ. ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკურ უნივერსიტეტი, მეორადი ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგის სპეციალობით.

2006 წელს დაამთავრა ქ. ქუთაისის ქელბაქიანის სახელობის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

2004-2005 წელს მუშაობდა თერჯოლის რაიონულ სასამართლოში დარაჯად.

2005-2007 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში კურიერად.

2007-2008 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სასამართლოს სხდომის მდივნად, შემდეგ მოსამართლის თანაშემწედ.

2008-2010 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის განყოფილების სამოქალაქო საქმეთა სექტორის უფროსად.

2010-2011 წლებში სწავლობდა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.

2012 წელს იყო საქართველოს უზენაეს სასამართლოში კონსულტანტი.

2012-2018 წლებში იყო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

2018-2019 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.

2019 წლის სექტემბრიდან დანიშნულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

გენადი მაკარიძე კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციაშია 2019 წლის დეკემბრიდან. მაკარიძე 2019 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი იყო და პარლამენტისათვის წარსადგენ 50 კაციან სიაშიც მოხვდა.[192] საბოოლოდ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მისი კანდიდატურა პარლამენტს არ წარუდგინა. მისი, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის, ბიორგაფია საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. შესაბამისად, მის მიერ წარდგენილი განაცხადის თანახმად, მაკარიძეს ვიწრო სპეციალიზაციაში დანიშვნამდე ან მას შემდგომ არ აქვს გავლილი რაიმე

[190] იხ. „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 137 კანდიდატიდან 50 კანდიდატი შეარჩიეს“ https://bit.ly/32oY1NK [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[191] იხ. მიმაგრებული ფაილი: გელა ქირიას განაცხადი

[192]იხ. „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 137 კანდიდატიდან 50 კანდიდატი შეარჩიეს“ https://bit.ly/32oY1NK [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

სემინარი/სასწავლო კურსი საკორპორაციო/სამეწარმეო/გადახდისუნარიანობის სამართლის დარგში[193] ამასთან, მისი სამუშაო გამოცდილება არ უკავშირდება სამართლის ამ დარგს. მის მიერ განხილული გახმაურებული საქმეები არ იძებნება.

ლაშა ქოჩიაშვილი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს უვადოდ დანიშნული მოსამართლე.

1999 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

1999-2005 წლებში მუშაობდა თერჯოლის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ.

2005-2007 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ.

2007 წელს დაინიშნა საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ და მივლინების საფუძველზე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა ზესტაფონის რაიონულ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში.

2008-2019 წლებში სხვადასხვა დროს იყო ბორჯომის რაიონული , ქუთაისიას და თბილისის საქალაქო სასამართლოების მოსამართლე.

2019 წლის დეკემბრიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე.

ლაშა ქოჩიაშვილი კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობაში იყო ჯერ თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი შექმნის დღიდან, ხოლო სააპელაციო სასამართლოში გადმოსვლის შემდგომ ამავე სპეციალიზაციის შემადგენლობას დაემატა 2019 წლის დეკემბრიდან. 2019-2020 წლებში იგი უზენაესი სასამართლოს კანდიდატი იყო ორჯერ. საბოლოოდ, საბჭომ მისი კანდიდატურა არ წარუდგინა პარლამენტს. მისი ბიოგრაფიის თანახმად, 2007-2019 წლებში რამდენიმე ტრენინგი/სემინარი აქვს გავლილი გაკოტრება/გადახდისუნარიანობა/საკორპორაციო სამართლის დარგში.[194] საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის, მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილის სახელი არაერთ გახმაურებულ საქმეს უკავშირდება[195]: ● ლაშა ქოჩიაშვილის სახელთან დაკავშირებულია „რუსთავის ფოლადის" საქმე, კერძოდ, მას კომპანია ადანაშაულებდა, რომ დახურვის საფრთხის წინაშე დააყენა. იმ დროს ლაშა ქოჩიაშვილის მიერ მიღებულმა დაუსაბუთებელმა გადაწყვეტილებებმა სასამართლოს მიმართ

[193] იხ. მიმაგრებული ფაილი: გენადი მაკარიძის განაცხადი.

[194] იხ. მიმაგრებული ფაილი: ლაშა ქოჩიაშვილის განაცხადი

[195] „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის" მიერ მომზადებული პორტფოლიო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ ლაშა ქოჩიაშვილზე. https://bit.ly/2OEmshN [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

მიკერძოებულობის ეჭვები გააჩინა;

- ლაშა ქოჩიაშვილი იყო შპს „სტუდია მაესტროს“ საქმის მოსამართლეც. კერძოდ, 2016 წლის 15 მარტს შპს „სტუდია მაესტროს“ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება სწორედ ლაშა ქოჩიაშვილმა გამოიტანა. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას უკავშირდება “მაესტროს” მენეჯმენტისა და სარედაქციო პოლიტიკის ცვლილებები.
- ქოჩიაშვილმა განიხილა შპს „აკას” საქმე, სადაც, მათ შორის, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, სასამართლოს მიმართ მიკერძოებულობის ეჭვი გაჩნდა;
- ასევე, ქოჩიაშვილი განიხილავს „რუსთავი 2”-ის 9 % წილის მფლობელის, ნინო ნიჟარაძის სარჩელს. ნიჟარაძის ერთ-ერთი მოთხოვნა, ტელეკომპანიის გენერალური დირექტორისათვის, ნიკა გვარამიასთვის უფლებამოსილების შეწყვეტა იყო. რუსთვის 2-ის მაშინდელი მენეჯმენტი ამ დავას, არხის წინააღმდეგ წარმოებულ სახელისუფლებო ომად აფასებდა.

[შორენა წიქარიძე](#)

თბილისის სააპელაციო სასამართლოს უვადოდ დანიშნული მოსამართლე.

2004 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

2005-2006 წლებში სტაჟირება გაიარა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ პროკურატურაში.

2006-2009 წლებში მუშაობდა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ პროკურატურაში პროკურორის თანამდებობაზე.

2011-2016 წლებში იყო გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.

2016-2019 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.

2019 წლის დეკემბრიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე.

კომერციული დავების განმხილველ ვიწრო სპეციალიზაციაში განმწესებამდე მოსამართლე შორენა წიქარიძეს არ ჰქონია რაიმე სამუშაო გამოცდილება ამ მიმარულებით, ამასთან, მისი ბიოგრაფიით არ დასტურდება, რომ ვიწრო სპეციალიზაციაში განმწესებამდე მას გავლილი აქვს რაიმე პროფესიული ტრენინგი საკორპორაციო/სამეწარმეო/გადახდისუნარიანობის სამართლის დარგში. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განმწესებამდე იგი სისხლის სამართლის მოსამართლე იყო. მის მიერ განხილული გახმაურებული საქმეები არ იძებნება.

[ოთარ სიჭინავა](#)

თბილისის სააპელაციო სასამართლოს უვადოდ დანიშნული მოსამართლე.

1989-1994 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტზე.

2001- 2002 წლებში სწავლობდა პარიზის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, თემპუს_ის პროგრამის ფარგლებში.

სამუშაო გამოცდილება

1993-1996 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის პროკურატურის კანცელარიაში მდივანად.

1996-1998 წლებში იყო ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის პროკურატურის სტაჟიორი.

1999-2000 წლებში იყო საქართველოს საინვესტიციო ცენტრის იურისტი.

2000-2005 წლებში მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ისტორიის კათედრაზე ლაბორანტად.

2005 წლის თებერვლიდან 2006 წლის ოქტომბრამდე იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

2006 წლის ოქტომბერში არჩეულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ.

ოთარ სიჭინავა 2017 წელს საქართველოს მთავრობამ სტრასბურგის სასამართლოში ასარჩევი მოსამართლის პოზიციაზე შეარჩია.[196] სიჭინავა იყო გიგი უგულავასა და კაბელების საქმის განმხილველი მოსამართლე საკონსტიტუციო სასამართლოში. იგი საზოგადოებისთვის ცნობილი იმით გახდა საკონსტიტუციო სასამართლოში ჩანიშნული სხდომა, რომელზეც ე.წ. კაბელებისა და გიგი უგულავას გაერთიანებული საქმე უნდა განეხილათ ჩაიშალა, ვინაიდან სხდომის ჩასატარებლად აუცილებელი მოსამართლეთა შემადგენლობა ვერ შეიკრიბა. მათ შორის, სხდომაზე არ გამოცხადდა ოთარ სიჭინავაც, რომელიც თბილისში იმყოფებოდა.[197]

2017 წელს, მას შემდგომ, რაც საკონსტიტუციო სასამართლოში სამოსამართლო ვადა ამოეწურა, სიჭინავა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში დაინიშნა უვადო მოსამართლედ. ხოლო, სააპელაციო სასამართლოში კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის შექმნის დღიდან იგი ამ სპეციალიზაციის შემადგენლობაში იყო.

---

[196] საბოლოოდ, საქართველოდან ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლედ ასამბლეამ ლადო ჭანტურია აირჩია. https://bit.ly/3jpNUhx [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[197] „რ2: საკონსტიტუციოს მოსამართლე ბათუმის ნაცვლად თბილისშია და ძაღლს ასეირნებს“ https://bit.ly/39d9Ho7 [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

[თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი]

თბილისის სააპელაციო სასამართლოს უვადოდ დანიშნული მოსამართლე.

1996 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.
გამოქვეყნებული აქვს სამართლებრივი სტატია „არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირები ახალ სამოქალაქო კოდექსში"(ჟ.„ადამიანი და კონსტიტუცია", #3, 1998 წ.).

სამუშაო გამოცდილება

1997-2006 წლებში იყო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი, ადვოკატი სამოქალაქო და სამეწარმეო სამართლის სფეროში.
1999-2006 წლებში იყო იურიდიული ფირმა შპს „იურიდიული თანამშრომლობა - სტატუს ქვოს" დამფუძნებელი პარტნიორი.
2000-2004 წლებში იყო ამერიკის განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული „საქართველოს საწარმოთა მხარდაჭერის პროექტის'' იურისტ-კონსულტანტი.
2001-2004 წლებში მუშაობდა ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს დაფინანსებით ასოციაცია „ქალი და ბიზნესის'' მიკრო-საკრედიტო პროგრამაში იურისტ-კონსულტანტად.
2003 წელს მონაწილეობდა ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტის (EPM) პროექტებში - საბაჟო სამართლის საკითხებთან დაკავშირებით.
2004 წელს მონაწილეობდა ფრანგული ასოციაციის წარმომადგენლობის „კავკასიის ბაღების'' სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დახმარების პროგრამაში.
2006-2010 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.
2011 წლიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.
2017 წლის ოქტომბრიდან თანამდებობაზე განმწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი, 2018 წლიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოში კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის შექმნის დღიდან, იყო ამ სპეციალიზაციის შემადგენლობაში. თუმცა, 2019 წელს იგი ლევან მიქაბერიძემ ჩაანაცვა. მიუხედავად იმისა, რომ საერთო სასამართლოების სისტემაში მოსვლამდე მისი სამუშაო გამოცდილება სრულად სამეწარმეო სამართალს უკავშირდება, დღეის მდგომარეობით თავმჯდომარის გადაწყვეტილებით იგი ამ ვიწრო სპეციალიზაციის შემადგენლობაში არ არის. მის მიერ განხილული გახმაურებული საქმეები არ იძებნება.

ლევან მიქაბერიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს უვადოდ დანიშნული მოსამართლე , საკვალიფიკაციო პალატის წევრი.

2005 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სპეციალობით სამართლისმცოდნეობა. მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

2005 წელს დაამთავრა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტი სპეციალობით მეტეოროლოგია, ატმოსფეროს ეკოლოგია. მიენიჭა გეოგრაფიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მეტეოროლოგ-კლიმატოლოგის კვალიფიკაცია.

სამუშაო გამოცდილება

2006 წლის (მარტიდან ივნისამდე) მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების (განყოფილება) კურიერად.

2006-2007 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ბიუროს კანცელარიის სპეციალისტად.

2007-2009 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სხდომის მდივნად.

2009-2011 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, შემდეგ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის თანაშემწედ.

2011-2012 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სექტორის უფროსის თანამდებობაზე.

2012-2013 წლებში სწავლობდა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.

2013 წლის ნოემბერში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა პალატის სამდივნოში კონსულტანტად.

2013-2016 წლებში იყო ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე

2016-2019 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასმართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.

2019 წლის ივლისიდან 2019 წლის 12 დეკემბრამდე იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ლევან მიქაბერიძე 2019 წლის დეკემბრიდან არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს უვადო მოსამართლე. ლევან მიქაბერიძის, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის, ბიორგაფია საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დიანტერესებული პირისათვის. შესაბამისად, მის მიერ წარდგენილი განაცხადის თანახმად, მიქაბერიძეს 2016 წლიდან, არაერთი სემინარი, სასწავლო კურსი და ტრენინგი აქვს გავლილი როგორც საკორპორაციო/სამეწარმეო, ისე გაკოტრების სამართალში. ამასთან, მისი სამუშაო გამოცდილება მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემას უკავშირდება. [198]

რაც შეეხება მის მიერ განხილულ გახმაურებულ საქმეებს. 2017 წლის 26 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ, ლევან მიქაბერიძის თავმჯდომარეობით, მიიღო

[198] იხ. მიმაგრებული ფაილი: ლევან მიქაბერიძის განაცხადი

გადაწყვეტილება სს ,,თბილავიამშენის“ წილებისა და სააქციო საზოგადოება ,,თბილავიამშენის“ აქციების სახელმწიფოსთვის ჩუქების საქმეზე. აღნიშნულ დავაში, სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად, მხარეები უთითებდნენ ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ზეწოლას, რომელიც სასამართლოს უნდა შეეფასებინა ხანდაზმულობის ვადის საკითხთან მიმართებით. კერძოდ, დაედგინა ხელისუფლების ცვლილების შემდგომ შეცილების ვადის ათვლის საკითხი. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა.[199]

[199]იხ. „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის“ მიერ მომზადებული პორტფოლიო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ ლევან მიქაბერიძზე. https://bit.ly/32D7Zef [ბოლოს ნანახია 10.08.2020]

აკრძალულია ამ ანგარიშის კომერციული მიზნებისთვის გამოყენება,
ორგანიზაციის წინასწარი თანხმობის გარეშე

© 2020, საეთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო